



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI

2023

M RAVALTAVI

Philological and Historical
Researches

Published since 1971

29

ქართული
რეალთაუი

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიგანი

გამოდის 1971 წლიდან

„მრავალთავის“ 29-ე ტომში წარმოდგენილია ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობით-ისტორიული ხასიათის ნარკვევები, რომლებიც ეძღვნება ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს, აგრეთვე, 2022 წლის ქრონიკა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ და ცენტრის მეცნიერ თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებული კონფერენციების, სემინარების, გამოფენების, ექსპედიციამივლინებების შესახებ. მკითხველი ასევე გაეცნობა ინფორმაციას ცენტრის მიერ 2022 წელს გამოცემული წიგნების შესახებ.

სარედაქციო კოლეჯია

ნათია დუნდუა (პასუხისმგებელი მდივანი), დარეჯან კლდიაშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, მაია მაჭავარიანი, ნინო მელიქიშვილი (მთავარი რედაქტორი), თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, მზია სურგულაძე, დალი ჩიტუნაშვილი.

იოსტ გიპერტი (ჰამბურგის უნივერსიტეტი), ჰუბერტ კაუფჰოლდი (მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი), ბერნარ კული (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი), ოლივერ რაისნერი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ბერნარ უტიე (სამეცნიერო კვლევის ფრანგული ნაციონალური ცენტრი), თინათინ ქრონცი (მაინცის გუტენბერგის სახელობის უნივერსიტეტი), გაგა შურღაია (ნეაპოლის უნივერსიტეტი “L’Orientale”), ნინო ცხომელიძე (ჯონს ჰოპკინზის უნივერსიტეტი).

ტომის რედაქტორები: მაია მაჭავარიანი, დარეჯან კლდიაშვილი.

EDITORIAL BOARD

Dali Chitunashvili, Natia Dundua (executive secretary), Darejan Kldiashvili, Maia Matchavariani, Nino Melikishvili (editor-in-chief), Thamar Otkhmezuri, Maia Raphava, Mzia Surguladze, Apolon Tabuashvili.

Jost Gippert (Universität Hamburg), Hubert Kaufhold (Ludwig-Maximilians-Universität München), Bernard Coulie (Université Catholique de Louvain), Oliver Reisner (Iliia State University), Bernard Outtier (French National Centre for Scientific Research), Tinatin Chronz (Johannes Gutenberg-Universität Mainz), Gaga Shurghaia (University of Naples “L’Orientale”), Nino Zchomelidze (Johns Hopkins University).

Editors of the volume: Maia Matchavariani, Darejan Kldiashvili.

ISSN 0234-7385 („მრავალთავი“)

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2023

შინაარსი

ობარ ოთხმეზური	
ფიგურალური გამოთქმა – კანონი ილისტიკისა – ეგრემ მცირის თარგმანებში (არეოპაგიტული კორპუსი და გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა კრებული)	10
ნინო მელიქიშვილი	
წმ. ეფთვიმე ათონელის „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ქართული თარგმანის ბერძნული წყაროს შესახებ	26
ემვთიმე კოჭლამაზაშვილი	
ეფთვიმე მთაწმიდელის ერთი უცნობი თარგმანი	53
ნუზარ პაპუაშვილი	
ახალციხის მეჩეთი და მისი ბიბლიოთეკა პავლე სანკოვსკის სტატიის კვალდაკვალ	73
ლაშა ტყეშელაშვილი	
ევაგრე პონტოელის შრომათა ძველი ქართული თარგმანები (წინათონური) და მათ შორის ერთი უცნობი შეგონება „ცუდაღბუაობისათვის“	109
ოქრო ჯოჯო	
ძველი გაფაზის თავწმინდა გიორგის ეკლესიის 1026 წლის საღმრთოწმებლო წარწერა კახეთ-პერეთის მეფეების – კვირიკე III დიდისა და საჰლას მოხსენიებით	128
ცისანა ბიბილიაშვილი	
სახლი ბეთანიაში (ბარონ ალ. ნიკოლაის წერილების მიხედვით)	164
EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI	
A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging	175
WALKER R. THOMPSON	
Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion	205

მავდა მჟედლიძე

იოანე პეტრიწის ვრცელი ბიბლიოგრაფია 2021 წლამდე 233

ინფორმაცია

ქრონიკა 2022 257

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 2022 წლის გამოცემები 263

IN MEMORIAM

ზაზა ალექსიძის გახსენება 271

ეთერ ქავთარაძე (1937-2023) 279

CONTENTS

THAMAR OTKHMEZURI

- Figurative Expression – A Rule of Ilistiki – in the Collection of Gregory the Theologian’s Liturgical Sermons and the Corpus Areopagiticus Translated by Ephrem Mtsire 10

NINO MELIKISHVILI

- On the Greek Source of the Georgian Translation of the “Life of the Virgin Mary” by St. Euthymius the Hagiorite (based on the research of Michel Van Esbroeck and Christos Simelidis) 26

EKVTIME KOCHLAMAZASHVILI

- A Previously Unknown Translation by Euthymius the Hagiorite 53

NUGZAR PAPUASHVILI

- Akhaltsikhe Mosque and Its Library: Following Pavel Sankovski’s Article 73

LASHA TKEBUCHAVA

- Old-Georgian (Pre-Athonite) Translations of the Works of Evagrius Ponticus and Among Them One Unknown Admonition “De Vana Gloria” 109

TEMO JOJUA

- The 1026-year-old Construction Inscription of the Church of St. George of Old Gavazi, Mentioning the Kings of Kakheti-Hereti – Kvirike III the Great and Sahla 128

TSISANA BIBILEISHVILI

- The House in Bethania (Based on the Letters of Baron Al. Nikolai) 164

EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI

- A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging 175

WALKER R. THOMPSON

- Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion 205

MAGDA MCHEDLIDZE

- An Extensive Bibliography of Ioane Petritsi up to 2021 233

INFORMATION

- Chronicle – 2022 257
Publications of the National Center of Manuscripts – 2022 263

IN MEMORIAM

Remembering Zaza Aleksidze
Eter Kavtaradze (1937-2023)

271

279

ხელნაწერთა ძირითადი საცავები საქართველოში

შემოკლებები

პიპმ	სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
სცსპ	საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (საქართველოს ეროვნული არქივი)
სიპმ	სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
სპიმ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ქიპმ	ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ხმ	შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ხეც	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი)
ზიამ	ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
NCM	National Centre of Manuscripts

თამარ ოთხეაზური

ფიგურალური გამოთქმა – კანონი ილისტიკისად – ეფრემ მცირის თარგმანებში (არეოპაგიტული კორპუსი და გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა კრებული)

გვიანანტიკური ეპოქის ორი უმნიშვნელოვანესი ძეგლი – გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვის კრებული¹ და არეოპაგიტული კორპუსი² – ქართულად შავი მთის ელინოფილი მწიგნობრის, ეფრემ მცირის მიერ არის ნათარგმნი XI საუკუნის ბოლო ათწლეულში.³ მასვე ეკუთვნის ამ კრებულების კომენტარების ქართული თარგმანები, რომლებიც ორივე კრებულში ხელნაწერთა აშიებზეა დართული.⁴ ესენია: გრიგოლ

¹ როგორც ცნობილია, ეფრემ მცირემდე გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებები არაერთხელ იყო ნათარგმნი: ორი ლიტურგიკული საკითხავი (*In nativitate* – Or. 38 და *In sancta lumina* – Or. 39) ითარგმნა ჯერ კიდევ წინათონურ ეპოქაში ანთონი მთარგმნელის მიერ ბერძნულიდან; ორი საკითხავი (Or. 7, 27) X საუკუნეში სომხურიდან თარგმნა გრიგოლ ოშკელმა; XI საუკუნის დასაწყისში ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ითარგმნა 15 ლიტურგიკული საკითხავი და რამდენიმე არალიტურგიკული სიტყვა, მათ შორის თეოლოგიური სიტყვები (Or. 29, 30, 31) და ეპისტოლეები (*Ep.* 101, 102); ამ პერიოდში დავით ტბელმაც თარგმნა გრიგოლის რამდენიმე საკითხავი. XI ს.-ის ბოლო მეოთხედში ეფრემ მცირემ ჯერ თარგმნა გრიგოლის მანამდე უთარგმნელი საკითხავები, ხოლო შემდგომ ხელახლა თარგმნა 16 ლიტურგიკული სიტყვა ცალკე კრებულის სახით. გამოცემისათვის იხ. *S. Gregorii Nazianzeni Opera. Versio iberica*, I-VII.

² ქართულად არსებობს არეოპაგიტული კორპუსის მხოლოდ ერთი ეფრემ მცირისეული თარგმანი. გამოცემისათვის იხ. ენუქაშვილი (გამოც.), *პეტრე იმერიელი*.

³ კრებულების თარგმნის თარიღისათვის იხ. Otkhmezuri, “The Liturgical Sermons”, pp. 469-475.

⁴ არეოპაგიტული კორპუსის ეფრემისეული თარგმანის შემცველი ხელნაწერები აშიებზე კომენტარებით შემდეგია: ხეც A-110 (XII ს., ხელნაწერის ნაწილები, განსაკუთრებით დასაწყისი და ბოლო რესტავრირებულია XVIII ს.-ში), ხეც A-684 (XII ს.), ხეც A-163 (XVI ს.) და სხვ. გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული საკითხავის კომენტარებიანი კრებულებია: Jer. georg. 43 (XII ს.), Jer. georg. 15 (XII ს.); ხეც A-109 (XIII ს.); გრიგოლის საკითხავთა კიდევ

ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარები, რომელთა ავტორია X საუკუნის ბიზანტიელი მწიგნობარი, კესარია-კაპადოკიის ეპისკოპოსი ბასილი მინიმუსი⁵ და არეოპაგიტული კორპუსის კომენტარები, რომლებიც ეკუთვნის VI საუკუნის ავტორს, იოანე სკვითოპოლელს.⁶

ეფრემ მცირის ამ თარგმანებს ერთი მეტად საყურადღებო თავისებურება აქვს: ძირითადი ტექსტები – გროგოლ ღვთისმეტყველის საკითხავები და თავად არეოპაგიტული კორპუსი – ეფრემ მცირის მიერ ელინოფილური მთარგმნელობითი მეთოდითაა ნათარგმნი, ხოლო ბასილი მინიმუსისა და იოანე სკვითოპოლელის კომენტარების ქართული თარგმანი საკმაოდ თავისუფალი მეთოდითაა შესრულებული.⁷

ეფრემის ამგვარ მიდგომას კომენტარული ტექსტების მიმართ განსაზღვრავს ამ ტექსტების ექსპოზიციური ხასიათი. განმარტება განსამარტავ ტექსტს უნდა მიესადაგოს, შეეწყოს, რაც თარგმანში მთარგმნელის ჩარევას, ცვლილებების შეტანას საჭიროებს. შესაბამისად, ორივე კომენტარის ეფრემისეულ თარგმანში დასტურდება ტექსტის კლებისა თუ მატების, ადაპტირების და სხვ. შემთხვევები.

ჩვენი სტატიის მიზანია, განვიხილოთ ბასილი მინიმუსისა და იოანე სკვითოპოლელის კომენტართა ეფრემისეულ თარგმანებში დადასტურებული ერთი ფიგურალური გამოთქმა, რომელიც ამ ტექსტებში ჩართული უნდა იყოს ეფრემ მცირის მიერ. შევეცდებით, გავარკვიოთ მისი შინაარსი და დანიშნულება.

გრიგოლღვთისმეტყველისXIVსაკითხავის–„გლახაკთმოყუარებისათვს“ – ბასილი მინიმუსისეულ კომენტარში განმარტებულია სიტყვათშეთანხმება „სიტყვს მკუეთელობა“⁸ (τῆ τομῆ τῶν λόγων):⁹

ერთ ხელნაწერს – Jer. georg. 13 (XIII ს.) – კომენტარები ერთვის არა აშიეზზე, არამედ ბოლოს.

⁵ ბასილი მინიმუსის კომენტართა როგორც ბერძნული, ისე ქართული ტექსტები მხოლოდ ნაწილობრივია გამოცემული, ბერძნულად – XXVIII, IV და V საკითხავებისა, ხოლო ქართულად – I და XXXIX საკითხავების კომენტარები. Schmidt (ed.), *Basilii Minimi*; Rioual (ed.), *Basilii Minimi*; ოთხმეზური, *კომენტარული უანრი*.

⁶ ბერძნული ტექსტის გამოცემისათვის იხ. Suchla (ed.), *Corpus Dionysiacum*, IV/1. კომენტარების ქართული თარგმანი გამოცემულია მხოლოდ ნაწილობრივ: ჭუმბურიძე (გამოც.), *ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი*.

⁷ ოთხმეზური, *კომენტარული უანრი*, გვ. 20; ჭუმბურიძე (გამოც.), *ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი*, გვ. 7.

⁸ *S. Gregorii Nazianzeni Opera. Versio iberica*, VII, გვ. 183.

⁹ *PG* 35, col. 884 C 15.

რამეთუ სიტყუად, რომელ არს სამთავრობითი და საღმრთოდ, ვითარცა მიუდრეკელი რამე კ ა ნ ო ნ ი ი ლ ი ს ტ ი კ ი ს ა ე და მსაჯული სამართალი, მეცნიერ არს მოგონებით თანაშეტყუებად და განყოფად უმჯობესა უდარესისაგან, რამეთუ ესე არს „მკუეთელობად“ და ნეტარი განრჩევაჲ, წუთჟამისთა უგულებელსყოფად ყოვლადბრძნად თავსა შორის თვისა დადებითა საღმრთოთა აღსავალთაჲთა.¹⁰

განმარტებაში საუბარია საღვთო სიტყვის, ლოგოსის ძალაზე, რომელიც მკვეთრად განარჩევს ერთმანეთისაგან ცუდსა და კარგს, წარმავალსა და მარადიულს. ბასილისეული განმარტება ეფრემ მცირის მიერ მეტნაკლებად თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის გადმოტანილი, კერძოდ, დასაწყის წინადადებაში – ὁ γὰρ λόγος ἦτοι τὸ ἐν ἡμῖν ἡγεμονικὸν καὶ θεῖον, ἄσπέρ τις ἀμετακλιτῆς καὶ ὧν (Paris. Coisl. 240, f. 125r-v) – სიტყვა, ანუ ის, რაც ჩვენში არის წარმმართველი და ღვთაებრივი, როგორც შეურყვეველი კანონი“ – ჩამატებულია *ილისტიკისა*. ანუ ეფრემისეულ თარგმანში გვაქვს სიტყვათშეთანხმება კანონი ილისტიკისა, რომელიც არ დასტურდება ბერძნულ წყაროში.

ლექსიკური ერთეულის – ილისტიკის – განმარტება მოცემულია სულხან-საბასთან:

ილისტიკი – (2, 78 დიონოს.) ზღუდის სამართი AbB. სამართი ზღუდისა C. სხვა კათილორია: „რამეთუ მაშენებელი ილისტიკისა იწუმევს გამორჩევისა მიმართ გინა თუ მართალი არს ზღუდე, გინა არა, გარნა თუ რა არს ილისტიკი, არა უწყის D.¹¹

ამგვარად, საუბარია მშენებელთა მიერ ზღუდის (კედლის, გალავნის) შენებისას გამოყენებულ ხელსაწყოზე, რომლის საშუალებითაც ირკვევა, თუ რამდენად სწორად, გამართულად არის ის აშენებული. როგორც მითითებულია („სხვა კათილორია“), განმარტება მომდინარეობს ამონიოს ერმისის თხზულების „მოსაჯსენებელი ხუთთა ჳმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ თარგმანიდან,¹² კერძოდ, ამ თხზულების შესავლიდან, რომელშიც განხილულია ფილოსოფიის სხვადასხვაგვარი განმარტება, რაც, თავის მხრივ, მოიცავს ხელოვნების სახეობათა შესახებ მსჯელობას. ნავსად წოდებული ხელოვნების, ანუ ხელოსნობის შესახებ საუბრისას მაგალითად მოყვანილია მშენებლის მიერ პრაქტიკულ საქმიანობაში,

¹⁰ ხეც A-109, f. 165v.

¹¹ ორბელიანი I, გვ. 328.

¹² კეკელიძე, რაფავა (გამოც.), *ამონიოს ერმისის თხზულებები*, გვ. 10, 195.

კედლის შენებისას, ხელსაწყო – ილისტიკის – გამოყენება. ილისტიკის ბერძნული შესატყვისი ამ ტექსტში არის κἀμειος (პერპენდიკულარი).

თუ კონკრეტულად რომელი ხელსაწყოა ილისტიკი, ამას აზუსტებს სულხან-საბას „ლექსიკონი ქართულის“ დანართი – *უცხო შესატყვისობანი* (იტალიურ-თურქულ-სომხური), რომელშიც წარმოდგენილია შემდეგი განმარტება:

ილისტიკი – თ. შაულ ZAa, შაული Cb.¹³

ამგვარად, ილისტიკის თურქული შესატყვისია შაული, თურქული ენიდან ქართულში შემოსული და დამკვიდრებული სიტყვა – შვეული.¹⁴ ეს არის კედლის ვერტიკალური მდგომარეობის შესამოწმებელი ხელსაწყო – თოკზე დაკიდებული ფოლადის ან რკინის ფიგურა, რომელიც ეგვიპტელებმა შექმნეს 4000 წლის წინ პირამიდების მშენებლობისას და რომელიც დღესაც გამოიყენება სამშენებლო საქმეში.

სულხან-საბასთან ილისტიკის განმარტებისას დასახელებულია კიდევ ერთი წყარო – არეოპაგიტული კორპუსი. ეს ლექსიკური ერთეული მართლაც დასტურდება არეოპაგიტული კორპუსის ეფრემ მცირისეულ კრებულში, კერძოდ, იოანე სკვითოპოლელის კომენტარში, რომელიც აშიაზე ერთგის კორპუსის ერთ-ერთი თავის – „სადმრთოთა სახელთათვს“ – პასაჟს, რომელშიც განმარტებულია ანტიკური ფილოსოფიის ტერმინი ἐπιστήμη (ცოდნა, მეცნიერება). ეს სიტყვა ძველ ქართულ თარგმანებში სხვადასხვაგვარად არის ხოლმე გადმოტანილი, ხშირ შემთხვევაში კი – როგორც *ჭეღოვნება*:

ჭეღოვნება არს ანუ ძებნაჲ საქმისა, რომელი, ვითარცა კანონისა ილისტიკისა და, ეგრეთ მართლმოდრეკელად მიმყოლ იყოს მართლისა ველისსიტყვსადა¹⁵ – ἐπιστήμη γὰρ ἔστι δόξα ὀρθῆ λογισμῶ δεινῆσ ἢ λόγις ἀληθῆς ἐπὶ δυνάσιν ἀμετάπτωτος.¹⁶

ეფრემისეული თარგმანი საკმაოდ თავისუფალია და, როგორც ვხედავთ, ბერძნულ ტექსტში ფრაზას „ვითარცა კანონისა ილისტიკისადა“ შესატყვისი არ აქვს, ანუ ის ეფრემის მიერაა ჩართული იოანე სკვითოპოლელის განმარტებაში.

¹³ ორბელიანი II, გვ. 515.

¹⁴ დიდ მადლობას ვუხდით აღმოსავლეთმცოდნეებს, ქალბატონ ცისანა აბულაძესა და თამარ პაპუაშვილს, ამ ლექსიკური ერთეულის რაობის გარკვევაში გაწეული დახმარებისათვის.

¹⁵ ხეც A-110, f. 22; ხეც A-163, f. 38.

¹⁶ Suchla (ed.), *Corpus Dionysiacum*, IV/1, p. 167.

ამგვარად, ორივე ტექსტში, როგორც ბასილი მინიმუსის, ისე იოანე სკვითოპოლელის ეფრემისეულ თარგმანში, ილისტიკი კანონთან მიმართებაშია ნახსენები. პირველ შემთხვევაში სიტყვა (Λόγις), ხოლო, მეორე შემთხვევაში, ჯელოვნება (ἐπιστήμη) მოქმედებს ილისტიკის / შვეულის კანონის მიხედვით, ანუ სიზუსტის, სისწორის პრინციპით მომუშავე სამშენებლო ხელსაწყოს დარად. შესაბამისად, გამოთქმა – ილისტიკის კანონი – ფიგურალურია და ნიშნავს ურყევ, ზუსტად განსაზღვრულ კანონს.

შვეული, როგორც ღმერთის საზომი (კაცის სახე შვეულით ხელში), ნახსენებია ბიბლიაში, კერძოდ, ამოსის წიგნში:

ესრტო მიჩუნა მე უფალმან და აჰა ესერა, მდგომარც ზღუდეთა ზედა ადამანტიანისათა (v. 1. ადამანტისასა) და ჯელსა შინა მისსა – ადამაჲ (v. 1. ადამასი)... და თქუა უფალმან: აჰა ესერა, მე დავასვე ადამაჲ (v. 1. ადამასნი) შორის ერისა ისრაჴლისა. არღარა შევსძინო თანაწარსვლად მისა.¹⁷

ბერძნულში ადამანტიანი / ადამანტისა და ადამაჲ / ადამასის შესატყვისი ლექსიკური ერთეულია ἄδᾶμας (gen. ἄδᾶμαντις) – *ფორადი, რკინა, ფორადისგან დამზადებული ნივთი / შვეული*; გადატანითი მნიშვნელობით – *ძიერი, უდრეკი, გაუფხებელი*.¹⁸ ქართულად ეს ლექსიკური ერთეული ტრანსლიტერაციით არის გადმოტანილი ბერძნულიდან. ამ მუხლის აზრი შემდეგშია: ადამანტის ზღუდე (მტკიცე კედელი) ისრაელია, ხოლო კაცი ადამასით (შვეულით) ხელში თავად უფალია, რომელიც იკვლევს, ამოწმებს (ზომავს), რამდენად მტკიცედ მისდევს ისრაელი მის მიერ დაწესებულ კანონებს (რამდენად სწორადაა ნაგები კედელი). ადამასი (შვეული) – ზემოდან ქვემოთ დაშვებულ თოკზე დაკიდებული მტკიცე, მყარი მეტალის ფიგურა – ფაქტობრივად არის ღმერთის მიერ ადამიანთათვის დაწესებული ურყევი კანონების ან კანონების ზუსტი საზომის მხატვრული სახე.

ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში ლექსიკური ერთეული *იღისციკი* კიდევ ერთგან დასტურდება. ეს არის დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის მე-4 თავი, რომელშიც საუბარია მეფე ნაბუქოდონოსორის სიზმრისა და ბალთაზარის მიერ ამ სიზმრის განმარტების შესახებ. აქ ილისტიკს ერთი შეხედვით განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. აი, როგორ იწყებს თავის თხრობას მეფე:

და ვხედვედ ჩუენებასა ღამისასა საწოლსა ჩემსა ზედა და, აჰა ესერა,

¹⁷ ამოს. 7, 7-8.

¹⁸ Liddell-Scott, *A Greek-English Lexicon*, p. 20.

ილისტიკი წმიდაა ზეცით გარდამოცდა.¹⁹

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ილისტიკის განმარტებისას მოყვანილია სწორედ ეს პასაჟი დანიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან და ილისტიკი, კონტექსტიდან გამომდინარე, განმარტებულია, როგორც *ანგელოზი*.²⁰ ამ მუხლის ბერძნული წყაროა:

Ἰθέρουσιν ἐν ὀράματι τῆς σκῆτὸς ἐπὶ τῆς κοίτης μου καὶ ἰδοὺ ἰσ καὶ ἄγγελος ἄπ’ οὐρανοῦ κατέβη.

აქ ილისტიკის შესატყვისია *ი*. დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის ებრაულ ვერსიაში, ამ მუხლში, *ი*-ის შესაბამისია სიტყვა *שׁוּר*, რომელიც გამოითქმის, როგორც *ირ*, ანუ ბერძნულ თარგმანში ებრაული სიტყვა ტრანსლიტერაციით არის გადმოტანილი. თავის მხრივ *კი*, ებრაული ლექსიკური ერთეული *שׁוּ* ნიშნავს *მეთვალყურეს*, *ზედამხედველს*.²¹

ვფიქრობთ, კავშირი ილისტიკის ორ განმარტებას შორის – *შვეური და მეთვალყურე*, *ზედამხედველი* – ცხადია. როგორც ამოსის წიგნიდან მოყვანილი პასაჟიდან ჩანს, საზომი – *შვეული* (ადამასი), ანუ ღვთის მიერ ბოძებული კანონის აღსრულების შემმოწმებელი – ისრაელის ერს ღმერთისაგან, ზევიდან (ზლუდიდან) ევლინება, რათა ისინი არ შეცდნენ და არასოდეს გადაუხვიონ მას. დანიელის წიგნში, ნაბუქოდონოსორის სიზმარში, ილისტიკიც (ანუ მეთვალყურე) ზეციდან, ზევიდან ეშვება მეფის საწოლზე და სიზმარში ღვთის ნებას უცხადებს მას – გარკვეული წესებით მოქმედებას მოითხოვს მისგან.²² ანუ ბიბლიის მიხედვით, *ი* (*ზედამხედველი*, *მეთვალყურე*) და *ἄνμα* (*შვეური / სისწორის საზომი*) – ღვთის ნების აღსრულების შემმოწმებელია.

საიდან გაჩნდა ლექსიკური ერთეული *ილისტიკი* ქართულში? როგორც ვხედავთ, ქართული ნათარგმნი ტექსტების – ბასილი მინიმუსისა და იოანე სკვითოპოლელის კომენტარების, ამონიოს ერმისის თხზულების, ამოსისა და დანიელის წიგნების შესაბამისი ბერძნული წყაროები ამ ლექსიკური ერთეულის წარმომავლობის შესახებ ვერაფერს გვეუბნება. პირველ ორ შემთხვევაში, როდესაც ის ფიგურალურ გამოთქმაშია წარმოდგენილი, ამ სიტყვას ბერძნული შესატყვისი არ აქვს; ამონიოსთან დასტურდება *κάθετος*, ამოსთან – *ἄνμα*, ხოლო დანიელთან – *ი*. როგორც ჩანს, თავად

¹⁹ დანიელ. 4, 13.

²⁰ აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, გვ. 188.

²¹ Collins, “*Watcher* *שׁוּ*”.

²² დანიელ. 4, 10-24.

ბერძნულში შვეულს და, საერთოდაც, სამუშაო იარაღებს, მყარი ლექსიკური შესატყვისები არ ჰქონდა. მაგალითად, ბიბლიის იმ მუხლებში, რომლებშიც საუბარია რაღაცის გაზომვაზე, დასტურდება სხვადასხვა ლექსიკური ერთეული: ქვაჲ კასტირიონი – τὸν λίθον τὸν κασσιτέριον (ზაქარია, 4, 10), საბელი ქუეყანის საზომელი – σαρτίον (ესაია, 34, 11) და სხვ.

რაც შეეხება *ირისციკს*, ის უნდა მომდინარეობდეს მსგავსი უღერადობის მქონე ბერძნული ლექსიკური ერთეულიდან ἰλλᾶς, -ᾶδις – თოკი, ბაწარი,²³ რომელიც საზომი ინსტრუმენტის, შვეულის შემადგენელი ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. თუკი *ირ-ისციკის* ძირს ამ ბერძნულ სიტყვას დავუკავშირებთ, სუფიქსი *-ისციკი* შესაძლოა, ამ ძირის (ἰλλ-//εἰλ-) ფორმატივის სუფიქსად (-ιστ-ικ-იც) წარმოვიდგინოთ, რისი ტრანსლიტერაციაც გვაქვს ქართულ სიტყვაში.

თოკი ძველ სამყაროში თავისთავად, დამოუკიდებლადაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამშენებლო საქმესთან, ხშირად ისეთივე დანიშნულებისა იყო (ანუ ზომავდა, ამოწმებდა), როგორც შვეული. მაგალითად, თოკი ყოველდღიურ ყოფაში აქტიურად იყო გამოყენებული მიწათმოქმედებაში, როგორც მიწის საზომი, სამშენებლო საქმეში – გარდა შვეულისა, დამოუკიდებლადაც, ასევე, თარაზოს პრინციპით მომუშავე ხელსაწყოებში, მაგალითად, იმის განსასაზღვრად, რამდენად სწორად არის ნაშენი ჰორიზონტალური ზედაპირი და ა. შ. მაგალითად, σάρτιον (თოკი), როგორც სამშენებლო საქმეში გამოყენებული ინსტრუმენტი, დასტურდება ნონოს პანოპოლელის „დიონისიაკას“ იმ პასაჟში, რომელშიც აღწერილია ქალაქი თებეს მშენებლობა (Dionysiaca, 5, 55).

როგორც ჩანს, საყოველთაოდ ცნობილი დანიშნულების გამო (გაზომვა, შემოწმება), თოკი ფიგურირებდა გადატანითი მნიშვნელობის მქონე გამონათქვამებში. მაგალითად, ცნობილ თხზულებაში „ახალგაზრდებს იმის თაობაზე, როგორ მიიღონ სარგებლობა წარმართული მწერლობიდან“, რომელიც ბასილი დიდს მიეწერება, ვკითხულობთ: „ამიტომ ყოველი მეცნიერება თავიდანვე უნდა განვიხილოთ და, დორიული ანდაზის მიხედვით, ქვა გავუსწოროთ თოკს, ანუ ჩვენი მიზნის შესაბამისად გამოვიყენოთ“²⁴ (κατὰ τὴν Δωρικὴν παροιμίαν τὸν λίθον πρὸς τὸν σάρτιον ἄγοιτας²⁵). ამგვარად, დორიული ანდაზა უკავშირდება სამშენებლო საქმეს და გადატანითი

²³ ეს აზრი მოგვაწოდა ჩვენმა კოლეგამ, ბიზანტინისტმა მაგდა მჭედლიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

²⁴ კოპლატაძე (თარგ.), *წმ. ბასილი დიდი*, გვ. 141-142.

²⁵ *De legendis gentilium libris*, 4, 10.

მნიშვნელობით გულისხმობს ქრისტიანი ახალგაზრდების მიერ სიზუსტის, ადეკვატურობის დაცვას ანტიკურ მეცნიერებათა გამოყენებაში. ამ პასაჟში თოკის შესატყვისია ბერძნული ლექსიკური ერთეული *σᾶπιον*.

კვლავ დავუბრუნდეთ ლექსიკურ ერთეულს *ἰλῆς*-ს. ბერძნულენოვან წერილობით ძეგლებში ეს სიტყვა ხშირად გამოყენებული არ არის. საერთოდ არ არის ბიბლიაში, ერთხელ გვხვდება ჰომეროსთან.²⁶ ფაქტი, რომ *ἰρისტიკი* დასტურდება დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში,²⁷ მიუთითებს იმაზე, რომ ეს სიტყვა როგორც ქართულ სალაპარაკო, ისე სამწიგნობრო ენაში საკმაოდ ადრეულ პერიოდში უნდა იყოს შემოსული, რადგან ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, ძველი აღთქმის, კერძოდ, წინასწარმეტყველთა წიგნების ქართული თარგმანები ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ პერიოდში შესრულებულად არის მიჩნეული (არაუგვიანეს V-VI სს.).²⁸ სავარაუდოა, რომ დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის ქართველი მთარგმნელი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ქრისტიანული ტერმინოლოგიის პირობებში, ყოფით ლექსიკას მიმართავს²⁹ და იქიდან იღებს უცხოურ ლექსიკურ ერთეულთან (ip) შინაარსობრივად ახლოს მდგომ ყოფით სიტყვას, სამშენებლო საქმესთან დაკავშირებული ხელსაწყო სახელს (ილისტიკი – სიზუსტის შემმოწმებელი საზომი) და არგებს მას მეფე ნაბუქოდონოსორის სიზმრის ეპიზოდს, რომელშიც მეფეს ზეციდან ევლინება ზედამხედველი, შემმოწმებელი – ილისტიკი.

რატომ და საიდან გაჩნდა ეფრემისეულ თარგმანებში ფიგურალური გამოთქმა ილისტიკის კანონი?

საზოგადოდ, ტროპები – მხატვრული სახეები – ფიგურალური გამოთქმები, მეტაფორები, შედარებები, ანალოგიები და სხვ. უხვად დასტურდება ეფრემ მცირისეულ ტექსტებში – მის ორიგინალურ შესავლებსა და მარგინალურ შენიშვნებში, რომლებსაც ის ურთავს ხოლმე საკუთარ თარგმანებს,³⁰ ასევე, მის მიერ თავისუფალი მთარგმნელობითი

²⁶ II. 13, 572; უფრო დეტალურად იხ. Liddell-Scott, *A Greek-English Lexicon*, p. 828.

²⁷ დანიელის წიგნში (4, 13) ილისტიკი დასტურდება ოშკის ბიბლიასა და Jer. georg. 7/11-ში (XI ს). ხოლო გვიანდელ ნუსხებში (ბაქარის ბიბლია და ხეც A-179, 1669 წ.) *ἰრისტიკი* ჩანაცვლებულია *ირისე*-თი. *მიძრია* II, გვ. 2863.

²⁸ Kharanauli, “Georgian Texts”, p. 469.

²⁹ ბიბლიის ქართულ ენაზე გადმოღებისას ეს იყო ერთ-ერთი გზა იმ ცნებების გამოსახატავად, რომლებიც ჯერ კიდევ ახალი და უცნობი იყო ქართული სინამდვილისათვის, იხ. მელიქიშვილი, „ქრისტიანული ტერმინების შექმნის გზები“, გვ. 45, სქ. 36, 37.

³⁰ ეფრემ მცირის მარგინალური შენიშვნების შესახებ გრიგოლ ღვთისმეტყველის

მეთოდით შესრულებულ ნაშრომებში. ეფრემისეულ მხატვრულ სახეებს უმეტესწილად ეძებნება ლიტერატურული წყაროები. ესენია ბიბლია და თავად ეფრემის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნი თხზულებები. მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული საკითხავის კრებულის ეფრემისეული თარგმანის წინასიტყვაობა – ეფრემის ეპისტოლე კვირიკე ალექსანდრიელის მიმართ – მდიდარია მხატვრული სახეებით, რომელთა ნაწილის წყაროა მხატვრული სახეებითა და რიტორიკული ორნამენტებით მდიდარი გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავები (მაგალითად, ეფრემის მიერ ექვთიმე მთაწმინდელის დახასიათებისას გამოყენებული ლომისა და ციდამტკაველის მხატვრული სახე, რომელიც მომდინარეობს გრიგოლ ღვთისმეტყველის XLIII საკითხავიდან – „ბასილი დიდის ეპიტაფიიდან“, კვირიკე ალექსანდრიელის მხატვრული სახე – „ჯერეთ ჳორცთალა შინა მყოფი ჳორცთ-ზეშთაჲ“, რომლის წყარო არის გრიგოლ ღვთისმეტყველის XV საკითხავი „მაკაბელთა მიმართ“).³¹

ნიშუშისათვის განვიხილოთ ერთი ფრაზა ეფრემის მარგინალური შენიშვნიდან, რომელშიც განმარტებულია ბასილი მინიმუსის კომენტარში ნახსენები ლექსიკური ერთეულები – სფერო და ჰემისფერო:

ამის სფერისა სიმრგულესა შინა, ზედასა და ქუეშესა, ვითარცა წერტილი რაჲმე კარაკინითა მომრგულელესა შინა შუა ოდენ არს ქუეყანაჲ.³²

სფეროს განმარტებისას ეფრემი მიმართავს მხატვრულ სახეს – შედარებას: ქვეყანა, ანუ დედამიწა, რომელიც ისე, როგორც წერტილი ფარგლით შემოხაზულ წრეში, მდებარეობს სფეროს შიგნით, მის შუაგულში. ეს შედარება ეფრემს ალებული აქვს გრიგოლ ღვთისმეტყველის XLII საკითხავის ბასილი მინიმუსის კომენტარიდან, რომელშიც კონსტანტინოპოლი, როგორც სამყაროს ცენტრი, შედარებულია ფარგლით შემოხაზული წრის შუაგულში მდებარე წერტილთან:

რამეთუ ესრეთ არს იგი ყოვლისა სოფლისათჳს, ვითარცა წერტილი, რომლისაგან მომრგულეების სიმრგულე კარაკინითა, რამეთუ მისგან

ლიტურგიკული საკითხავების კრებულში იხ. ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი*, გვ. 139-221; იხ. ასევე, თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 47-54.

³¹ ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი*, გვ. 87, 89; ბეზარაშვილი, *რიცორიკისა და თარგმანის თეორია*, გვ. 187-192.

³² Cods. ხეც A-109, f. 61r, Jer. georg. 15, f. 66v, Jer. georg. 43, f. 65v, Jer. georg. 13, f. 319r. ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი*, გვ. 208.

განვლენ და კუალად მისსა შემოვლენ ყოველნი კიდენი.³³

საზოგადოდ, ტროპების სესხება ადრინდელი ავტორებისაგან საკმაოდ მიღებული ხერხია შუა საუკუნეების მწერლობაში. მაგალითად, ლადირი – გადირი – იგივე გიბრალტარის სრუტე, ვიწრო გასავლელი ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტის ოკეანეში იბერიის ნახევარკუნძულსა და აფრიკის კონტინენტს შორის – ადამიანური შესაძლებლობების ზღვარის მეტაფორაა ანტიკური ეპოქის პოეტთან, პინდაროსთან:

მაგრამ გადირის მიღმა წყვიადი არის დახშული,
მაშ, მოაბრუნე ევროპის ნაპირებისკენ ხომალდის საჭე,
რადგან ჩემს ძალებს აღემატება
ეაკოსის ძეთა შესახებ ამბავთა თხრობა.³⁴

აქ პინდაროსი საუბრობს პელეგისა და თეტისის ქორწილზე, რომლის დიდებულების აღწერა ადამიანური შესაძლებლობის ზღვარს მიღმაა. ეს მხატვრული სახე გამოყენებული აქვს გრიგოლ ღვთისმეტყველს ბასილი დიდთან დაკავშირებით:

ესრეთ უკუე აქუნდა ესე და აღსავსე სწავლულებითა იყო ტვრთი, რაოდენ დასატევენელ არს კაცობრივისა ბუნებისა, რამეთუ მიერ კერძო ლადირთა არა წარსავლელ.³⁵

თავის მხრივ, ლადირის მხატვრული სახე ნასესხები აქვს გრიგოლ ღვთისმეტყველის XLIII საკითხავის, „ბასილი დიდის ეპიტაფიის“ ქართული თარგმანიდან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს. ის დავითის შესახებ აღნიშნავს:

ესრეთ რაჲ აღსავსე იყო ნავი ტვრთითა სათნოებისათა და არღარა შემძლებელ წარსლვად ლადირთა.³⁶

საიდან ისეხა ევრემმა ფიგურალური გამოთქმა ილისტიკის კანონი, ჩვენთვის უცნობია. დღეს, როდესაც ევრემის მიერ ნათარგმნი ლიტერატურული მემკვიდრეობა სრულად არ არის შესწავლილი, ძნელი სათქმელია, მან თავისივე ნათარგმნი შუა საუკუნეების რომელიმე ნაწარმოებიდან აიღო ეს გამოთქმა, თუ სხვა რომელიმე ბერძნული წყაროდან

³³ Cod. Jer. georg. 43, f. 155r. ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი*, გვ. 214.

³⁴ Pindarus, *Nem.* IV, 9; პინდაროსი, *ოდები*, გვ. 175.

³⁵ *S. Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica*, IV, p. 115.

³⁶ შანიძე (გამოც.), *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი*, გვ. 122-123; ოთხმეზური, „პინდაროსი“, გვ. 210-211.

ისესხა. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს ყოფილიყო შუა საუკუნეების მწიგნობრულ წრეებში კარგად ცნობილი მთარული ფიგურალური გამოთქმა და მას ზეპირი გზით შემოედწია ეფრემის ტექსტებში.

როგორც წესი, ფიგურალური გამოთქმები, ძირითადად, მხატვრულ-ესთეტიკური დანიშნულებით არის გამოყენებული ლიტერატურულ ნაწარმოებებში. თუმცა შუა საუკუნეების ეგზეგეტურ თუ კომენტარულ ტექსტებში მათ ზოგჯერ განსხვავებული ფუნქცია ეკისრებათ – ისინი ახსნა-განმარტების, კომენტირების ფუნქციას ითავსებენ.³⁷ მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის XXXIX სიტყვის ბასილი მინიმუსის კომენტარში განმარტებულია რიტორიკული ხერხი – *πρὸςκατάστασις* – წინაგანკაზმვა – სათქმელის წინასწარ შემზადება, თხრობისათვის ნიადაგის – მოკლე შესავლის – მომზადება. ეფრემი ამ განმარტებას თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით თარგმნის და მიმართავს მხატვრულ ხერხს, ანალოგიას:

წინაგანკაზმვისა წესი აქუს სიტყუათა ამათ. ხოლო წინაგანკაზმვა არს განმზადება გზათა სიტყვსათაჲ, რაჲთა ადგილ-სცენ თხრობასა მისსა.... აწ მოძღურისაგან იხილვების, რამეთუ პირველ მოიქმს ქუეყანასა და ეგრეთ სთესავს თესლსა.³⁸

ვფიქრობთ, ქართველთათვის უცხო რიტორიკული ტერმინის განმარტების მიზნით, ეფრემი მიმართავს ყოფითი ხასიათის ანალოგიას: თესვისათვის მიწის დამუშავებას.

საზოგადოდ შენიშნულია და ამაზე ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითებიც მიანიშნებს, რომ შუა საუკუნეების ტროპები ხშირად კავშირშია სწორედ ადამიანის ყოფასთან, ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საგნებთან თუ მოვლენებთან (მიწის დამუშავება, მშენებლობა, ფარგალი, შვეული). ამ ტიპის ტროპები ეხმარება ადამიანს პირადი, პრაქტიკული გამოცდილებიდან მიღებული ცოდნა გამოიყენოს უფრო აბსტრაქტული, განყენებული ცნებების გაგებაში.³⁹ ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში ესენია: ლოგოსი, ეპისტემე, სამყაროს ცენტრი, პროკატასტასისი (რიტორიკული ხერხი).

თუმცა პასუხი კითხვაზე, თუ რა ფუნქციას ასრულებდა ბასილი

³⁷ დობორჯინიძე, *დინგვისდურ-პერმენევიკული მეტაფორები*, გვ. 165.

³⁸ ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი*, გვ. 255.

³⁹ კონცეპტუალური მეტაფორები – ასე უწოდებენ ამგვარ გამოთქმებს თანამედროვე ლინგვისტიკის სფეროში 1980 წელს გამოცემული საყურადღებო წიგნის – *Metaphors We Live By* – ავტორები (Lakoff, Johnson).

მინიმუსისა და იოანე სკვიტოპოლელის კომენტარებში ეფრემის მიერ ჩართული გამოთქმა „ილისტიკის კანონი“, მაინც ერთმნიშვნელოვანი არ არის. ვფიქრობთ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ცნობილი, პოპულარული იყო ეს გამოთქმა მკითხველთა იმ წრეში,⁴⁰ რომლისთვისაც ეფრემი თარგმნიდა ამ ტექსტებს. თუ კი ეს იყო მოარული, საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმა, მაშინ კომენტართა ეფრემისეულ თარგმანებში მას, ცხადია, ახსნა-განმარტებითი ფუნქცია დაეკისრებოდა. მაგრამ თუ ეს იყო იშვიათი ფიგურალური გამოთქმა, რომლის შინაარსის ამოცნობა მხოლოდ წიგნიერი მკითხველების ვიწრო წრისათვის იყო ხელმისაწვდომი, და თუ გავითვალისწინებთ იმ მწიგნობრულ გარემოს, რომელშიც იქმნებოდა ეს თარგმანები (ეფრემის ელინთმოყვარეობა, გატაცება რიტორიკით, მის თარგმანებში სპეციალურად ჩართული ბერძნული ლექსიკური ერთეულები⁴¹ და ა. შ., ასევე, მისი *სწავლისმოყვარე, კეთილად გამომეძიებელი, იშუთ გულისწმისმოყვარი მკითხველები*⁴²), მაშინ ეფრემის მიზანი იქნებოდა ტექსტის, თუნდაც კომენტარულის, მხატვრული სახით გამშვენება, მხატვრული ტექსტების კითხვაში გაწაფული, განსწავლული მკითხველისათვის „მიფარულის“⁴³ ამოცნობით მიღებული სიამოვნების მინიჭება. როგორც ცნობილია, ბიზანტიური რიტორიკის თეორიის მიხედვით, *ἄσκησις* – ბუნდოვანება, მიფარულობა – მაღალი სტილის მახასიათებელია და ხშირად არის გამოყენებული როგორც რიტორიკული ხერხი მხატვრულ ტექსტებში.

მიუხედავად იმისა, რომ ფიგურალური გამოთქმის – ილისტიკის კანონის – კვლევის ამ ეტაპზე ზოგი რამ კიდევ გაურკვეველი დაგვრჩა, შუა საუკუნეების ლექსიკისა და მხატვრული აზროვნების ლაბირინთებში მოგზაურობა – მიფარულის წვდომის მცდელობა, ვფიქრობთ, თავისთავად უსარგებლო არ უნდა იყოს ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

⁴⁰ შუა საუკუნეების მკითხველების შესახებ იხ. Papaioannou, “Readers and Their Pleasures”, pp. 525-549.

⁴¹ ოთხმეხური, „ეფრემ მცირე და ‘ბერძულად სასწავლელი’ სიტყვები“, გვ. 143-145.

⁴² ასე ახასიათებს ეფრემი თავის მკითხველებს საკუთარი თარგმანების წინასიტყვაობებსა და კოლოფონებში, თვალთვადე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 214, 227.

⁴³ ეფრემი მიფარულებზე, როგორც გრიგოლ ღვთისმეტყველის სტილის მახასიათებელზე, საუბრობს გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების კრებულზე დართულ შესავალში – ეპისტოლეში კვირიკე ალექსანდრიელის მიმართ, თვალთვადე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 228.

ბიბლიოგრაფია

- აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი** = ი. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, თბილისი, 1973.
- ბეზარაშვილი, რიცორიკისა და თარგმანის თეორია** = ქ. ბეზარაშვილი, *რიცორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით)*, თბილისი, 2004.
- ბიბლია, II** = ბიბლია. ძველი აღთქმა, II, 2017.
- დობორჯინიძე, დინგვისცურ-პერმენევციკული მეტაფექსტები** = ნ. დობორჯინიძე, *დინგვისცურ-პერმენევციკული მეტაფექსტები, პრაქტიკული გრამატიკა და პერმენევციკა X-XIII სს. ქართულ წყაროებში*, თბილისი, 2012.
- ენუქაშვილი (გამოც.), პეგრე იბერიელი** = ს. ენუქაშვილი (გამოც.), *პეგრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგედი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი*, თბილისი, 1961.
- თვალთვაძე, ეფრემ მცირის კოლოფონები** = დ. თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, თბილისი, 2009.
- კეკელაძე, რაფავა (გამოც.), ამონიოს ერმისის თხზულებები** = ნ. კეკელაძე, მ. რაფავა (გამოც.), *ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში*, თბილისი, 1983.
- კოპლატაძე (თარგ.), წმ. ბასილი დიდი** = გ. კოპლატაძე (თარგ.), *წმ. ბასილი დიდი, კესარიაკაპადოკიის მთავარეპისკოპოსი, ახარებაზრდუმს იმის თაობაზე, როგორ მიიღონ სარგებლობა წარმართული მწერლობიდან*, თბილისი, 2011.
- მელიქიშვილი, „ქრისტიანული ტერმინების შექმნის გზები“** = ნ. მელიქიშვილი, *„ქრისტიანული ტერმინების შექმნის გზები ბიბლიურ წიგნთა თარგმანებში“*, *ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, ბიბლიოლოგია. პომილეტიკა*, I, თბილისი, 2012.
- ოთხმეზური, კომენტარული ჟანრი** = თ. ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ცრადიციაში. ეფრემ მცირე და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარები*, თბილისი, 2011.
- ოთხმეზური, „ეფრემ მცირე და ‘ბერძულად სასწავლელი’ სიტყვები“** = თ. ოთხმეზური, *„ეფრემ მცირე და ‘ბერძულად სასწავლელი’ სიტყვები“*, *ნახნავი: ფილოლოგიურ კვლევათა წერილდუდი*, 1 (2009), გვ. 139-151.
- ოთხმეზური, „პინდაროსი“** = თ. ოთხმეზური, *„პინდაროსი ძველ ქართულ მწერლობაში?“* *ნახნავი: ფილოლოგიურ კვლევათა წერილდუდი*, 2 (2010), გვ. 210-217.
- ორბელიანი I** = სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, თბილისი, 1991.
- ორბელიანი II** = სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 1993.
- პინდაროსი, ოდები** = პინდაროსი, *ოდები, ფრაგმენტები*, ნ. ტონიას თარგმანი, თბილისი, 2003.
- ჰუმბურიძე (გამოც.), ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი** = ა. ჰუმბურიძე (გამოც.), *ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ*, თბილისი, 2001.
- შანიძე (გამოც.), ცხორება** = მზ. შანიძე (გამოც.), *ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი*, თბილისი, 1992.

- Collins**, “*Watcher* უჩუი” = J. J. Collins, “*Watcher* უჩუი”, *Dictionary of Deities and Demons in the Bible Online*, K. van der Toorn, B. Becking, P. W. van der Horst (eds.), consulted online on 15 November 2023 <http://dx.doi.org/10.1163/2589-7802>
- [S.] **Gregorii Nazianzeni Opera. Versio iberica, I-VII** = E. Metreveli, B. Coulie et al. (eds.), *Gregorii Nazianzeni Opera. Versio iberica, I-VII* (*Corpus Christianorum, Series Graeca*, 36, 42, 45, 52, 58, 78, 86. *Corpus Nazianzenum*, 5, 9, 12, 17, 20, 26, 28), edita a B. Coulie, H. Metreveli et al., Turnhout, 1998-2018.
- [S.] **Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica, IV** = S. Gregorii Nazianzeni Opera. *Versio Iberica, IV. Oratio XLIII* (*Corpus Christianorum, Series Graeca*, 52. *Corpus Nazianzenum*, 17), edita a B. Coulie, H. Metreveli et K. Bezarachvili, T. Kourtsikidze, N. Melikichvili, T. Othkhmezhouri, M. Rapava, Turnhout, 2004.
- [S.] **Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica, VII** = S. Gregorii Nazianzeni Opera. *Versio Iberica, VII. Orationes XIV, XVI* (*Corpus Christianorum, Series Graeca*, 86. *Corpus Nazianzenum*, 28), edita a B. Coulie, H. Metreveli et K. Bezarachvili, T. Kourtsikidze, N. Melikichvili, T. Othkhmezhouri, M. Raphava, Turnhout – Leuven, 2017.
- Kharanauli**, “*Georgian Texts*” = A. Kharanauli, “*Georgian Texts*”, *Textual History of the Bible. The Deuterocanonical Scriptures*, vol. 2A, A. Lange, F. Feder, M. Henze (eds.), Leiden – Boston, 2020, pp. 456-472.
- Lakoff, Johnson**, *Metaphors* = G. Lakoff, M. Johnson, *Metaphors We Live By*, Chicago – London, 1980.
- Liddell-Scott**, *A Greek-English Lexicon* = H. G. Liddell, R. Scott., *A Greek-English Lexicon*, Oxford, 1940.
- Othkhmezhouri**, “*The Liturgical Sermons*” = T. Othkhmezhouri, “*The Liturgical Sermons of Gregory of Nazianzus. On the Date of the Georgian Translation by Ephrem Mtsire*”, in: Schmidt (ed.), *Studia Nazianzenica*, II (*Corpus Christianorum, Series Graeca*, 73), Turnhout, 2010, pp. 469-475.
- Papaioannou**, “*Readers and Their Pleasures*” = S. Papaioannou, “*Readers and Their Pleasures*”, S. Papaioannou (ed.), *The Oxford Handbook of Byzantine Literature*, Oxford, 2021, pp. 525-549.
- Rioual (ed.)**, *Basilii Minimi* = G. Rioual (ed.), *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni Orationes 4 et 5 commentarii* (*Corpus Christianorum, Series Graeca*, 90. *Corpus Nazianzenum*, 29), Turnhout, 2019.
- Schmidt (ed.)**, *Basilii Minimi* = T. Schmidt (ed.), *Basilii Minimi In Gregorii Nazianzeni Orationem 38 commentarii* (*Corpus Christianorum, Series Graeca* 46, *Corpus Nazianzenum*, 13), Turnhout, 2001.
- Suchla (ed.)**, *Corpus Dionysiacum*, IV/1 = B. R. Suchla (ed.), *Ioannis Scythopolitani Prologus et scholia in Dionysii Areopagitae librum De divinis nominibus, Corpus Dionysiacum*, IV/1 (*Patristische Texte und Studien*, 62), Berlin, 2011.

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
otkhmezhuri@hotmail.com

**FIGURATIVE EXPRESSION – A RULE OF ILISTIKI – IN
THE COLLECTION OF GREGORY THE THEOLOGIAN’S
LITURGICAL SERMONS AND THE CORPUS AREOPAGITICUS
TRANSLATED BY EPHREM MTSIRE**

SUMMARY

The collection of Gregory the Theologian’s *Liturgical Sermons* and the *Corpus Areopagiticus*, the two most significant works of late antiquity, are translated into Georgian by a famous Georgian scholar of the Black Mountain (the Antioch region), Ephrem Mtsire in the last decade of the 11th century. Both collections also contain Ephrem’s translations of Byzantine commentaries which are placed in the margins of the manuscripts. The *Commentaries* on Gregory the Theologian’s sermons are composed by the 10th century Byzantine scholar Basilus Minimus; the *Commentaries* of the *Corpus Areopagiticus* belong to the 6th century author John Scythopolis. In contrast to the highly literal translations of the main texts, Ephrem translated the *Commentaries* in a free manner. Selecting of such a translation method for rendering the *Commentaries* into Georgian was conditioned by the expositional character of these texts. Certain adaptations – additions and omissions – as well as some linguistic changes were required to preserve the expositional function of the *Commentaries*.

The aim of our article is to discuss a figurative expression – კანონი ოღობითობად (*a rule of ilistiki*) – attested in the Ephrem’s translation of the *Commentaries* of Basilus Minimus and John of Scythopolis, which must have been included in these texts by Ephrem.

Based on the analysis of various sources it has been revealed, that a lexical unit *ilistiki* means a *plumb* – a ball of a heavy object attached to the end of a rope for determining the vertical on an upright surface. It is carried over from Greek to Georgian by means of transliteration of a Greek word ἰλλάξ – *a rope* and a Greek suffix -ιστικ-. The *Rule of ilistiki* is the figurative expression and means a *true, well-established rule*.

Today, when Ephrem’s literary heritage is not fully studied, it is difficult to say whether he took this figurative expression from any medieval work he translated, or he borrowed it from some other source.

We cannot say precisely what was the function of this figurative expression in the *Commentaries* of Basilus Minimus and John of Scythopolis. It depends on how well-known, popular this expression was among the readers for whom Ephrem was translating these texts. If this was a well-known expression in that

epoch, then it would have had an explanatory function in these texts. If it was a rare expression, the content of which could only be recognized by a small circle of literate readers, then it would have had employed by Ephrem as a rhetorical ornament with an artistic function in the texts.

Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts
otkhmezuri@hotmail.com

Thamar Otkhmezuri

**წმ. ეფთვიმე ათონელის „ღვთისმშობლის
ცხოვრების“ ქართული თარგმანის ბერძნული
წყაროს შესახებ
(მიშელ ვან ესბროკისა და ქრისტოს სიმელიდის კვლევებზე
დაყრდნობით)**

წინამდებარე სტატიამში შევეცდებით წარმოვადგინოთ ორი განსხვავებული მოსაზრება წმ. ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილი „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ბერძნული წყაროს შესახებ. ამ ტექსტის არსებობა, რომლის ბერძნული დედანი დღესდღეობით არ არსებობს, ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1986 წელს ის გამოიცა ბელგიელი მეცნიერის, მიშელ ვან ესბროკის მიერ.¹ თარგმანზე დართულ კოლოფონში მთარგმნელად ეფთვიმე ათონელი არის დასახელებული,² ხოლო სათაურში ტექსტის ავტორად მითითებულია წმ. მაქსიმე აღმსარებელი.³

ბერძენმა მკვლევარმა, ქრისტოს სიმელიდისმა, საკითხს, თუ რეალურად რომელი ავტორის თხზულება თარგმნა ეფთვიმე ათონელმა, ვრცელი წერილი მიუძღვნა: „ყოვლადწმიდა ქალწულის ორი ცხოვრება – იოანე გეომეტრი, ეფთვიმე ათონელი და მაქსიმე აღმსარებელი“.⁴ მისი თქმით, გამომხაურება ინფორმაციაზე მაქსიმე აღმსარებლის ავტორობის შესახებ,

¹ Esbroeck (ed.), *Vie de la Vierge*.

² „ქრისტე, მეუფეო დიდებისაო, მეოხებითა მშობელისა შენისა, წმიდისა ქალწულისა მარიამისითა, შეიწყალე და აცხოვნე სულითა გლახაკი ეფთვიმე, რომელმან წმიდაჲ ესე წიგნი, ცხორებაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისა, ბერძელისაგან ქართულად თარგმანა წმიდასა მთასა ათონას,“ ხეც A-40, 282r (X საუკუნის ის უადრესი ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ამ თარგმანს).

³ „ქებაჲ და დიდებაჲ, შესხმაჲ და გალობაჲ ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა და უმეტესად კურთხეულისა დედუფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისი და უწყებაჲ უბიწოჲსა მის და სანატრელისა მოქალაქობისა მისისაჲ შობითგან მიცვალებადმდე, აღწერილი ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმეს მიერ, ფილოსოფოსისა და აღმსარებელისა“, ხეც A-40, 1r.

⁴ Simelidis, “Two Lives”, pp. 125-159.

იყო „მისი ერთგულებით მიღებიდან სიჩუმემდე და რადიკალურ უარყოფამდე“.⁵ პირველი, რაც დასაწყისშივე გვსურს აღვნიშნოთ, არის შემდეგი: **ქრისტოს სიმელიდისი არ თვლის დასაბუთებულად, რომ ქართული თარგმანი მაქსიმე აღმსარებლის „ღვთისმშობლის ცხოვრების“ დაკარგული ბერძნული თხზულების თარგმანია.**⁶ მისი აზრით, გასარკვევია, ხელნაწერის სათაურში ტექსტის ავტორობას მაქსიმეს ეფთვიმე ათონელი მიაწერს, თუ რომელიმე გვიანდელი გადამწერი. ის გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეფთვიმეს მამოძრავებელი მოტივი ავტორად მაქსიმეს გამოცხადებისა, შესაძლებელია, ყოფილიყო სურვილი, ამ დიდი ავტორიტეტის მქონე საეკლესიო მამის სახელის გამოყენებით, ხელი შეეწყო თავისი თარგმანის პოპულარიზაციისა და ფართოდ გავრცელებისათვის. მაქსიმესათვის ამ ტექსტის არასწორად მიკუთვნება, სიმელიდისის თქმით, არ იყო გამონაკლისი – ეფთვიმეს თარგმანთა შორის ვხვდებით სხვა ავტორთა ტექსტებსაც, რომლებიც, ასევე, მაქსიმეს სახელს ატარებენ.⁷ ის კიდევ ერთ ვარაუდს გამოთქვამს ბერძნული დედნის თაობაზე: არ არის გამორიცხული, რომ ეფთვიმემ, გამოიყენა რა ადრინდელი არაანონიმური ტექსტის გადამუშავებული ვერსიის შექმნის მეტაფრასული მეთოდი, **ჩათვალია, რომ მის მიერ ტექსტში შეტანილი ცვლილებების შემდეგ არ იყო აუცილებელი, თხზულება კვლავ მისი ავტორისათვის (სიმელიდისის ვარაუდით, – იოანე გეომეტრისათვის) მიეკუთვნებინა, რომლის სახელიც არაფერს ეუბნებოდა ქართველ მკითხველს.**⁸

⁵ იქვე, გვ. 125.

⁶ აქ და ქვემოთ ყველგან, ჩვენ მიერ საზგასმულ ადგილებს ვამუქებთ – აღვნიშნავთ ე.წ. ბოლდით, ხოლო ბრჭყალებში მოტანილ ციტატებს – კურსივით (იტალიკით).

⁷ Simelidis, “Two Lives”, p. 129. ქართველ მეცნიერთა მიერ, მართლაც, მიკვლეულია ეფთვიმე ათონელის რამდენიმე თარგმანი, რომელიც აქამდე მაქსიმეს სახელით იყო ცნობილი, კერძოდ: კოჭლამაზაშვილი, „წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელით“; ტყეუბუჩავა, „წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელით“; ტყეუბუჩავა, „წმ. ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი“; ხოფერია, „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების“; Chantladze, “Euthymius the Athonite’s Translation”; Otkhmezouri, “Maximus the Confessor’s”. ვფიქრობთ, ამ ფაქტის არსებობა ვერ იქნება არგუმენტი, რომ დამატებითი, საფუძვლიანი კვლევის გარეშე ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ეფთვიმეს მიერ მართლაც მაქსიმეს რომელიმე თხზულების თარგმნის შესაძლებლობა.

⁸ Simelidis, “Two Lives”, pp. 128-129. სტატიის ამ მონაკვეთში ქრისტოს სიმელიდისი ვრცლად საუბრობს, ზოგადად, ეფთვიმეს მთარგმნელობით მეთოდზე, იმაზე, რომ ამ მეთოდისა და, კიდევ, იმის გამო, რომ ეს დიდი ათონელი მამა იყო „არაჩვეულებრივი განათლებისა და ნიჭის ადამიანი,

ქრისტოს სიმელიდისი იოანე გეომეტრს მიაწერს იმ ბერძნული წყაროს ავტორობას, რომელიც თარგმნა ეფთვიმე ათონელმა. ბერძენი მკვლევარი იოანე გეომეტრს ახასიათებს როგორც „X საუკუნის ბოლო პერიოდის ცნობილ მწერარს, მიზანწიის რიფერაფურის ისტორიაში ყველაზე საინტერესო პიროვნებას”.⁹ მისი სახელით მოღწეულია ღვთისმშობლის ცხოვრების ამსახველი ტექსტი,¹⁰ რომელსაც ქრისტოს სიმელიდისი, თავისი ვერსიის დასასაბუთებლად, აანალიზებს ეფთვიმე ათონელის „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ქართულ თარგმანთან მიმართებით, ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომების გათვალისწინებით.

მიშელ ვან ესბროკმა მის მიერ გამოცემული ეფთვიმესეული ქართული ტექსტი თარგმნა ფრანგულად და მას, შესავლის სახით, წაუძღვარა გამოკვლევა.¹¹ ესბროკის აზრით, „ორი ცექსტის პარაღერუობა არასაკმარისია იმისათვის, რომ ვიფიქროთ ერთის მეორე ცექსტზე დამოკიდებულებაზე, ... თუ შევძლებთ დავამტკიცოთ, რომ მას ხედავს ჰქონდა თუნდაც იოანე გეომეტრის ცექსტი, რჩება შესაძლებლობა, რომ ორივე მათგანს ერთი მოდელით ესარგებდა. შეიძლება ამოვიკრიბოთ რიგი საკითხები, რომელთა დამთხვევაც ერთ დასკვნამდე მიგვიყვანს: იოანე გეომეტრმა გადააკეთა¹² ცექსტი, რომელიც ექვთიმემ თარგმნა ქართულად“.¹³

ტექსტებს შორის არსებულ კავშირს ქრისტოს სიმელიდისი სხვაგვარ ახსნას უძებნის: ის სკეპტიკურად უდგება საკითხს იოანე გეომეტრის მიერ მაქსიმეს თხზულების, როგორც ერთ-ერთი წყაროს, გამოყენების შესახებ; მისი აზრით, **კავშირი ქართულ თარგმანსა და გეომეტრის ტექსტს შორის არ უნდა გახდეს დაბრკოლება საიმისოდ, რომ გეომეტრი ვალიართ როგორც ავტორი მისი სახელით მოღწეული „ღვთისმშობლის ცხოვრებისა“.**

სიმელიდისი იმოწმებს მოზრდილ მონაკვეთს გეომეტრის მიერ თავის თხზულებაზე დართული წინასიტყვიდან; ითვალისწინებს და ეყრდნობა რა ამ უკანასკნელის შეფასებას მის მიერ გაწეული საკუთარი შრომისა,

... მას შეეძლო გადამუშავების გზით მაღალი ღირებულების თხზულების შექმნა“. მაგალითისათვის ქრისტოს სიმელიდისი ახახელებს შუა საუკუნეების ერთ-ერთ ბესტსელერს, „ვარლაამ და იოდასაფს“ – ბუდას ცხოვრების გაქრისტიანებული ვერსიის ქართულიდან ბერძნულ ენაზე შესრულებულ ეფთვიმესეულ თარგმანს.

⁹ Simelidis, “Two Lives”, p. 130.

¹⁰ ტექსტი გამოცემულია: John Geometres, *Life of the Virgin Mary*.

¹¹ Esbroeck, *Vie de la Vierge*, Introduction, pp. V-XXXVIII.

¹² ესბროკი იყენებს სიტყვას: “remanic”, ხოლო სიმელიდისი – “redrafted”.

¹³ Esbroeck, *Vie de la Vierge*, p. XX.

ასაბუთებს თეზას გეომეტრის ავტორობის შესახებ. აი, ეს ტექსტი:

*„ამ საკითხებთან მჭიდრო შეხებით მე ვადმოვცემ, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, იმას, რაც გონივრულია ჩვენი სადღესასწაულო შეკრებისათვის და რასაც მოვიძიებ ისინი, ვინც ისტორიაში ჩაღრმავებისაკენ ისწრაფვის, აგრეთვე, მივართმევ მადლიერების ჩვენს ძღვენს ყოველდღიურად ქაღალდს, რომელიც არის ღვთისმშობელი და ყოველთა დედოფალი. მიუხედავად იმისა, რომ მე ვიღებ ვადღებულებას, დავწერო ამდენი ავტორის შემდეგ, ეს არ არის დასაგმობი, არამედ იმსახურებს წახადისებას, რადგან ჩემი სურვილი არ ჩამოუვარდება ჩემი წინამორბედებისას. შესაძლოა, ეს თამამი გამონათქვამი იყოს – მან, ვინც ამდენი ავტორის შემდეგ ცდილობს, ასეთ ღვაწლს შეუდგეს, აუცილებლად უნდა თქვას ყველაფერი, რაც მათ თქვას და დაუმატოს კიდევ უფრო მეტი. მე ამგვარად შევავროვე მასადა, რაც წავიკითხე არა მხოლოდ მახარებლებთან და წინასწარმეფველებთან, არამედ აპოკრიფურ ნაშრომებშიც, რადგან ისინი ეთანხმებიან და მისდევენ მახარებლებს, წინასწარმეფველებსა და დიდ, შთაგონებულ მამებსა და მასწავლებლებს; ამას ნებისმიერი მიუკერძოებელი მსმენელი და მცოდნე ადვილად მიხვდება“.*¹⁴

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს წინასიტყვა უქმნის სიმელიდის საფუძველს, კიდევ უფრო მყარად გამოთქვას აზრი გეომეტრის ავტორობის შესახებ; ის აღნიშნავს, რომ გეომეტრმა მოახდინა ღვთისმშობლის ცხოვრების თემზე არსებული ვრცელი ლიტერატურის სისტემატიზაცია და, საკუთარი აზრების ჩართვით, კიდევ უფრო სრულყოფილი ნაშრომი შექმნა. ამასთან, სიმელიდის ამტკიცებს, რომ ამ მასალის გამოყენება არ იყო პლაგიატი, არამედ მეტაფრასული მეთოდი, რომელიც სრულიად დასაშვებია იყო სვიმეონ მეტაფრასტისა და ნიკიფორე ურანოსის ეპოქაში. ბერძენი მკვლევარი იმასაც დასძენს, რომ იმ ეპოქაში ბიზანტიაში პატრისტიკული ავტორების კოპირება მისაღებად იყო მიჩნეული.¹⁵

ქრისტოს სიმელიდის თავის წერილში რამდენიმეჯერ უსვამს ხაზს, რომ იოანე გეომეტრს *„არ გადაუშუშავებია ამჟამად დაკარგული ის ბერძნული დედანი, რომლის არსებობაც სრულიად დაუდასტურებელია“*,¹⁶ რომ *„გეომეტრის ‘ღვთისმშობლის ცხოვრება’ არის მისი საკუთარი თხზულება – ის იყენებდა და ამუშავებდა მრავალ წყაროს შემოქმედებითი გზით“*¹⁷ და, იმ წყაროების კვალდაკვალ, გეომეტრის მიერ თხზულებაში შეტანილია მნიშვნელოვანი

¹⁴ Simelidis, “Two Lives”, p. 118.

¹⁵ იქვე, გვ. 126-127.

¹⁶ იქვე, გვ. 127 (სიმელიდისი გულისხმობს მაქსიმე აღმსარებლის დაკარგულ, ჰიპოთეტურ ტექსტს).

¹⁷ იქვე, გვ. 128.

წვლილი – ეს ჩანს განსახილველ ტექსტში იმ აზრებისა და სახეების გამეორებაში, რაც დასტურდება ამ ავტორის სხვა თხზულებებში.¹⁸

გეომეტრის ხელწერა, სიმელიდისის აზრით, **კარგად ჩანს მის ნაკლებად ამალღებულ პროზაულ სტილში, რაც არ ახასიათებდა მაქსიმეს** და რაც გამოკვეთილია გეომეტრის სხვა ნაწერებშიც.

ამგვარად, ქრისტოს სიმელიდისის ეჭვის საგანია ეფთვიმეს მიერ დაკარგულად მიჩნეული მაქსიმე აღმსარებლის ბერძნული ტექსტის თარგმნა. მისი აზრით, ლინგვისტურმა შედარებამ გამოავლინა დიდი მსგავსება ეფთვიმეს თარგმანსა და გეომეტრის ტექსტებს შორის: *„ქართული თარგმანი რომ არ მომდინარეობდეს გეომეტრის ფექსტისაგან, არ იქნებოდა ასეთი სრული შესაბამისობა“*. ამ ორ ტექსტს შორის ძლიერი ან თითქმის სრული სიტყვიერი შესაბამისობის ერთადერთი ახსნა, მისი აზრით, არის ის, რომ **„ქართული ფექსტი არის თარგმანი იოანე გეომეტრის ფექსტისა“**... *„ორივე ეს ფექსტი დამოკიდებული რომ იყოს ადრეულ ბერძნულ ფექსტზე, დაწერილზე ნაკლებად ამალღებული პროზაული სტილით, მაშინ ქართული თარგმანი ასე გედმინვნით არ გაიმეორებდა გეომეტრის ბერძნულს“*.¹⁹ სიმელიდისის აზრით, **ის საერთო, რაც არსებობს ქართულ თარგმანსა და გეომეტრის ტექსტებს შორის, უნდა აიხსნას ქართული თარგმანის გეომეტრის თხზულებიდან მომდინარეობით და არა უშუალოდ მაქსიმეს თხზულების თარგმნით.**²⁰

ქრისტოს სიმელიდისის ზემოთ დასახელებული საკმაოდ ვრცელი წერილის დასაწყისი, ზოგადი, ნაწილის ამ მოკლე მიმოხილვაში ჩვენთვის არსებითია ის, რომ წერილის ავტორის მტკიცებით, **ეფთვიმე ათონელმა თარგმნა არა მაქსიმე აღმსარებლის დღეისათვის არარსებული ბერძნული ტექსტი, არამედ იოანე გეომეტრის თხზულება.** ამ თეზის გასამყარებლად სიმელიდისის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ **ტექსტობრივად დიდი სიახლოვეა „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ქართულ თარგმანსა და გეომეტრის „ღვთისმშობლის ცხოვრებას“ შორის; გარდა ამისა, „გეომეტრის ხელწერას“, რაც, სიმელიდისის თქმით, კარგად ჩანს მაქსიმეს სტილისაგან სრულიად განსხვავებულ მის „ნაკლებად ამალღებულ პროზაულ სტილში“, ის ავრცობს ქართულ თარგმანზეც,**

ქვემოთ შევხებით სიმელიდისის მიერ წარმოდგენილ კონკრეტულ

¹⁸ Simelidis, “Two Lives”, pp. 132-135.

¹⁹ იქვე, გვ. 127.

²⁰ იქვე.

არგუმენტებს და, გარკვეულ შემთხვევებში, მათ შევუპირისპირებთ მიშელ ვან ესბროკის ფრანგული თარგმანისათვის წამძღვარებული შესავალი წერილიდან იმ მასალას, რომელიც საპირისპიროზე მეტყველებს, ანუ – ეფთვიმე ათონელის თარგმანის მომდინარეობაზე მაქსიმე აღმსარებლის დაკარგული ბერძნული თხზულებიდან (**ან რომელიდაცა დღეს არარსებული ან მიუკვლეველი ბერძნული ტექსტიდან, რის ალბათობასაც ჩვენ არ გამოვრიცხავთ; ნ. მ.**); ამ მასალას დავუმატებთ ჩვენეულ დაკვირვებებსაც ამ ორი ავტორის მიერ (მიშელ ვან ესბროკისა და ქრისტოს სიმელიდისის) **წარმოდგენილი მტკიცებულებების დამაჯერებლობის შესახებ.** ვეცდებით, გამოვკვეთოთ, თუ რამდენად ამოწურულად შეიძლება ჩაითვალოს დღესდღეობით საკითხი „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ეფთვიმესეული ქართული თარგმანის წარმომავლობის შესახებ.

ამოსავალი წერტილი სიმელიდისისათვის ეფთვიმეს თარგმანის გეომეტრის თხზულებიდან მომდინარეობის შესახებ მსჯელობისას **არის ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდი, რომლის მისადაგებიტაც ქართული თარგმანისადმი ის ხსნის ყველა განსხვავებას ამ ორ თხზულებას შორის.** ბერძენი მკვლევარი ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდის მიმოხილვისას ეყრდნობა როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი მეცნიერების ნაშრომებს და იზიარებს მათ აზრს, რომ ეფთვიმესათვის მნიშვნელოვანი იყო „*გამარცივებული, შემოკლებული, ან გაფართოებული, ინფერპოლირებული და ზოგჯერ შედგენილი თარგმანების შექმნა*“.²¹ ამ მიზნით ის (ეფთვიმე) სხვადასხვა ხერხს მიმართავდა, მაგ.: იღებდა სათარგმნი ტექსტიდან „*დახვენიდ თეოლოგიურ და ფილოსოფიურ არგუმენტებს, ასევე, მეორეხარისხოვან ისტორიულ გადმოცემებს*“,²² „*მითოლოგიას, საეკლესიო*

²¹ Simelidis, “Two Lives”, p. 128, n. 21; p. 139, n. 107 (სიმელიდისის მიერ სტატიის სქოლიოში დამოწმებულ მკვლევართა ნაშრომებს წარმოვადგენთ ჩვენი წერილის სქოლიოშიც, რათა დაინტერესებულმა მკითხველმა შეძლოს მათი გაცნობა). რაც შეეხება “შემოკლებულ” თარგმანებს, ამ პუნქტთან მიმართებით სიმელიდისი იმოწმებს მხოლოდ ქ. ბუზარაშვილის ნაშრომს, რომელიც, ძირითადად, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კვლევას ეფუძნება. ვფიქრობთ, პროზაულ თხზულებებზე ამ პუნქტის გავრცელება გაჭირდება, რადგან ისინი ეფთვიმეს თარგმანებში, როგორც წესი, გავრცობილია მათი კომენტარების ხარჯზე (იხ.: მელიქიშვილი, „რამდენიმე დაკვირვება“, გვ. 120-123).

²² Simelidis, “Two Lives”, p. 139, n. 108.

პოდიკის ამბებს“;²³ „უცენზურო ძველ ბერძნულ საიდუმლოებებს“;²⁴ „ცნდენციურად ამოკლებდა ცექსცს“.²⁵ თავისი ძირითადი მიზნის მისაღწევად, რთული ან სკანდალური ადგილების გამოტოვების გარდა, სიმელიდის ასახელებს ეფთვიმეს მიერ აღმზრდელითი პასაჟების ინტერპოლაციას ტექსტში.²⁶ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, ქრისტოს სიმელიდის წერს, რომ ეფთვიმე ქმნიდა ახალ ტექსტებს სხვა პატრისტიკული ტექსტების საფუძველზე.²⁷ **ბერძენი მკვლევარი არ გამოიცხავს, რომ „იშვიათ შემთხვევებში, შესაძლოა, ეფთვიმე თარგმნიდა იმ დედნებიდან, რომლებიც შემდეგში დაიკარგა და ეს განსხვავებები ამით აიხსნება“;**²⁸ მაგრამ იშველიებს აკად. კორნელი კეკელიძეს და მიიჩნევს, რომ **ეფთვიმე, ძირითადად, დაინტერესებული იყო მოდელების ადაპტაციით და არა სათანადო თარგმანით, შედეგად კი იქმნებოდა ბერძნული თხზულებების არსებითად ახალი ვერსიები.**²⁹

მოკლედ შევეხებით აკად. კორნელი კეკელიძის თვალსაზრისს ეფთვიმე ათონელის უშუალოდ ამ საკვლევი ქართული თარგმანის წარმომავლობის შესახებ. აი, რას წერს ის: „ჩანს, ბიზანციურ დიფერაფურაში ცნობილი ყოფილა კრებული ღვთისმშობლის შესახებ აპოკრიფებისა, რომელიც, მეცი ავტორიტეტისათვის, ნარწერილი ყოფილა მაქსიმე აღმსარებლის სახელით; ამ გარემოებას, აგრეთვე, იმას, რომ შინაარსი ამ კრებულისა ... მოგანიღია თითქოს საღმრთო წერილისა და წმიდა მამათა თხზულებათაგან, გაუბედვინებია ექვთიმესათვის ეთარგმნა მკითხველთათვის ეს შინაარსით საინტერესო კრებული“.³⁰

ჩვენი მიზანი ამჯერად არ არის, გავყვეთ დიდი მეცნიერის ამ ვარაუდს და მის შესახებ ვისაუბროთ. გვსურდა, მხოლოდ მისი პოზიციის წარმოჩენა.

დავუბრუნდეთ სიმელიდის არგუმენტს. იგი ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობით მეთოდს უკავშირებს მეტაფორასტების მეთოდს. ამის ერთ-ერთ საბუთად იმასაც ასახელებს, რომ ეფთვიმე პირადად იცნობდა სვიმეონ მეტაფორასტსა და ნიკიფორე ურანოსს. ბერძენი მკვლევარი ვარაუდობს, რომ დიდი ქართველი საეკლესიო მამა შთაგონებული

²³ იქვე, გვ. 139, შენ. 109.

²⁴ იქვე, გვ. 139, შენ. 111.

²⁵ იქვე.

²⁶ იქვე, გვ. 139, შენ. 112.

²⁷ იქვე, გვ. 140, შენ. 113-114-115.

²⁸ იქვე, გვ. 140, შენ. 116.

²⁹ იქვე, გვ. 140.

³⁰ კეკელიძე, *ძველი ქართული დიფერაფურის*, გვ. 196-197.

და წახალისებული იყო, რომ აესახა მეტაფორასული პროცესები თავის თარგმანებში. გვსურს, ერთი შენიშვნა გამოვთქვათ სიმელიდის მიერ ეფთვიმეს თარგმანისადმი მისადაგებული მეტაფორასული მეთოდის მიმართულებით: ეს მეთოდი, როგორც სიმელიდისი თვითონ აღნიშნავს, ძირითადად, გულისხმობს „*დანშენდილი და გამშვენებული ენის გამოყენებას*“, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ ეფთვიმეს სხვა მიზანი ჰქონდა, კერძოდ: „*შინაარსისა და ენის რედაქციების გზით ეს თარგმანები ხელმისაწვდომი და გასაგები გაეხადა იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ არ გააჩნდა საფუძვლიანი ცოდნა თეოლოგიასა და ფილოსოფიაში*“.³¹ ჩნდება კითხვა: მამ რატომ გულისხმობს ეფთვიმეს მეთოდი, მოტანილი მასალის ფარგლებში, მეტაფორასული მეთოდის გამოყენებას?

ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის სკრუპულოზური შესწავლა და განხილვა ქრისტოს სიმელიდისისათვის **აუცილებელი იყო იმ ცვლილებების ასახსნელად, რაც მანვე დაადასტურა ეფთვიმეს ქართულ თარგმანსა და გეომეტრის „ღვთისმშობლის ცხოვრებას“ შორის.**

ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდი იმდენად ვრცელი სფეროა და იმდენად ყოვლისმომცველია, რომ სიღრმისეული კვლევის გარეშე **ის შეიძლება მივუსადაგოთ ორ ტექსტს შორის აღმოჩენილ ნებისმიერ განსხვავებას და ამით ავხსნათ ქართული თარგმანის ყველა გადახვევა გეომეტრის ბერძნული ტექსტიდან.**

ეს მეთოდი ეფთვიმეს შეეძლო გამოეყენებინა არა მხოლოდ გეომეტრის ტექსტის, არამედ ნებისმიერი სხვა წყაროს მიმართ. ამის მაგალითად შეგვიძლია დავიმოწმოთ თვით სიმელიდისის მიერ სტატიამში განხილული ერთ-ერთი შემთხვევა და დასკვნა მისგან საპირისპირო გავაკეთოთ, კერძოდ:

სიმელიდისი მსჯელობს იმის შესახებ, „*თუ როგორ ეპყრობოდა ეფთვიმე გეომეტრის ორიგინალს*“,³² ანუ რა თვალსაზრისით ცვლიდა მას. ამის ნათელსაყოფად მან მოიტანა ვრცელი მონაკვეთი, რომელიც არის გეომეტრის ტექსტში და არ არის ქართულ თარგმანში – იქ, სადაც საუბარია იმაზე, რომ „*სერობა იგი საიდუმლო და დიდებული აღესრუებოდა*“, ეფთვიმეს თარგმანი წყდება. გამოტოვებულ მონაკვეთში, რომელსაც სიმელიდისი აანალიზებს,³³ საუბარია იმის შესახებ, რომ „*საკითხი საიდუმლო სერობისა*

³¹ Simelidis, “Two Lives”, p. 142, n. 125, 127.

³² იქვე, გვ. 151-152.

³³ იქვე, გვ. 152, შენ. 194.

იყო გადაუწყვეტელი და დაპირისპირების წარმომშობი...“. პატრიარქი ფოტოუსი (IX ს.) თავის ნაშრომში, უცნობ ავტორზე დაყრდნობით, წერს, რომ *“ქრისცე პასექს ზეიმობდა რჯულის თანახმად ყველა სხვა წესს, მაგრამ არა იმ წესს, როდესაც მოხდა მისი გაცემა“*. პატრიარქი დასძენს, რომ *„ეს საკითხი უნდა იქნას შესწავლილი, რადგან ოქროპირი და ეკლესია ამბობს, რომ იგი მართლაც აღნიშნავდა პასექს რჯულის მიხედვით“*.³⁴ სიმელიდისის საბოლოო დასკვნა, ეფთვიმეს მიერ გეომეტრის ტექსტის ამ მონაკვეთის გამოტოვების შესახებ, არის თავის არიდება იმ თვალსაზრისის გადმოცემისათვის, რომ *„საიდუმლო სერობა სინამდვილეში იყო პასექის სედერი“*. ეფთვიმე, სიმელიდისის აზრით, ან არ ეთანხმებოდა გეომეტრს ამ საკითხში, ან, რაც მისთვის უფრო სავარაუდოა, ფიქრობდა, რომ **საკამათო თემა ქართული საზოგადოებისათვის დამაბნეველი იქნებოდა**.³⁵

ეს მსჯელობა საიდუმლო სერობაზე, წარმოდგენილი იოანე გეომეტრთან და გამოტოვებული ქართულ ტექსტში, **ვფიქრობთ, სრულიად შესაძლებელია, ეკუთვნოდეს მაქსიმე აღმსარებელს** – ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდი ხომ მკითხველისათვის სათარგმნი ტექსტის გამარტივებას ითვალისწინებდა – ვეთანხმებით ქრისტოს სიმელიდისის დასკვნას, რომ ეს საკამათო და, შესაძლოა, დამაბნეველი თემა ყოფილიყო ქართული საზოგადოებისათვის. ამდენად, ამ მონაკვეთის გამოტოვება ეფთვიმეს მიერ თავისი წყაროდან (ანუ მაქსიმეს ტექსტიდან) და მისი შენარჩუნება გეომეტრის ტექსტში, შეგვიძლია განვიხილოთ სწორედ ამ უკანასკნელის (იოანე გეომეტრის) მიერ მაქსიმეს ტექსტის წყაროდ გამოყენების არგუმენტად.

ამ კონტექსტში გვსურს მკითხველს გავაცნოთ ერთი ადგილი, რომელზეც საუბრობს მიშელ ვან ესბროკი თავის შესავალ ნაწილში: **ის ერთმანეთისაგან მიჯნავს გეომეტრის ტექსტში არსებულ და ქართულ თარგმანში გამოტოვებულ მონაკვეთებს მათი თეოლოგიური შინაარსისა და მნიშვნელობის მიხედვით: „თუ ზოგიერთი მათგანის გაანალიზების შემდეგ ისინი უცყუარად მაქსიმესეულად შეიძლება იქნეს მიჩნეული, მაშინ, ადვილი დასაშვებია, რომ მათი ამოღება** (ეფთვიმეს მიერ; ნ. მ.) **მომხდარიყო მაქსიმეს და არა გეომეტრის ცექსტიდან“**.³⁶

ამ წინასწარი დაშვების შემდეგ, მიშელ ვან ესბროკი ასკვნის: **თუ დაექებნება ლოგიკური ახსნა ეფთვიმეს მიერ ასეთი (მაქსიმესეულად**

³⁴ Simelidis, “Two Lives”, pp. 153.

³⁵ იქვე, გვ. 151.

³⁶ Esbroeck, *Vie de la Vierge*, pp. XXVIII-XXIX.

მიჩნეული; ნ. მ.) ადგილების გამოტოვებას, მაშინ მეტ დამაჯერებლობას შეიძენს ვარაუდი არა ეფთვიმეს კავშირს გეომეტრის თხზულებასთან (ანუ ეფთვიმეს თარგმანის მომდინარეობა გეომეტრის ტექსტიდან; ნ. მ.), არამედ ვარაუდი – გეომეტრის მიერ მაქსიმეს ბერძნული ტექსტის, როგორც წყაროს, გამოყენებას.

მიშელ ვან ესბროკმა მოიტანა თავისი მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითი: „სრულიად გამორიცხულად მიგვაჩნია, რომ მაქსიმე არ წარმოადგენდეს იოანე გეომეტრის წყაროს 52-ე თავის ბოლოს“ (იგულისხმება, რასაკვირველია, გეომეტრის ბერძნული ტექსტი, რადგან ეს ფრაზები ეფთვიმეს თარგმანში არ არის; ნ. მ.). ეს არის ქრისტეს დვთაებრიობის სხვადასხვა ვებით უარყოფის მოკლე ჩამონათვადი. ერეციკული პოზიციების ეს მოკლე ანთოლოგია არ შეიცავს დოქტრინას, რაც ნამდვირად დედნისეურად მიგვაჩნია: *οὐ δὲ καὶ ταῦτα μὲν, οὐράνιον δὲ σῶμα καὶ ὅς διὰ σαλῆνος καὶ ὅτι τέλειον ἐξ ἀρχῆς τὸ κτιστοῦσμενον* (Vat. Gr. 504, fol. 181 rb).³⁷ აფთარცოდოკეციზმის ეს ყველაზე რადიკალური გამონათქვამები შეესაბამება VI საუკუნის მიწურულისა და VII საუკუნის დამდეგის დავებს, როგორც ეს ცოცხანის წინ დავგანახვა M. Tardieu-მ.³⁸

ნათქვამს ქართველ მკვლევართა ერთ მნიშვნელოვან დაკვირვებას დავამატებთ, ვაკეთებულს, ზოგადად, ეფთვიმეს თარგმანების, და, განსაკუთრებით, გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანის სკრუპულოზური შესწავლის შედეგად: ამ დიდი მამის მიერ ტექსტის გამარტივება, ძირითად შემთხვევებში, გულისხმობს არა სათარგმნი წყაროდან მასალის ამოღებას, არამედ მის გავრცობილად, კომენტირებულად თარგმნას. გამოკვეთილია ეფთვიმეს მიერ ტექსტის შემოკლების ერთეული, სრულიად კონკრეტული მიზეზის მქონე შემთხვევები: წარმართული დღესასწაულების ვრცელ აღწერებს და მსჯელობებს ერეტიკული მიმდინარეობის წეს-ჩვეულებათა შესახებ ეს დიდი საეკლესიო მამა შეგნებულად უვლის გვერდს თავის თარგმანებში: „რამეთუ სირცხვრე მიჩნს დღესა ნათლისასა საქმეთა ბნელისათა თქუმად“ (S. Gregorii Nazianzeni Opera, Versio Iberica, V, p. 42).³⁹ ზემოთ განხილული მაგალითიც ასეთ შემთხვევათა რიგს განეკუთვნება.

გეომეტრის ტექსტის ცალკეული „რთული თეოლოგიური მსჯელობების“ არარსებობას ქართულ თარგმანში, მ. ვან ესბროკი,

³⁷ იქვე, გვ. XXIX, შენ. 82.

³⁸ Esbroeck, *Vie de la Vierge*, p. XXIX, n. 83.

³⁹ Otkhmezuri (ed.), *Medieval Georgian Literary*, pp. 236-237.

ქრისტოს სიმელიდისისაგან განსხვავებით, არ განმარტავს ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდით. ბელგიელი მკვლევარი ასკვნის, რომ ეს მონაკვეთები, **საგარაუდოდ, უბრალოდ არ იყო იმ ბერძნულ წყაროში, რომელსაც ეფთვიმე თარგმნიდა.** ამის არგუმენტი ესბროკისათვის არის ის, რომ **ქართული თარგმანი სრულებითაც არ არის დაცლილი ღრმა თეოლოგიური წიაღსვლებისაგან (რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეფთვიმე არ ათავისუფლებდა თარგმანს ასეთი მონაკვეთებისაგან – მისი მთარგმნელობითი მეთოდი გამარტივებასა და კომენტირებას გულისხმობდა და არა – ტექსტის გამოტოვებას)** – ეს მონაკვეთები, შესაძლებელია, გეომეტრთან სხვა წყაროდან იყო ჩართული; არც ის უნდა გამოირიცხოს, რომ ზოგიერთი მათგანი თვითონ გეომეტრს ეკუთვნოდა.

რაც შეეხება იმას, რომ ქართულ თარგმანში რიგი ადგილები, ძირითადად, ასევე, თეოლოგიური მსჯელობები, გეომეტრთან განსხვავებულად არის წარმოდგენილი, ამის მიზეზი, მ. ვან ესბროკის დაკვირვებით, არის გეომეტრის მიერ ბერძნული წყაროს ან მცდარად გაგებული რომელიმე ადგილი ან, სულაც, ამ ვერგაგების გამო, საერთოდაც გამოტოვებული. მ. ვან ესბროკის მიერ განხილულ ყველა ასეთ შემთხვევას ჩვენ აქ ვერ მოვიტანთ, მათი ნახვა დაინტერესებულ მკითხველს თავად შეუძლია ესბროკის გამოცემაში, მაგრამ რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითზე მითითებას მკითხველს მივაწვდით:

„ყოველთვის, როცა მაქსიმესთან არის ინკანაციის თეოლოგია, გეომეტრი მას ან გამოცოვებს, ან აზრს აბუნდოვანებს ... მასთან არასოდეს ვხვდებით ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა 'ბუნებათა უბეშთაესი' და 'ცნობათა უვალრესი'; ... გეომეტრმა, როგორც ჩანს, ვერ გაიგო ან არ იცნობდა 'მონწყიდეს' ღმერთის აღსანიშნად; ... იგი ცოვებს ღვთისმშობლის წინამძღვრობას დედებთან და მამრობითი წერს; ... მაქსიმეს თავების მრავალი დანართი გეომეტრთან ამოღებულა, მაგ.: ევქარისტის ფინარი, სუდინშიდის შევონება მოგვი მეფეების სიმბოლური ძღვენის შესახებ; ... მსჯელობა ხსნის მოვლენებზე...“. კიდევ არაერთი მსგავსი ადგილი აქვს ვრცლად განხილული მ. ვან ესბროკს.⁴⁰

ზემოთ თქმულიდან, ვფიქრობთ, ის დასკვნა უფრო კეთდება, რომ იმას, რასაც სიმელიდისი მიაწერს ეფთვიმე ათონელს, ვხვდებით სწორედ გეომეტრის თხზულებაში. ამას შეიძლება სხვადასხვა სახელი დაერქვას: ტექსტის გამარტივება შეგნებულად ან, ბერძნული წყაროს გარკვეული ადგილების გაგების ხელმიუწვდომლობის გამო, მათი გამოტოვება და,

⁴⁰ ამ საკითხზე მიშელ ვან ესბროკის სხვა მაგალითები ტექსტიდან და მათზე ვრცელი მსჯელობა იხ.: Esbroeck, *Vie de la Vierge*, pp. XXI-XXV.

ზოგიერთ შემთხვევაში, არასწორი ინტერპრეტირება.

ქრისტოს სიმელიდისის მტკიცებისას ქართული თარგმანისა და გეომეტრის თხზულების „თითქმის იდენფრობისა“⁴¹ და მასალის „ერთი და იგივე თანმიმდევრობით განტარების“⁴² შესახებ, ძნელია, ვიგულისხმოთ ტექსტების სრული დამთხვევა, რადგან, გეომეტრის თხზულების კომპილაციური ხასიათის გამო, ამ თანმიმდევრობის შიგნით ჩართულია განსხვავებული ნაწილები. ჩართული წყაროების არსებობა თვითონ სიმელიდისმაც არაერთხელ აღნიშნა:

„შესაძლოა, ყოველი წყაროს გადამუშავებისას გეომეტრი დროდადრო ახლოს რჩებოდა თავის მოდელებთან, მისდევდა რა თავისი დროის მეტაფრასულ პროცედურას, თუმცა, მისმა უნარმა, შეექმნა საკუთარი რიფორიკული ტექსტი და გამოეთქვა საკუთარი აზრი, როგორც ჩანს, მიიყვანა ის სხვა დისკურსამდე და მან შექმნა თხზულება, რომელიც იყო მისი საკუთარი სინთეზი მრავალი წყაროსი და შეიცავდა აპოკრიფულ თხზულებებს, ასევე – ორიგენეს, იოანე ოქროპირს, ფსევდოდონისე არეოპაგელს, იოანე თესალონიკელსა და გერმანოს კონსტანტინეპოლისს; გარდა ამისა, იოანე გეომეტრზე გავლენა მოახდინა IX საუკუნის ორი ავტორის ნაწერებმა: ეპიფანე კადისცრაფოსის ‘ღვთისმშობლის ცხოვრებამ’ და გიორგი ნიკომედიელის ჰომილიებმა მარიაშის როლის შესახებ ვნების მოვლენებში“.⁴³

სწორედ ამიტომ, ფილ ბუტის მიერ მოტანილი ამ ორი თხზულების „ზედმიწვევით მსგავსი მონაკვეთის“ განხილვისას, ბერძენი მკვლევარი თავს ვალდებულია მიიჩნევს, მკითხველს უთხრას, რომ „მარცო ეს ნიმუში, რომელიც აჩვენებს უკიდურესად მჭიდრო მსგავსებას გარკვეული ვარიაციის პარადიგმურად, ეჭვს არ ცოვებს, რომ ორივე ტექსტი ან იმეორებს დაკარგულ მოდელს, ან ერთი მათგანი იმეორებს მეორეს“.⁴⁴ როგორც ჩანს, სიმელიდისი თვლის, რომ ეს „დაკარგული მოდელი“, შესაძლებელია, იყოს ერთ-ერთი იმ წყაროთაგანი, რომელთა გამოყენების შესახებ იოანე გეომეტრი თავად საუბრობს თავის წინასიტყვაში. მიუხედავად იმისა, რომ ვერც ბერძენი მკვლევარი გამორიცხავს ამ მოდელად მაქსიმეს დაკარგული თხზულების არსებობას (თუმცა, საერთოდაც, გამოთქვამს ეჭვს ასეთი თხზულების არსებობაში), მისი მსჯელობა მთელი სტატიის მანძილზე ნამდვილად გამორიცხავს ამ „მოდელს“, როგორც დედანს ქართული თარგმანისათვის.

⁴¹ Simelidis, “Two Lives”, p. 145.

⁴² იქვე, გვ. 145, შენ. 155.

⁴³ იქვე, გვ. 136, შენ. 82-83.

⁴⁴ იქვე, გვ. 145, შენ. 154.

მისი აზრით, ასეთ შემთხვევებშიც კი, ეს მოდელი შეიძლება იყოს ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი წყარო ეფთვიმესათვის: **ძირითად წყაროდ ქართული თარგმანისა ქრისტოს სიმელიდისი მაინც გეომეტრის თხზულებას მიიჩნევს.**

სიმელიდისი ეფთვიმეს თარგმანში, ძირითადი წყაროს გარდა, საუბრობს სხვა წყაროების ჩართულობაზე, რადგან ისინი თვით ქართულ თარგმანში არის დასახელებული. ერთ-ერთი მათგანია წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედი – ეს დიდი საეკლესიო მამა ქართულ თარგმანში დასახელებულია რამდენიმე სხვა, ასეთივე ცნობილ, ავტორთან ერთად: „... გრიგორ ნეოკესარიელი თაუმაფურგოსი, დიდი ათანასე აღექსანდრიელი, ნეფარი გრიგორ ნოსელი, დიონისე არეოპაგელი და სხვები, მათი სწორი ღირსებით“.⁴⁵ სიმელიდისი მიიჩნევს, რომ ამ სახელების ჩამონათვალი ეფთვიმემ გადაიწერა **სვიმეონ მეტაფრასტის „ღვთისმშობლის მიძინების“ ტექსტიდან**⁴⁶ – მხოლოდ გრიგოლ საკვირველთმოქმედი არ არის ნახსენები სვიმეონთან. მისი დასახელება და გამოყენება (სიმელიდისის აზრით, ეფთვიმეს და არა ბერძნული წყაროს ავტორის მიერ) ბერძენმა მკვლევარმა იმით ახსნა, რომ გრიგოლ საკვირველთმოქმედი კარგად იყო ცნობილი იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის და, მისი აზრით, გრიგოლის თხზულებებიდან ადგილების ჩართვა წაადგებოდა ქართული თარგმანის პოპულარიზაციას.

საჭიროა, ბოლომდე გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ **რა დამოკიდებულება არსებობს ქართულ თარგმანსა და სვიმეონ მეტაფრასტის „ღვთისმშობლის ცხოვრებას“ შორის.** ქრისტოს სიმელიდისისათვის ამ ტექსტის გამოყენება ეფთვიმეს მიერ ეჭვიმოტანელი ფაქტია, მაგრამ აკად. კორნელი კეკელიძე სვიმეონის ტექსტს მაქსიმეს „ფსევდოეპიგრაფიკული“ თხზულების მეტაფრასულ ვარიანტად მიიჩნევს.⁴⁷ ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ქართული თარგმანის დედანი მაქსიმეს ტექსტია, თუ რომელიღაცა სხვა, დღესდღეობით არარსებული თუ ვერმიკვლეული, ბერძნული წყარო – მთავარი ის არის, რომ ეს ვარაუდი შესამოწმებელია: თუ ეფთვიმეს ხელი მიუწვდებოდა ორივე ამ ტექსტზე (კიმენსა და მეტაფრასტზე), რით შეიძლება დასაბუთდეს, რომ მან საწყისი

⁴⁵ Simelidis, “Two Lives”, p. 149, n. 170.

⁴⁶ იქვე, გვ. 149, შენ. 171.

⁴⁷ კეკელიძე, *ეტიუდები*, V, გვ. 97. გამოცემულია ვ. ლატიშევის მიერ: *Menologii anonymi Byzantini saeculi X quae supersunt*, fasc. 1, Petropoli, 1911, pp. 347-383; მისი ქართული თარგმანი დაცულია გელათ. #1-ში, 410-438 (კეკელიძე, *ძველი ქართული დიფერაფურის*, გვ. 196, შენ. 1).

ტექსტის გამოყენებას მისი გადამეტაფორასებული რედაქცია არჩია? თუ ეფთვიმემ თარგმნა ძირითადი ტექსტი, მაშინ თვით ეფთვიმეს ბერძნული დედანი, მართლაც, არაერთი წყაროს შემცველი გამოდის და არა მხოლოდ ამ წყაროების ჩამონათვალისა.⁴⁸ ესეც დაბრკოლებაა ქართული თარგმანის გეომეტრის თხზულებიდან მომდინარეობის მტკიცებისას.

ვფიქრობთ, ვითარებაში გარკვევას სჭირდება ქართული თარგმანისა და იოანე გეომეტრის ბერძნული ტექსტის „*თითქმის იდენფური*“ მონაკვეთების სკრუპულოზური შედარება და დადგენა, თუ ამ „*იდენფურობის*“ შიგნით რამდენად ემთხვევა იმ დამატებითი წყაროების გამოყენებაც, რომლებიც, იმავე სიმელიდისის და მიშელ ვან ესბროკის კვლევებზე დაყრდნობით, იძებნება როგორც ერთ, ისე – მეორე ტექსტში. თუ ეს წყაროებიც ემთხვევა ერთმანეთს, მაშინ გაჩნდება საფუძველი ამ ორ ტექსტს შორის მეტი კავშირის არსებობის მტკიცებისათვის.

ამ გამოძიების ჩატარების გარეშე, წყაროების გამოყენება როგორც ერთ, ისე მეორე ტექსტში, ჩვენი აზრით, ქრისტოს სიმელიდისის აცლის იმის მტკიცების საფუძველს, რომ ქართული თარგმანის წყაროდ იოანე გეომეტრის თხზულება მიიჩნიოს: ვფიქრობთ, მისი პოზიციიდანაც კი, ძნელია, ისაუბრო ორი კომპილაციური თხზულების (ბერძენ მკვლევარს ქართული თარგმანიც ასეთად მიაჩნია) ერთმანეთისაგან მომდინარეობაზე.

ქრისტოს სიმელიდისი მკითხველს უზიარებს ამ ორი ტექსტის შედარების შედეგად გაკეთებულ კიდევ ერთ დაკვირვებას და ახალ შტრიხს უმატებს ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობით მეთოდს: მისი აზრით, გეომეტრის ბერძნული ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი ქართულ თარგმანში ადგილშენაცვლებულია, ანუ ძალაში რჩება მისი დასკვნა ქართული თარგმანის წარმომავლობის შესახებ: „*ეფთვიმემ ასეთ შემთხვევებშიც სრულად გამოიყენა გეომეტრის ცექსტი, მაგრამ გარკვეული ადგილები, ასევე, უცვლელი სახით, გადაანაწილა სხვა მონაკვეთებში – ამით მან მოახდინა ცექსტის რესტრუქტურირებაცა საკუთარი შეხედულებისა და ინფერპრედაციის მიხედვით*“.⁴⁹

⁴⁸ სიმელიდისის ვარაუდი ქართული თარგმანის სვიმეონის თხზულებასთან კავშირის შესახებ ირიბად ემყარება კ. კეკელიძის გამოთქმულ მოსაზრებას ამ თხზულების მაქსიმეს ფსევდოეპიგრაფიკული ტექსტის გადამეტაფორასებულ ვარიანტად ჩათვლის შესახებ (იხ. Simelidis, “Two Lives”, p. 150, n. 71). რაც შეეხება მ. ვან ესბროკს, ის ამ ავტორთა დასახელებას მიიჩნევს თვით მაქსიმეს თხზულების ორგანულ ნაწილად, ანუ თვლის, რომ მაქსიმე მათ იყენებდა თავისი თხზულების წყარობად (იხ. Esbroeck, *Vie de la Vierge*, p. IX, n. 17, 18, 19, 20).

⁴⁹ Simelidis, “Two Lives”, pp. 145-146, n. 155.

გვსურს ჩვენი ვარაუდი გამოვთქვათ ასეთ შემთხვევებთან მიმართებით: აუცილებელია, ოპონენტმა წარმოადგინოს უტყუარი არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ ეს ადვილშენაცვლება ვაკეთებულია ქართულ თარგმანში და არა გეომეტრის ტექსტში. ვფიქრობთ, მსგავსი გადანაწილება მაშინ უფრო ხდება, როდესაც ტექსტის შემდგენელი ბევრ სხვადასხვა წყაროს იყენებს და ამ წყაროებს შინაარსობრივი კუთხით ერთმანეთს უსადაგებს, ანუ ერთი წყაროს სხვადასხვა მონაკვეთი, შესაძლოა, ერთად თავმოყრილი და გაბმული ტექსტის სახით მოწოდებული აღმოჩნდეს.

ჩვენ, რასაკვირველია, მტკიცებით სახეს ვერ მივცემთ ამ ვარაუდს – მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ ქრისტოს სიმელიდისის ბევრი არგუმენტი გეომეტრის ტექსტის როგორც ევთვიმეს თარგმანის წყაროს მტკიცებისას, შეგვიძლია შევაბრუნოთ მაქსიმეს, თუ რომელიდაცა სხვა ბერძნული ტექსტის, სასარგებლოდ, რომელსაც, როგორც წყაროს, იყენებდა როგორც ევთვიმე ათონელი, ასევე, იოანე გეომეტრი.

განსახილველ შემთხვევაშიც სწორედ მაქსიმეს ტექსტს, როგორც გეომეტრის თხზულების წყაროს, წარმოაჩენს მიშელ ვან ესბროკი: ის ასაბუთებს, რომ ქრისტოს სიმელიდისის მიერ მოტანილი რამდენიმე შემთხვევა, რომლებსაც ბერძენი მკვლევარი ქართულ თარგმანში გეომეტრის ტექსტთან შედარებით „დამაფებული ბიბლიური ციფრების“ კვალიფიკაციას ანიჭებს,⁵⁰ არის არა „ევთვიმეს მიერ დამაფებული ადგილები“, არამედ გეომეტრის ტექსტში ადვილშენაცვლებული და რამდენადმე შეცვლილი მონაკვეთები. განვიხილოთ ასეთი შემთხვევები:

ქართულ თარგმანში, მე-6 თავში, ჩართულია 44-ე ფსალმუნის მოზრდილი ტექსტის პარაფრაზი: საუბარია იმაზე, რომ დავითის „შუენიერნი წინაწარმეყუდეებანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთვის აღასრუნა (სურინშიდამ; ნ. მ.), მეესეუდად ყოვდადწმიდისაცა დედისა მისისა სამკაურნი განაწესნა...“.⁵¹ ამის შემდეგ ტექსტში იმაზეა საუბარი, რომ ეს ნათქვამი არა მხოლოდ ეკლესიას ეხება, როგორც ეს ზოგიერთებმა გაიგეს, არამედ შეიძლება ღვთისმშობლისადმიც იყოს მისადაგებული. ქართულ თარგმანში ამ საკითხზე საკმაოდ ვრცელი მსჯელობა გეომეტრთან მოკლედ არის წარმოდგენილი.⁵² ქრისტოს სიმელიდისი თვლის, რომ გავრცობა ევთვიმეს ეკუთვნის და ამას მისი მთარგმნელობითი მეთოდით ხსნის.

⁵⁰ იქვე, გვ. 148.

⁵¹ Esbroeck (ed.), *Vie de la Vierge*, p. 8.

⁵² Simelidis, “Two Lives”, p. 148, n. 164, 165, 166.

ის არაფერს ამბობს მიშელ ვან ესბროკის კვლევის იმ ნაწილზე, სადაც ეს უკანასკნელი წერს, რომ „*თხზულების ბოლოს, თითქოს უკვე დასრულებულ ტექსტს, გეომეტრმა ჩაუმატა ამ ადგილის მისი სურვილის მიხედვით გავრცობილი მსჯელობა*“. ამ ფაქტზე დაყრდნობით, მიშელ ვან ესბროკი აკეთებს, ვფიქრობთ, ყურადსაღებ დასკვნას: „...რაც ყველაზე მეტად მონშობს, რომ მაქსიმე ნამდვირად იყო მოდელი, რომელსაც თხზულების შესავლის შემდეგ გეომეტრი ველარ გაჰყვა. მასთან ღირიული და მორადური ასპექტები საერთოდ ამოღებულია, ან სხვა ფორმით არის გადმოღებული 'ცხოვრების' ბოლოს“.⁵³

მსგავსი მაგალითი კიდევ მოყავს მიშელ ვან ესბროკს. ის გვეუბნება, რომ „ცხოვრების“ დასაწყისში იოანე გეომეტრმა გამოტოვა ყველაფერი, რაც ეხება „უმაწკობის“ ეპითეტს, განსაკუთრებით, 21 და 22-ე თავებში. მან ისინი გადაიტანა 61-ე თავის ბოლოს, რითაც დაუკავშირდა დასაწყისის თემებს, მაგრამ გაცილებით სუსტად.⁵⁴

ქრისტოს სიმელიდისი აღნიშნავს გეომეტრის ტექსტში ავტორის „*უჩვეულო თეოლოგიური ინფერპრეტაციების*“ არსებობას და უმატებს, რომ „*ეფთვიმემ ზოგიერთი მათგანი გარკვეული მიზეზით გამოტოვა ქართულ თარგმანში*“.⁵⁵ განვიხილოთ მაგალითი, რომელზეც სიმელიდისი საუბრობს ანტუან ვენგერის ნაშრომზე დაყრდნობით: მკვლევარი მარიამს „**თანაგამომსყიდველის**“ სტატუსს ანიჭებს გეომეტრის ტექსტის შემდეგი ადგილის მიხედვით: „... *შენ ერთხელ მოკვდი ჩვენი გულისათვის, ხოლო იგი უთვარავჯერ კვდება...*“.⁵⁶ ამგვარი მიკუთვნებულობა, ვენგერისა და, მასზე დაყრდნობით, სიმელიდისის აზრით, „**თეოლოგიურად გაბედული**“ აღმოჩნდა ეფთვიმესათვის და მან ეს ადგილი თარგმანში გამოტოვა, მაგრამ, სიმელიდისის თქმით, ეფთვიმემ, რამდენიმე აბზაცით ზემოთ, თარგმანს დაუმატა გეომეტრის ამ წინადადების შერბილებული ვარიანტი, კერძოდ: „*ქრისტე ერთხელ შეიწირა ყველასათვის, მარიამი კი მუდამ ცოცხალია, რათა შუამდგომლობა გაუწიოს ყველას, ვინც მისი მეშვეობით მიეახლება ღმერთს*“, ანუ, გეომეტრის ტექსტისაგან განსხვავებით, მარიამი „*უამრავჯერ არ კვდება*“, არამედ „*მუდამ ცოცხალია*“.⁵⁷

ვფიქრობთ, ვენგერის ამ მსჯელობასა და დასკვნას ჩაღრმავება სჭირდება. ვენგერსა და სიმელიდისს ეფთვიმეს ქართული თარგმანიდან სრული

⁵³ Esbroeck, *Vie de la Vierge*, p. XXVI.

⁵⁴ იქვე, გვ. XXII.

⁵⁵ Simelidis, “Two Lives”, p. 150.

⁵⁶ იქვე, გვ. 147, შენ. 160.

⁵⁷ იქვე, გვ. 147.

კონტექსტი რომ მოეტანათ, ისინი მას ამ ადგილის „შერბილებას“ ვერ დააბრალებდნენ იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინა **თეოლოგიურად გაბედული აზრი** ღვთისმშობლისათვის **თანაგამომსყიდველის** სტატუსის მინიჭების შესახებ. მოგვყავს სრული ტექსტი ქართული თარგმანის ესბროკისეული გამოცემიდან: „*აწ მეორე შუვამდგომელი მივიდა პირველისა მის მიმართ შუვამდგომელისა, კაცი ღმერთშემოსიდი ღმრთისა მიმართ კორცშემოსილისა, მეორე შესაწირავი ბუნებისა ჩუენისაჲ მისა მიმართ, შემდგომად პირველისა მის, რომედმან ერთგმის თავი თჳსი ყოვეტათჳს შეწირა, და მარად ცხოვედ არს მეოხად მათჳს, რომედნი-იგი მის მიერ მიუვდენ ღმერთსა*“.⁵⁸ მოტანილი მონაკვეთიდან ჩანს, რომ ქრისტე არის პირველი შუამდგომელი მამა ღმერთთან და პირველი შესაწირავი, ხოლო ღვთისმშობელი – მეორე შუამდგომელი პირველ შუამდგომელთან და მეორე შესაწირავი პირველის შემდეგ. ასე რომ, **თანაგამომსყიდველის** წოდება ქართულ თარგმანში ღვთისმშობელს ნამდვილად აქვს მიკუთვნებული.

ამავე რიგის მაგალითია ქრისტოს სიმელიდისის მსჯელობა გეომეტრის მიერ ღვთისმშობლის, როგორც „*ნუგეშინისმცემლის*“ (*ὁ πα-ράκλητος*) მოხსენიებაზე.⁵⁹ ეს ეპიტეტი **სახარებაში ქრისტეს მიერ გამოყენებულია სულიწმიდის მიმართ**: „*და მე ვჰკითხო მამასა ჩემსა და სხუაჲ ნუგეშინისმცემელი* მოვივლინოს თქუენ“ (**ინ. 14:16**). ბერძენ მკვლევარს ამ ადგილის ამონარიდი მოაქვს როგორც გეომეტრის ტექსტიდან, ასევე, ენის არცოდნის გამო, ეფთვიმეს ქართული ტექსტის სტივენ შუმეიკერის მიერ გაკეთებული ინგლისური თარგმანიდან, რომელიც მას თავის სტატიაში შეფასებული აქვს როგორც „*ძარიან ბუსცი თარგმანი*“.⁶⁰ პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ გეომეტრის ტექსტისა და ქართული თარგმანის ეს მონაკვეთები მთლიანობაშიც საკმაოდ აცდენილია ერთმანეთს, რასაც თვითონ სიმელიდისი აღნიშნავს,⁶¹ მაგრამ ამჯერად ეს არ არის არსებითი: მთავარია ის, რომ სიტყვა **ნუგეშინისმცემელი**, რომელიც ტექსტის შუმეიკერის **არაზუსტ ინგლისურ თარგმანში** გადმოტანილია როგორც **“advocate“ (1. დამცველი, 2. მფარველი)**,⁶² სინამდვილეში, ქართული თარგმანის ორივე შესატყვის ადგილას, წარმოდგენილია როგორც „*ნუგეშინისმცემელი*“: ერთგან აღნიშნავს

⁵⁸ Esbroeck (ed.), *Vie de la Vierge*, p. 168.

⁵⁹ Simelidis, “Two Lives”, p. 150.

⁶⁰ იქვე, გვ. 145.

⁶¹ იქვე, გვ. 151.

⁶² იქვე, გვ. 151, შენ. 189.

ქრისტეს, როგორც „*ნუგეშინისმცემელს მამის მიმართ*“ (2 ინ, 2,1-2), ხოლო მეორეგან – ღვთისმშობელს, რომელიც არის „*ნუგეშინისმცემელი და მეოხი*“ ადამიანებისათვის ქრისტეს წინაშე: „...*რამეთუ იგი მხოლოდ ნუგეშინისმცემელი გვვის მამისა მიმართ, იესუ ქრისტეც მართარი ... და შენ კუადად ნუგეშინისმცემელი ხარ და მეოხი ჩუენი მისა მიმართ*“,⁶³ ანუ, ზუსტად იმ სიტყვით, რაც არის გეომეტრის ტექსტშიც და არა შუმეიკერის მიერ თარგმნილი “advocate“-ით. ინგლისურ თარგმანში დაშვებული ეს შეცდომა გახდა მიზეზი სიმელიდისის ვრცელი და, როგორც ვხედავთ, საფუძველსმოკლებული მსჯელობისა იმის შესახებ, **თუ როგორ დააღწია ეფთვიმემ ამჯერადაც თავი უხერხულობას და როგორ მოახდინა გეომეტრის ტექსტის „მოდოფიკაცია“.**⁶⁴

ამ ორი მაგალითის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის „*გაბედული თეოლოგიური აზრები*“, რომლებიც „*მოუღოდნებობა*“ აღმოჩნდა სიმელიდისა და ამ ტექსტის სხვა მკვლევართათვის იოანე გეომეტრისაგან, შეგვიძლია ჩამოვაცილოთ მას და მივაკუთვნოთ მაქსიმე აღმსარებელს, რომელიც, რა თქმა უნდა, მზად იყო ამგვარი „*გაბედულებისათვის*“, ან რომელიღაცა სხვა ბერძენ ავტორს, რომელსაც, შესაძლოა, ისინი ეკუთვნოდეს.

გვსურს შევეხოთ ქრისტოს სიმელიდისის მიერ ქართული თარგმანის ბერძნული წყაროს კვლევისას მოტანილ კიდევ ერთ არგუმენტს, კერძოდ: ეფთვიმეს მიერ გეომეტრის თხზულების „*ბაზისური იდეების*“ შენარჩუნების შესახებ. ბერძენი მკვლევარი საუბრობს ქართული ‘ცხოვრების’ წინასიტყვის საკმაო განსხვავებულობაზე გეომეტრის თხზულების წინასიტყვისაგან (ამას გარკვეულ ახსნასაც უძებნის მეტაფორასულ პრაქტიკაზე დაყრდნობით), მაგრამ აღნიშნავს, რომ „*მოფანიდ კონკრეტულ შემთხვევაში ეფთვიმემ შეინარჩუნა გეომეტრის ბაზისური იდეები*“. ეს რამდენიმე „*ბაზისური იდეა*“ მოკლედ არის დასახელებული სიმელიდისის სტატიის სქოლიოში მითითებულ სტივენ შუმეიკერის ნაშრომში.⁶⁵ საუბარია ისეთი ფრაზებისა და მეტაფორების გამოყენებაზე, როგორიც მრავლად არის წარმოდგენილი ღვთისმშობლის შესხმისას ნებისმიერ ჰომილეტიკურ თუ სხვა ჟანრის ძეგლში; დასახელებულია რამდენიმე მაგალითი, რომლებშიც ხაზი აქვს გასული იმას, რომ **ყოველი ენა და ყოველი სულიერი ვალდებულია ხოტბა-დიდება შეასხას ღვთისმშობელს, მაგრამ ის იმდენად დიდია,**

⁶³ Esbroeck (ed.), *Vie de la Vierge*, p. 171.

⁶⁴ Simelidis, “Two Lives”, p. 150.

⁶⁵ Simelidis, “Two Lives”, p. 149, n. 169.

რომ ამას ვერავინ შეძლებს..., მიუხედავად ამისა, ყველა ვალდებულია ხოტბა შეასხას მას... ვფიქრობთ, კონტექსტიდან ამოდებული ეს სამი ფრაზა ვერ ჩაითვლება გეომეტრის თხზულების გავლენის ასახვად ქართულ თარგმანზე და მისი „*მაზისური იდეების*“ შენარჩუნებად. ქართული თარგმანის შესავალი ნაწილის, რომელზეც სიმელიდისი თავად ეუბნება მკითხველს, რომ ის საგრძნობლად განსხვავდება გეომეტრის წინასიტყვისაგან, პირველი სამი გვერდი საოცარი ხატოვანებით არის თარგმნილი (და, ალბათ, ავტორის მიერ ასეთივე ხატოვანებით დაწერილი), წარმოადგენს ღვთისმშობლისადმი ხოტბა-დიდების აღვლენას⁶⁶ და გაჯერებულია სხვადასხვა ეპითეტითა და მეტაფორით და თუ ეს ნაწილი არგუმენტად გამოდგება ქართული ტექსტის გეომეტრის თხზულებიდან მომდინარეობისათვის (რომელიც, სიმელიდისის თქმით, „ნაკლებ ამადლებული პროზაული სტილით“ არის დაწერილი), მაშინ სიმელიდისს უნდა მოეტანა არა სამი საყოველთაოდ გავრცელებული და შაბლონად ქცეული ფრაზა, არამედ ქართული თარგმანისა და გეომეტრის ტექსტის ორივე მონაკვეთი გვერდი-გვერდ მოეთავსებინა და მკითხველისათვის საშუალება მიეცა, თვითონ გაეკეთებინა დასკვნა მათი ურთიერთმიმართების შესახებ.

გეომეტრის ტექსტსა და ეფთვიმეს ქართულ თარგმანს შორის კიდევ ერთი განსხვავების ქრისტოს სიმელიდისეული ახსნის მცდელობა, ჩვენი აზრით, ასევე, ბოლომდე დამაჯერებელი არ არის. ბერძენი მეცნიერი, მკვლევარ P. Booth-ზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ ეფთვიმეს გადაწერილი აქვს გარკვეული ტექსტი თომას სახარებიდან იესოს ბავშვობის შესახებ, რითაც „*მან გააკვირვა მეცნიერები*“;⁶⁷ როგორც ჩანს, ამ პასაჟის მკვეთრად აპოკრიფული შინაარსის გამო. ქრისტოს სიმელიდისი აღნიშნავს, რომ სულ სხვა პოზიცია არის გაცხადებული ქართული თარგმანის 62-ე თავში, სადაც წერია, რომ „*წიგნი იგი, რომელსა ერქუმის სიყრმე ქრისტესი, არა შესაწყნარებელ არს, არამედ უცხო არს წესისაგან ეკლესიისა და წინააღმდეგომი წმიდათა მახარებელთა მიერ თქმულისა და მბრძოლი ჭეშმარიტებისაჲ, უგუნურთა ვიეთმე მიერ აღწერილი*“.⁶⁸ როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ქრისტოს სიმელიდისი თვლის, რომ ეფთვიმემ თარგმნა არა მაქსიმეს თხზულება, არამედ გეომეტრის ტექსტი გარკვეული ცვლილებებით და გრიგოლნოსელის

⁶⁶ Esbroeck (ed.), *Vie de la Vierge*, pp. 1-3 (ხეც A-40, 1r-4r).

⁶⁷ Simelidis, “Two Lives”, p. 153, n. 196.

⁶⁸ Esbroeck (ed.), *Vie de la Vierge*, p. 78 (ხეც A-40, 123v-124r).

ზემოთმოყვანილი ციტატა გადმოიწერა სვიმეონ მეტაფრასტისაგან.⁶⁹ ამ ორ მონაკვეთთან მიმართებით ის ხედავს ეფთვიმეს არათანმიმდევრულ დამოკიდებულებას საკითხისადმი და გვეუბნება, რომ „მართალია, ეფთვიმე თეორიულად ეწინააღმდეგებოდა აპოკრიფების გამოყენებას, მაგრამ რეალურად რამდენიმე მათგანი თარგმნა კიდეც. კიდეც უფრო მეტი, ქართულ ცხოვრებაში არის ადვილები, სადაც ის გამოდის აპოკრიფებიდან, მაშინ, როდესაც გეომეტრის ორიგინალში მათი კვადრატ კი არ არის“.⁷⁰ პირველ შემთხვევაში, სიმელიდისის აზრით, ეფთვიმემ თვითონ შეიტანა ეს აპოკრიფული ტექსტი თომას სახარებიდან ქართულ თარგმანში (რადგან ის არ არის გეომეტრთან), ხოლო მეორე შემთხვევაში, რადგან ის თარგმნიდა გეომეტრის ტექსტს, რომელშიც დაგმობილია ამ აპოკრიფული წიგნის გამოყენება, გვერდი ვერ აუარა ამ პასაჟს და საგრძნობლად შეცვალა და გაავრცო ის.

ვფიქრობთ, არ არის ადვილი, დაეთანხმო სიმელიდისის დასკვნას, რადგან, თუ ეფთვიმე ასე თავისუფლად ექცევა სათარგმნ წყაროს, მისთვის, ალბათ, უფრო მარტივი იქნებოდა გეომეტრის ამ პასაჟის ამოღება ტექსტიდან და არა ნოსელის ციტატის ჩართვა და მკითხველისათვის საბაბის მიცემა, რომ იგი არათანმიმდევრულობაში დაედანაშაულებინა.

გავაგრძელებთ ამ ტექსტის (ქართული თარგმანისა და გეომეტრის თხზულების) განხილვას სიმელიდისის მსჯელობაზე დაყრდნობით:

შესადარებელი მონაკვეთები განსხვავდება ერთმანეთისაგან მოცულობით. სიმელიდისი ეფთვიმეს ტექსტის გავრცობას ხსნის ბიბლიური ციტატების ჩართვით.⁷¹

ვფიქრობთ, ამ მონაკვეთების შედარებისას, არსებითია, დავაკვირდეთ, თუ რამდენად ორგანულია ბიბლიური ციტატების სრული სახით მოტანა ნაშრომის სტრუქტურისათვის (ამ ციტატების პარაფრაზი გეომეტრთანაც არის). ჩვენი აზრით, ეს ციტატები ეფთვიმესეულ ქართულ თარგმანს უფრო სრულყოფილად და თხრობას გაცილებით თანმიმდევრულად წარმოაჩენს, ვიდრე ეს არის გეომეტრის ტექსტში, კერძოდ: სანამ ქართულ თარგმანში ქრისტეს ყრმობის შესახებ წიგნის უარყოფაზე იწყება საუბარი, ტექსტის ავტორი იშველიებს წმიდა წერილს და გვეუბნება, რომ „*იესუ წარემადგებოდა სიბრძნითა და პასაკითა და მადრითა წინაშე ღმრთისა და კაცთა*“ (ლუკ. 2, 52); თხრობას ორგანულად აგრძელებს ამ აპოკრიფის გრიგოლ ნოსელისეული ზემოთ მოტანილი შეფასება, რაც ლუკას სახარებიდან მოტანილი

⁶⁹ Simelidis, “Two Lives”, p. 154, n. 202.

⁷⁰ იქვე, გვ. 154, შენ. 199, 200.

⁷¹ იქვე, გვ. 154, შენ. 198.

ამონარიდის ლოგიკური გაგრძელებაა. ავტორს სურს, კიდევ უფრო მეტად დაარწმუნოს მკითხველი ამ აპოკრიფის წარმოდგენილ შეფასებაში და იმეორებს ზემოთ მოხმობილ სიტყვებს სახარებიდან (თვითონვე ადასტურებს, რომ კიდევ ერთხელ მოაქვს ეს ადგილი წინა ნათქვამის გასამყარებლად) და, ამჯერად, უკვე დამატებითი მსჯელობით ავრცობს ამ ჭეშმარიტებას, ამასთან, მეტი სისრულისათვის, ჩართავს ფსალმუნიდან შემდეგ სიტყვებს: „*იყო სიკეთითა უფროდს ძეთა კაცთადასა*“ (ფს. 44, 3).

რაც შეეხება იოანე გეომეტრის ტექსტს, ნაცვლად ქართულ თარგმანში მოტანილი ადგილებისა ლუკას სახარებიდან და შემდეგ მსჯელობისა, რომ იმ წიგნში (თომას სახარებაში) გადმოცემული ამბები წინააღმდეგობაში მოდის წმიდა წერილის ზოგიერთ დამოწმებასთან, არის ზოგადი მინიშნება, კერძოდ, ის, რომ რაც „*სახარებაშია, ის ... პოროფხედოვნებით არის გადმოცემული ჭეშმარიტების საპირისპიროდ*“. ამის შემდეგ, სახარებაზე დაყრდნობით და მისი პარაფრაზით, იწყება გეომეტრის მიერ ქრისტეს დახასიათება და მასში ჩართულია კონტექსტისათვის რამდენადმე გაუგებარი მინიშნება ქრისტესა და მისი დედის, მარიამის, მსგავსების შესახებ (ანუ ხაზი აქვს გასული ქრისტეს კაცობრივ ბუნებას: „... და რომ დედის მსგავსია და აგებულება მისი სასიამოვნო“). სახარებისეული ტექსტის (ლუკა 2, 52) გეომეტრისეული პარაფრაზი, ვფიქრობთ, არცთუ ზუსტად გადმოსცემს მახარებლის ნათქვამს, კერძოდ: „... როგორც სხვა ყველაფერში, მისი საზღვრები და აზროვნება კაცობრივ მეტყველებასა და განწესებაში, მართალია, ადამიანურზე აღმატებულია, მაგრამ მისი სიმდაბლე ადამიანურთან შესაბამისია“.⁷²

გარკვეული კუთხით, პარალელი იესოსი დედასთან, ღვთისმშობელთან, ასევე, საზგასმა ქრისტეს „ადამიანურთან“ შესატყვის „სიმდაბლეზე“ (ანუ თავმდაბლობაზე), ამ მონაკვეთში არა სახარებისეული, არამედ გეომეტრისეული ჩანართი ჩანს.

ამ ორი მონაკვეთის განხილვის შედეგადაც ჩვენ კვლავ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ იოანე გეომეტრისა და ეფთვიმეს განხილული ტექსტები ერთი საერთო წყაროდან მომდინარეობს (უფრო ზუსტად: ერთ-ერთი წყარო მათ საერთო ექნებოდათ). ამასთან, ვფიქრობთ, ეფთვიმე უფრო დამოკიდებულია იმ საერთო წყაროზე და მეტი თანმიმდევრულობით იყენებს მას, ვიდრე გეომეტრი, რაც იმას ნიშნავს, რომ წყაროსთან მიმართებით ცვლილებების უმეტესობა ტექსტში სწორედ გეომეტრმა

⁷² Simelidis, “Two Lives”, p. 154.

შეიტანა და არა ეფთვიმემ.

ქართული თარგმანის ბერძნული წყაროს შესახებ ქრისტოს სიმელიდისეული ვერსიის მიმართ დამოკიდებულებას გამოვთქვამდით სტატიის მანძილზე. მკითხველისათვის სურათი სრულად რომ გამოიკვეთოს, მოკლედ მოვუყრით თავს ჩვენეულ შეფასებებსა და არგუმენტებს:

პირველ რიგში, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ რამდენად მართებულია, დაისვას **საკითხი ერთი ტექსტის მეორედან მომდინარეობის შესახებ მაშინ, როდესაც განსახილველი ტექსტები მკვლევრის მიერ კომპილაციურ თხზულებებად არის მიჩნეული და, ამასთან, შედარება იმ დონეზე წარიმართოს, როგორც ეს ქრისტოს სიმელიდისმა აწარმოა?**

ქრისტოს სიმელიდისი შექმნილი უხერხულობიდან ასეთ გამოსავალს გვთავაზობს: „*თუ გავითვადისწინებთ ქრისტოიანურ დიფერაფურედ ცრადიციაში მისი ავტორისეული მონანიღებობისა და მოქმედების აშკარა აღიარებას, ისევე, როგორც მისი წამყვანი მწერის სფაფუსს, გონივრული იქნება, ვივარაუდოთ, რომ გეომეტრის „ღვთისმშობლის ცხოვრება“ იყო მისი საკუთარი თხზულება, იყენებდა და ამუშავებდა რა მრავად წყაროს შემოქმედებითი გზით*“.⁷³ ვფიქრობთ, ეს განმარტება, შესაძლებელია, გამოდგეს გეომეტრის ავტორობის ნაწილობრივი დასაბუთებისათვის, მაგრამ არა იმისათვის, რაზეც, ამ შემთხვევაში, ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ. განვმარტავთ ნათქვამს:

ბერძენი მკვლევრისათვის ქართული თარგმანიც ისეთივე შედგენილი ტექსტია, როგორც იოანე გეომეტრის თხზულება. ჩვენ შეიძლება არ დავეთანხმოთ მას ეფთვიმეს თარგმანთან მიმართებით: ამ საკითხს ჯერ კიდევ კვლევა და ჩალრმავება სჭირდება,⁷⁴ მაგრამ თუნდაც მხოლოდ იოანე გეომეტრის თხზულება იყოს კომპილაციურად მიჩნეული, ვფიქრობთ, **შედარება ამ ტექსტებს შორის სხვა სიბრტყეზე უნდა ჩატარდეს, კერძოდ: გამოიყოს, მინიშნების დონეზე მაინც, გეომეტრის ტექსტში გამოყენებული ყველა წყარო, ამასთან – ის მონაკვეთებიც, რომლებსაც სიმელიდისი გეომეტრის ორიგინალურ ჩანართებად მიიჩნევს, და დადგინდეს, არის თუ არა ისინი გადასული ან რაიმე სახით ასახული ქართულ თარგმანში. ეს საკითხი ჯერ კიდევ შესასწავლია.**

ზემოთ, მასალის განხილვის კვალდაკვალ, აღვნიშნავდით, რომ ქრისტოს სიმელიდისი, ერთი მხრივ, ამტკიცებს ეფთვიმეს მიერ იოანე გეომეტრის თხზულების თარგმნას, მაგრამ **ალაგ-ალაგ, გამოსავლის არქონის გამო, დასაშვებად მიიჩნევს, ისაუბროს ამ ორი თხზულების**

⁷³ Simelidis, “Two Lives”, p. 128.

⁷⁴ ამის შესახებ იხ. აქვე, შენ. 49.

საერთო წყაროს შესახებ. კვლავ დავიმოწმებთ ერთ-ერთ ასეთ ადგილს: „...მარცო ეს ნიმუში, რომელიც აჩვენებს უკიდურესად მჭიდრო მსგავსებას **გარკვეული ვარიაციის პარადიგმად**, ეჭვს არ ცოვებს, რომ ორივე ცექსცი ან იმეორებს დაკარგულ მოდელს, ან ერთი მათგანი იმეორებს მეორეს“.

სიმელიდისის წინააღმდეგობრივი პოზიციის უკეთ გამოსაკვეთად, მოვიტანთ ზემოთ ჩვენ მიერ უკვე მოხმობილ ადგილს მისი სტატიიდან, სადაც ბერძენი მკვლევარი საუბრობს ქართული თარგმანის უკვე პირდაპირ მომდინარეობაზე გეომეტრის თხზულებიდან: ის არ იზიარებს მ. ვან ესბროკის აზრს, რომ „*იოანე გეომეტრმა გადააკეთა ცექსცი, რომელიც ექვთიმემ თარგმნა ქართულად*“, რადგან, მისი აზრით, „*არ არსებობს საფუძველი, ზოგადად, ასეთი ცექსცის არსებობის დაშვებისა: ქართულ თარგმანს ვერ მივიღებთ ამის მტკიცებულებად, რადგან მის უკან მდგომი ბერძნული ცექსცი არის გეომეტრის „ღვთისმშობლის ცხოვრება“*“.⁷⁵

როგორ შევუთავსოთ სიმელიდისის მიერ გამოთქმული ეს ორი ვერსია ერთმანეთს? ის თვითონაც გრძნობს ამ უხერხულობას და თავისი კვლევის დასკვნით ნაწილში, მართალია, არ შეაქვს ეჭვი იმაში, რასაც ამტკიცებს მთელი სტატიის მანძილზე, კერძოდ, რომ ეფთვიმე ათონელმა თარგმნა იოანე გეომეტრის „ღვთისმშობლის ცხოვრება“, მაგრამ საბოლოო ფორმულირებაში მაინც აღნიშნავს, რომ „*მართალია, ყოველთვის ვერ ხერხდება იმის ახსნა, თუ რაგომ შეიძენა ეფთვიმემ ესა თუ ის ცვლილება გეომეტრის ცექსცში, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გაგებული, თუ ქართული თარგმანი განხილული იქნება როგორც გეომეტრის ღვთისმშობლის ცხოვრების ეფთვიმესეული ვერსია*“.⁷⁶ რაც შეეხება გეომეტრის ტექსტს, სიმელიდისის აზრით, „*ეს არის ადრინდელი წყაროების სინთეზი, რომელიც წარმოადგენს ყოვლისმომცვედ ანგარიშს ყოვლადწმიდა ქაღწულის ცხოვრებისა, შექმნილს ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ბიზანციური მწერლის და ღვთისმშობლის მიმართ ერთ-ერთი ყველაზე გულწრფელად ერთგული ადამიანის მიერ*“.⁷⁶

ჩვენ შევეცადეთ, გაგვეანალიზებინა ის მაგალითები, რომლებიც ქრისტოს სიმელიდისს მოჰყავს ამ ვარაუდის სახარგებლოდ. ვერც ამ შემთხვევაში გამოიკვეთა ბოლომდე დამაჯერებელი სურათი, **რათა ეფთვიმეს თარგმანი გეომეტრის თხზულების ვერსიად იქნეს მიჩნეული:** ბერძენი მკვლევრის არგუმენტები ამ მიმართულებით, ძირითადად, ეფუძნება ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობით მეთოდს, რომელიც იმავე წარმატებით შეიძლება მივუსადაგოთ ნებისმიერ სხვა წყაროს (მათ შორის,

⁷⁵ Simelidis, “Two Lives”, p. 127.

⁷⁶ იქვე, გვ. 159.

რასაკვირველია, მაქსიმე აღმსარებლის ჰიპოთეტურ თხზულებასაც), რომელიც შეეძლო გამოეყენებინა ეფთვიმეს. კიდევ უფრო მეტი: ზოგიერთ შემთხვევაში, მიშელ ვან ესბროკი სიმელიდის მიერ მოტანილ მაგალითებს საპირისპირო მიმართულებას აძლევს და იყენებს იმის დასამტკიცებლად, რომ იოანე გეომეტრის ტექსტმა შემოინახა ეფთვიმეს მიერ მაქსიმეს თხზულებიდან გარკვეული მოსაზრებით ამოღებული მონაკვეთები – ეს კი გეომეტრის მიერ ამ თხზულების (ანუ მაქსიმეს ტექსტის), როგორც ერთ-ერთი წყაროს, გამოყენებაზე მიუთითებს.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ, მართალია, კავშირი ეფთვიმე ათინელის „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ქართულ თარგმანსა და იოანე გეომეტრის თხზულებას შორის უცილობლად არსებობს, მაგრამ ეს კავშირი ძნელად აიხსნება ერთის მეორიდან მომდინარეობით: საუკეთესო შემთხვევაში, ვფიქრობთ, შესაძლოა, დადგინდეს საერთო წყარო საკვლევი ტექსტებისათვის, იქნება ეს მაქსიმე აღმსარებლის ჰიპოთეტური თხზულება, თუ ერთი ან რამდენიმე დღევანდლამდე ვერმოდღეული ან ჯერ კიდევ ვერმიკვლეული ბერძნული ტექსტი. ამდენად, კვლევას ეფთვიმე ათინელის მიერ თარგმნილი „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ბერძნული წყაროს შესახებ დღესდღეობით დასრულებულად ვერ მივიჩნევთ.

ბიბლიოგრაფია

აკაკლიძე, ეფიუდები, V = კ. აკაკლიძე, *ეფიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, V, თბილისი, 1957.

აკაკლიძე, ძველი ქართული ლიტერატურის = კ. აკაკლიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I, თბილისი, 1980.

კოჭლამაზაშვილი, „წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელით“ = ე. კოჭლამაზაშვილი, „წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელით წარწერილი ტრაქტატი ‘სიტყვსგებისათვის ვნებათაფსა’ და მისი ეფთვიმე მთაწმიდელისეული თარგმანი“, *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი*, XI (2019) [2020], გვ. 9-68.

მელიქიშვილი, „რამდენიმე დაკვირვება“ = ნ. მელიქიშვილი, „რამდენიმე დაკვირვება ეფთვიმე ათინელისა და ეფრემ მცირის მთარგმნელობით მეთოდზე“, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 4 (1987), გვ. 118-129.

ტყეპუჩავა, „წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელით“ = ლ. ტყეპუჩავა, „წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელით ცნობილი ასკეტური ძეგლი ‘სიტყვსგებისათვის ვნებათაფსა’ და მისი ექვთიმე ათინელისეული თარგმანი“, *მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, 26 (2019), გვ. 127-138.

ტყეპუჩავა, „წმ. ექვთიმე ათინელის მიერ თარგმნილი“ = ლ. ტყეპუჩავა, „წმ. ექვთიმე

ათონელის მიერ თარგმნილი კომპლაცირი შრომა ‘სწავლანი სულიერნი წმიდისა მაქსიმე აღმსარებლისანი’, *გრაფილი, საეკლესიო-სამეცნიერო კრებული*, IX (2022), გვ. 191-224.

ხოფერია, „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების“ = ლ. ხოფერია, „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების’ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი და მისი მიმართება ბერძნულ წყაროებთან“, *მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, XXI (2005), გვ. 52-62.

Chantladze, “Euthymius the Athonite’s Translation” = A. Chantladze, “Euthymius the Athonite’s Translation of Maximus the Confessor’s Quaestiones ad Thalassium”, *Maximus the Confessor and Georgia (Iberica Caucasia, vol. III)*, T. Mgaloblishvili – L. Khoperia (eds.), 2009, pp. 49-59.

Esbroeck (ed.), *Vie de la Vierge* = Maxime Le Confesseur, *Vie de la Vierge*, M. Van Esbroeck (ed.) (Scriptores Iberici, t. 21), Lovanii, 1986.

Esbroeck, *Vie de la Vierge* = Maxime Le Confesseur, *Vie de la Vierge*, traduite par M. Van Esbroeck (Scriptores Iberici, t. 22), Lovanii, 1986.

John Geometres, *Life of the Virgin Mary* = John Geometres, *Life of the Virgin Mary*, M. Constatas – J. Simelidis (ed.) (Dumbarton Oaks Medieval Library, 77), Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 2023.

Otkhmezouri, “Maximus the Confessor’s” = Th. Otkhmezouri, “Maximus the Confessor’s Ambigua ad Iohannem within the Georgian Translation Tradition”, *Maximus the Confessor and Georgia (Iberica Caucasia, vol. III)*, T. Mgaloblishvili – L. Khoperia (eds.), 2009, pp. 74-83.

Otkhmezuri (ed.), *Medieval Georgian Literary* = Th. Otkhmezuri, M. Raphava, “Mt Athos”, *Medieval Georgian Literary Culture and Book Production in the Christian Middle East and Byzantium*, Th. Otkhmezuri (ed.) (Jerusalem Theologisches Forum, 42), Münster, Aschendorff Verlag, 2022.

Simelidis, “Two Lives” = Ch. Simelidis, “Two Lives of the Virgin – John Geometres, Euthymios the Athonite, and Maximos the Confessor”, *Dumbarton Oaks Papers*, vol. 74 (2020), p. 125-159.

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
ninomelikhvili@hotmail.com

**ON THE GREEK SOURCE OF THE GEORGIAN
TRANSLATION OF THE “LIFE OF THE VIRGIN MARY” BY
ST. EUTHYMIUS THE HAGIORITE**

**(Based on the Research of Michel van Esbroek and Christos
Simelidis)**

SUMMARY

This article examines two perspectives on the now-lost Greek source of the Georgian translation of the *Life of the Virgin* by Euthymius the Hagiorite. The discussion is based on the research conducted by Michel van Esbroek, who published the Georgian translation, and Christos Simelidis, who edited the Greek text of *Life of the Virgin* by the 10th-century Byzantine writer John the Geometres.

Many scholars consider the attribution of the work to St. Maximus the Confessor, as stated in the title of the Georgian translation by Euthymius, to be unreliable. Christos Simelidis, drawing on prior research and his own analysis, argues that the similarities between the Georgian translation and the *Life of the Virgin* by John the Geometres indicate that the Georgian version is derived from Geometres' work. Comparing these two texts, he attributes the differences between them solely to the translation method of Euthymius the Hagiorite.

The author of this article, however, argues that since John the Geometres' work is a compilation, a simple comparison of the two texts is insufficient for establishing their interrelationship. Instead, a thorough study of Geometres' sources and original thought is necessary to determine the extent to which these elements are reflected in Euthymius' Georgian translation.

Simelidis' explanation— attributing all textual differences exclusively to Euthymius' translation technique— is not entirely convincing. The author suggests that an opposite conclusion is also possible: Euthymius could have applied his translation method not only to John the Geometres' text but also to a work by Maximus the Confessor. According to Michel van Esbroek, certain passages in Geometres' text, which he identifies as unquestionably originating from Maximus, are intentionally omitted in Euthymius' translation. These omissions, van Esbroek argues, suggest that Geometres' work was influenced by a hypothetical Greek text by Maximus or another source that Euthymius also used.

Further complicating the analysis is the fact that Simelidis, lacking knowledge of the Georgian language, relies on Stephen Shoemaker's English translation for comparison. The author of this article highlights instances where the English translation inaccurately or incompletely represents the Georgian text, leading to

unconvincing and imprecise assessments by Simelidis.

The article also questions whether it is appropriate to discuss the “less elevated prose style” of Euthymius the Hagiorite based on the English translation—one of Simelidis’ key arguments for asserting that the Georgian translation derives from Geometres’ text.

Based on the research of Simelidis and van Esbroek, as well as the author’s own observations, this article concludes that the Greek source of Euthymius the Hagiorite’s Georgian *Life of the Virgin* remains unresolved. Further research is necessary in multiple directions, some of which are suggested within the article. It remains possible that Euthymius, great translator and thinker, did not translate a lost Greek work by Maximus the Confessor but rather another, likewise untraceable, Greek text. Alternatively, he may have compiled his translation using texts from various Greek authors, incorporating his own interpretative contributions—just as John the Geometres did in his own work. It is likely that one or more of these Greek sources were shared between Euthymius and Geometres, which would explain the connection between their texts.

Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts
ninomelikishvili@hotmail.com

Nino Melikishvili

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი

ეფთვიმე მთაწმიდელის ერთი უცნობი თარგმანი

ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი ღვაწლი განსაკუთრებული მოვლენაა ძველ ქართულ სასულიერო ლიტერატურაში. სულიერი სიღრმეების ზედმიწევნითი წვდომა, ხატოვანი ენა, მისაწვდომი გადმოცემა და ქართველი მკითხველის ინტელექტურ საჭიროებათა გათვალისწინებით სათარგმნელ ტექსტში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა მის ვრცელ შემოქმედებას მკვეთრად გამოარჩევს ყველა სხვა მწერლის ნაღვასაგან. ბიზანტიური მწერლობის საუკეთესო ძეგლების ეფთვიმესეული ბრწყინვალე თარგმანები როგორც მის თანამედროვეთა, ისე მომდევნო საუკუნეების სწავლულთა საყოველთაო აღტაცების საგანი იყო და ასეთად რჩება დღემდე.

ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანთა პირველი, არასრული კატალოგი ჯერ კიდევ მამამისმა, იოანე მთაწმიდელმა შეადგინა,¹ შემდეგ მისი შევსება სცადა გიორგი მთაწმიდელმა „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ „ამათსა ფრიად უმრავლესნი წიგნნი თარგმნნა ღმერთშემოსილმან მამამან ჩუენმან“.²

თუკი თანამედროვეთათვისაც კი ძნელი იყო ეფთვიმეს თარგმანთა სრული კატალოგის შედგენა, მით უფრო ძნელია ეს საქმე ამჟამად, როდესაც ზოგი რამ დაკარგულია, ზოგიც მთარგმნელის მოუხსენებლადაა შეტანილი ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში. ამის მიუხედავად, სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ანონიმური თარგმანის ეფთვიმესეულობის დადგენა.³ წინამდებარე სტატიით ეფთვიმე მთაწმიდელის კიდევ ერთ, აქამდე უცნობ, თარგმანს გავაცნობთ მკითხველს.

¹ თარგმანებად მათეს სახარებისად, გვ. 14-15.

² „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი“, გვ. 64.

³ ამას წინათ მთარგმნელობითი სტილის მიხედვით მოგვიხერხდა წმ. გრიგოლ ნოსელის ორი თხზულების ქართულ თარგმანთა ეფთვიმესეულობის დადგენა („დიდი კატექეტური სიტყვისა“ და „წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრებისა“). იხ. კოჭლამაზაშვილი, „წმ. გრიგოლ ნოსელის ‘დიდი კატექეტური სიტყვა‘“, გვ. 7-70; კოჭლამაზაშვილი, „გრიგოლ საკვირველთ-მოქმედის ცხოვრება“, გვ. 375-388.

ესაა რამდენიმე გამოკრებული თავი წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეულიდან“, ანუ ოთხასი მცირე თავისაგან შედგენილი ასკეტური თხზულებიდან – „სიყუარულისათვის“.

ამ თავებს წავაწყდით ასკეტურ თხზულებათა შემცველ და ერთნაირი შედგენილობის სამ კრებულში – ხეც S-1595 (XIII ს.), ხეც A-116 (XVIII ს.) და ხეც A-57-ში (XVIII ს.), ასევე, ერთ მომცრო ხელნაწერში – ხეც. A-337-ში (XVIII-XIX სს.). ამ ხელნაწერებს შემოკლებისათვის ქვემოთ პირობითად აღვნიშნავთ S, T, U და D სიმბოლოებით, შესაბამისად.

სხენებული სამი კრებული (STU) ვრცელ ანთოლოგიონს წარმოადგენს, რომელიც პატრისტიკული ლიტერატურის დიდი ბიბლიოთეკიდან გამოუკრებია მის შემდგენელს.⁴ მასში შეტანილი მასალის გამოწველილვითი შესწავლა გვარწმუნებს, რომ შემდგენელი იყო ეფთვიმე მთაწმიდელი, რომელსაც ეს კრებული შეუდგენია თავისი მთარგმნელობითი მუშაობის პირველ ეტაპზე.⁵ წმ. მაქსიმე აღმსარებლის, წმ. ბასილი დიდის, წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის, წმ. ათანასე ალექსანდრიელის, წმ. ანასტასი სინელის, წმ. დოროთე ღაზელის, წმ. იოანე სინელის და სხვა ავტორთა თხზულებებიდან ეფთვიმეს გამოუკრებია რჩეული ადგილები და თითოეული ამ გამონაკრებისათვის უწოდებია „რჩევით გამოკრებულნი“. ნიშანდობლივია, რომ სამივე კრებულში შეტანილი ფრაგმენტები იმ თხზულებებიდანაა გამოკრებილი, რომლებიც ეფთვიმეს მოგვიანებით სრულად უთარგმნია.⁶ ანთოლოგიონში გამოკრებილი ფრაგმენტების შედარება იმავე თხზულებათა ეფთვიმესეული სრული თარგმანების შესაბამის ადგილებთან გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ ისინი ზედმიწევნით ემთხვევა ერთმანეთს, ზოგჯერ კი მათ შორის მცირე რედაქციული განსხვავებებია.⁷

⁴ ამ კრებულთა პარალელური აღწერილობა იხ. კოჭლამაზაშვილი, „ეფთვიმე მთაწმიდელის ‘რჩევით გამოკრებულნი‘“.

⁵ იხ. კოჭლამაზაშვილი, „ეტაპობრიობა ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობით მოღვაწეობაში“.

⁶ ესენია: წმ. მაქსიმეს „კითხვა-მიგება თალასესადმი“, წმ. დოროთე ღაზელის „სწავლანი“, ფსევდობასილის „თქუმული ლოცვისათვის“, წმ. გრიგოლ ჰრომთა პაპის „დიალოღონი“, იოანე სინელის „კლემაქსი“, პატერიკი და სხვ. იხ. კოჭლამაზაშვილი, „ეტაპობრიობა ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობით მოღვაწეობაში“.

⁷ იხ. შჩერბაკოვი, „A-116 და A-57 ნუსხების“; კოჭლამაზაშვილი, *ევაგრე პონტოელის De Oratone და მისი ძველი ქართული ვერსიები*; მისივე: „წმ. მაქსიმე აღმსარებლის მიგებანი თალასე ხუცის კითხვებზე“ (იბეჭდება *ქრისტიანულ-არქეოლოგიურ ძიებათა X ტომში*). STU კრებულებით ჩვენამდე მოღწეულ ანთოლოგიონში გამოკრებილი თხზულებების შედარებისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ აგრეთვე ეფთვიმესეული სხვა სრული თარგმანების კრიტიკული

ყველა შემთხვევაში, როდესაც გამოკრებილი თარგმანის ტექსტი შესაბამის თხზულებათა სრული თარგმანების ტექსტს სცილდება, სრული თარგმანის ტექსტი სტილური დამუშავების უკეთეს ხარისხს გვიჩვენებს.⁸ ამ ვითარებას მივიჩნევთ იმის ნიშნად, რომ სათარგმნელად შერჩეული თხზულებებიდან ეფთვიმეს ჯერ რჩეული ადგილები გამოუკრებია, რათა მათ დროულად გასცნობოდა ქართველი მკითხველი, მოგვიანებით კი, როდესაც მათი სრულად თარგმნისათვის მოიცალა, ადრე უკვე თარგმნილი ფრაგმენტები თავ-თავის ადგილას ჩართო, ზოგიერთი ადგილი კი რედაქციულად გადაამუშავა და უკეთესი სტილით შეიტანა სრულ თარგმანში.

თუ დავუშვებთ, რომ, პირიქით, ეფთვიმემ ჯერ სრულად თარგმნა ზემოხსენებულ ავტორთა თხზულებანი და შემდეგ იქიდან გამოკრება რჩეული ადგილები, გაუგებარი იქნება, რად შეცვალა ზოგიერთი ადგილი უარესი სტილური ვარიანტით.

მაშასადამე, აშკარაა, რომ ეფთვიმეს ეტაპობრივად უმუშავია თავის თარგმანებზე: ჯერ მოუნიშნავს ის ლიტერატურა, რისი თარგმნაც აუცილებელ საჭიროებად მიუჩნევია, შემდეგ კი თანდათანობით შესდგომია წინასწარ განსაზღვრული მთარგმნელობითი გეგმის შესრულებას და სრულად უთარგმნია მის მიერ პირველ ეტაპზე გამოკრებით თარგმნილი თხზულებები.⁹

STU, როგორც ვთქვით, ერთნაირი შედგენილობის ანთოლოგიონებია. ორ მათგანში (T-სა და U-ში) შეტანილი მასალის ნაწილი ბიბლი-

გამოცემები: ქიტოშვილი - ნაჭყებია (გამოც.), *წიგნი წმიდისა მამისა დორითისი*; წმიდა იოვანე სინელი, *კლემაქსი*; ქავთარია (გამოც.), „დილოლონი“.

⁸ ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ რამდენიმე შემთხვევა იმისა, რომ ეფთვიმე ერთსა და იმავე თხზულებას ორჯერ თარგმნის, ისე, რომ ერთი თარგმანი გამოკრებილია, მეორე – სრული. სრული თარგმანები რომ ყოველთვის უკეთეს სტილურ ვარიანტებს გვიჩვენებენ, ვიდრე გამოკრებილი თარგმანები, ამის მრავალი მაგალითი გვაქვს წარმოდგენილი მონოგრაფიაში: *პავლეს ეპისტოლეთა განმარტება* (გვ. 353-412), ასევე, სტატიაში „ეტაპობრიობა ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობით მოღვაწეობაში“ და წიგნში *ევანგელის პონტოელის De Oratione-ს ძველი ქართული ვერსიები* (გვ. 84-89). ამავე თემას ვრცლად ვეხებით პუბლიკაციაში „წმ. მაქსიმე აღმსარებლის მიგებანი თალასე ხუცის კითხვებზე“. ამიტომაც ზემოხსენებული თეზისის დამამტკიცებელი მაგალითების მოხმობა აქ ზედმეტად მიგვაჩნია.

⁹ ხეც S-1595, ხეც A-116 და ხეც A-57 ხელნაწერებით შემონახული ანთოლოგიონის გარდა, „გამოკრებულ სწავლათა“ ეფთვიმესეული სხვა კრებულებაცაა ცნობილი, რომელიც XVII-XVIII სს-ში პოსტათონურ „კურთხევათა“ რამდენიმე კრებულისათვის დაურთავთ. იხ.: კოჭლამაზაშვილი, „გამოკრებულ სწავლათა“ წარმომავლობისათვის“.

ოგრაფირებული იყო კ. კეკელიძის მიერ, კერძოდ, „გამოკრებულნი სწავლანი“ წმ. ანასტასის, წმ. მაქსიმეს, წმ. დოროთეს და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან. მკვლევარი მათ თარგმნას (და ერთ კრებულში გაერთიანებასაც) ეფთვიმე მთაწმიდელს აკუთვნებდა.¹⁰ ამ კრებულთა შედგენაც და თარგმნაც რომ წმ. ეფთვიმეს ეკუთვნის, ეს აზრი ენრიკო გაბიძაშვილმა¹¹ და კახა შჩერბაკოვმაც გაიზიარეს¹² და ჩვენი კვლევაც ამასვე ეთანხმება.¹³

STU-ში შეტანილი ზოგიერთი მასალა გამოქვეყნებულია, მათ შორის – ფსევდოპიგრაფიკული „თქუმული წმიდისა ბასილისი ლოცვისათვის“¹⁴ და „სწავლათაგან წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისათა, რჩევით გამოკრებული“.¹⁵ ეს უკანასკნელი D ხელნაწერში განსხვავებულია დასათაურებული: „თქუმული მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისა, სწავლანი სულიერნი“.¹⁶

STU-ის „რჩევით გამოკრებულში“ უფრო მეტი ტექსტობრივი მასალაა შეტანილი, ვიდრე D-ს „სულიერ სწავლანში“, მაგრამ ურთიერთშემხვედრ ადგილებში მათი ტექსტები სავსებით ემთხვევა ერთმანეთს.

S ხელნაწერში ეს გამონაკრები 36 თავს შეიცავს. ამათგან 16 თავი აკლია T ხელნაწერს (7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 30). იგივე თავები აკლია D ხელნაწერსაც და, დამატებით, 23-ე და 36-ე თავები.¹⁷ ეს დანაკლისი TD ხელნაწერთა საერთო ნაკლული დედნიდან უნდა მომდინარეობდეს.

U ხელნაწერიც იმავე ნაკლული დედნიდან გადაუწერიათ, რომლიდანაც TD, მაგრამ U რამდენადმე უფრო ადრეა გადაწერილი, ხანამ იმავე დედნიდან

¹⁰ იხ. კეკელიძე, „უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში“, გვ. 12, 40-41, 98; მისივე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I, გვ. 203-204.

¹¹ იხ. გაბიძაშვილი, *ასკეფურ-მისციკური ნათარგმნი და ორიგინალური მწერლობა*, გვ. 374.

¹² იხ. შჩერბაკოვი, „A-116 და A-57 ნუსხების“, გვ. 175-180.

¹³ კოჭლამაზაშვილი, „ეფთვიმე მთაწმიდელის ‘რჩევით გამოკრებულნი‘“.

¹⁴ კოჭლამაზაშვილი, *ევანგელის პონტოელის De Oratione*, გვ. 180-188.

¹⁵ დანართად დაიბეჭდა მონოგრაფიაში: კოჭლამაზაშვილი, *წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“*. „რჩევით გამოკრებულის“ პუბლიკაციისათვის, ხეც S-1595 (S), ხეც A-116 (T) და ხეც A-57 (U) კრებულების გარდა, გამოვიყენეთ ხეც A-337 (D) ხელნაწერიც.

¹⁶ ამ სათაურით შევიტანეთ „რჩევით გამოკრებულის“ ტექსტი სხენებულ პუბლიკაციაში.

¹⁷ STUD ხელნაწერთაგან არც ერთში თავები აღრიცხული არაა. ჩვენ დავნომრეთ ზოგიერთი ხელნაწერის დეფექტებისა და წმ. მაქსიმეს „ოთხასეულთან“ შემხვედრი ადგილების მითითების საჭიროების გამო.

T-სა და D-ს გადაწერდნენ. ამას მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ U-ს გადაწერის დროისათვის ერთი-ორი ზედმეტი ფურცელი ჰქონია დედანს წმ. მაქსიმეს „სულიერ სწავლათა“ (ანუ „რჩევის გამოკრებულის“) ნაწილში, და ეს ფურცლები TD-ს გადაწერისას იქ უკვე აღარ იყო. ამ ფურცლებზე დაწერილი უნდა ყოფილიყო მე-6 თავის დაბოლოება, 8-15 თავები სრულად და მე-16 თავის დასაწყისი. U-ს გადაწერის დროს ეს ფურცლები თავის ადგილას კი არ იდო, არამედ ორიოდ ფურცლის შემდგომ ისე, რომ მისი ტექსტი 29-ე თავის შუა ნაწილში მოხვედრილა. ფურცლების არევა U-ს გადამწერს ვერ შეუმჩნევია და 6-16 თავების ტექსტი 29-ე თავის შუა ნაწილში მოუთავსებია ყოველგვარი შენიშვნის გარეშე. ამრიგად, U ხელნაწერს მხოლოდ ექვსი თავი აკლია (17, 18, 19, 20, 21 და 30).

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ STUD ხელნაწერებში წავაწყდით რამდენიმე გამოკრებულ თავს წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეულიდან“, ანუ ოთხასი მცირე თავისაგან შედგენილი ასკეტური თხზულებიდან – „სიყუარულისათვის“. ეს თავები აღმოჩნდა სწორედ ზემოხსენებულ კომპილაციაში – „სწავლათაგან წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებლისათა, რჩევით გამოკრებული“ (D ხელნაწერის ვარიანტით – „წმ. მაქსიმეს სწავლანი სულიერნი“).¹⁸

წმ. მაქსიმე აღმსარებლის ოთხასეული – „თავნი სიყუარულისათვის“ (Κεφαλαία Περὶ Ἀγαπῆς, Capita de caritate, CPG 7693), რომელიც ვინმე ელპიდი ხუცისათვის მიუძღვნია ავტორს, ასკეტური თეოლოგიის შესანიშნავი ძეგლია.¹⁹ წმ. მაქსიმეს ასკეტურ ქმნილებათა შორის იგი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია.²⁰ ოთხას მოკლე თავში (გნომებში) გადმოცემულია სულიერი რეკომენდაციები ღმრთივსათნო ცხოვრებისათვის და ამ სათნოებათა მწვერვალად სიყვარულია გამოცხადებული.

წმ. მაქსიმეს თხზულება მრავალ ენაზეა თარგმნილი. ამათ შორის უძველესად არის მიჩნეული ლათინური თარგმანი XII საუკუნისა. დაახლოებით ამავე დროს უთარგმნიათ ქართულადაც ელინოფილური

¹⁸ S-ში სათაურს ერთვის ანდერძი (სავარაუდოდ, ეფთვიმე მთაწმიდელისა): „წმიდანო ღმრთისანო, ლოცვა-ყავთ გლახაკისა მ-მსთვის“ (სახელის არასწორი დაწერილობა, ალბათ, დედნის ბუნდოვანებითაა გამოწვეული).

¹⁹ ბერძნული ტექსტი რამდენჯერმეა გამოცემული: J.-P. Migne (ed.), *Patrologiae cursus completus*, t. 90, 1865, col. 959-1080. კრიტიკული გამოცემა, იტალიური თარგმანიურთ: Aldo Ceresa-Gastaldo (ed.), *Massimo Confessore, Capitoli sulla carità* (Verba Seniorum 3), Roma 1963. ტექსტის პუბლიკაცია ის., აგრეთვე, წმ. მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა სრულ კრებულში: Μαξίμου τῶν Ὁμοιωγῆτου Ἄπαντα τὰ ἔργα.

²⁰ Angelo di Berardino (ed.), *Patrologia*, vol. V, p. 114.

მთარგმნელობითი პრინციპებით (დედანთან მაქსიმალური სიახლოვის ტენდენციით). მთარგმნელის ვინაობა ცნობილი არაა, ხოლო თარგმანის ტექსტი ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერთი (ყველა – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციიდან): A-39 (XIII ს.), A-234 (XVIII ს.) A-711 (1785 წ.), A-1206 (XVIII ს.) S-1350 (1794 წ.), A-435 (XVIII ს.), S-327 (XVIII ს.).

ტექსტის გამოსაცემად მომზადებისას შევნიშნეთ, რომ წმ. მაქსიმეს „ოთხასეულის“ ზოგიერთ თავს შინაარსობრივად ძალზე უახლოვდებოდა ცალკეული თავები ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ გამოკრებილი კომპილაციიდან – „სწავლათაგან მაქსიმე აღმსარებელისათა, რჩევით გამოკრებული“ (ანუ „სწავლანი სულიერნი“), რომელიც ჩემთვის ცნობილი იყო მის შემცველ ხელნაწერთა (STU) აღწერილობაზე მუშაობის შედეგად. შედარებამ დამარწმუნა, რომ „რჩევით გამოკრებულის“ 36 თავიდან ცხრა თავი სწორედ წმ. მაქსიმეს „ოთხასეულიდან“ გამოუკრებია მის შემდგენელს (სავარაუდოდ, თავად მთარგმნელს, ეფთვიმე მთაწმიდელს). ეს არის „ოთხასეულის“ თავები: I, 11; I, 53; I, 58; I, 85; III, 54; III, 55; IV, 31; IV, 35; IV, 85 (STUD კომპილაციაში მათ შესაბამება II, IV, V, X, XXVII, XXVIII, XXXII, XXXIII, XXXVI).

მაშასადამე, ამ ცხრა თავის სახით ჩვენ წინაშეა კიდევ ერთი თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა. STU ანთოლოგიონებით ჩვენამდე მოღწეულ ეფთვიმესეულ კრებულში შეტანილი გამოკრებული თარგმანების გვერდით წმ. მაქსიმეს „ოთხასეულის“ ფრაგმენტების ჩართვა გვიჩვენებს, რომ ამ კრებულში ფრაგმენტებად შეტანილ სხვა თხზულებებთან ერთად, რომლებიც ეფთვიმემ მოგვიანებით სრულად თარგმნა, თურმე ეს დიდებული მოღვაწე „ოთხასეულის“ სრულ თარგმნასაც გეგმავდა. ამ გეგმის შესრულება დასცალდა თუ არა მას, ვერ ვიტყვით. ჩვენამდე არაა მოღწეული „ოთხასეულის“ ეფთვიმესეული სრული თარგმანის შემცველი არც ერთი ხელნაწერი.

ჯერჯერობით გვაქვს მხოლოდ სხენებული ცხრა თავის განხილვის საშუალება. ამ ცხრა თავის ფარგლებში ეფთვიმესეული თარგმანის თავისებურებათა საჩვენებლად პარალელურად წარმოვადგენთ მის ტექსტს ბერძნულ დედანთან ერთად. აქვე მოგვყავს წმ. მაქსიმეს „ოთხასეულის“ გვიანდელი (ელინოფილური) თარგმანის შესაბამისი თავებიც, წმ. მაქსიმეს თხზულების ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიის გასათვალისწინებლად:²¹

²¹ წმ. მაქსიმეს „ოთხასეულის“ ელინოფილური თარგმანის ტექსტს ვიმოწმებთ გამოცე-მიდან: კოჭლამაზაშვილი (გამოც), წმ. მაქსიმე აღმსარებლის

ბერძნული ტექსტი	ეფთვიმეს თარგმანი	ელინოფილური თარგმანი
<p>1. 11 (ια') Πᾶσαι μὲν αἰ ἀρεταὶ συνεργοῦσι τῷ νῶ πρός τὸν θεῖον ἔρωτα,</p> <p>πλέον δὲ πάντων ἡ καθαρὰ προσευχή·</p> <p>διὰ ταύτης γὰρ πρός τὸν Θεὸν πτεροῦμενος, ἕξω γίνεται πάντων τῶν ὄντων.</p>	<p>2. ყოველი სათნოებანი შეეწევია სულსა,</p> <p>ხოლო უმეტეს ყოველთაჲსა – განკითხვით ლოცვაჲ გონებითა ღმობიერიითა და წმიდითა, რომელ არს სიყუარული, რამეთუ მის მიერ შეისხამს ფრთეთა და აღამაღლებს სულსა ზეცას წინაშე ღმრთისა.</p>	<p>I, 11. ყოველივე უკუე სათნოებანი თანამოქმედ ექმნებიან გონებასა საღმრთოჲსა მიმართ ტრფიალებისა, ხოლო უმეტეს ყოველთა – ლოცვაჲ წმიდაჲ,</p> <p>რამეთუ ამის მიერ ღმრთისა მიმართ ფრთოვანქმნილი გარეგან იქმნების ყოველთა არსთა.</p>
<p>1. 53 (νγ') Ἐὰν θέλῃς τῆς κατὰ Θεὸν ἀγάπης μὴ ἐκπεσεῖν,</p> <p>μῆτε τὸν ἀδελφὸν ἀφῆς κοιμηθῆναι λυπούμενον κατὰ σοῦ μῆτε τὸν κοιμηθῆν λυπούμενος κατ' αὐτοῦ· ἀλλ' ὑπάγε, διαλλάγηθι τῷ ἀδελφῷ σου καὶ ἔλθῃν πρὸς φερε Χριστῷ καθαρῶ τῷ συνειδότι δι' ἕκτενοῦς προσευχῆς τὸ δῶρον τῆς ἀγάπης.</p>	<p>4. უკუეთუ გნებავს, ძმაო საყუარელო, რაჲთა არა განჰვარდე წყალობისაგან ღმრთისა, ნუ დასწვები გულმწერალი ძმისაგან შენისა და ნუცა მას მიუშუებ შენგან მწუხარედ დაწოლად, არამედ ადრე წარვედ და დაეგე მას, და ეგრეთ მოვედ და შეწირე ლოცვაჲ შენი წინაშე ქრისტესა და მთართუენ მას ძღუნად სიმდაბლედ და სიყუარული, და ესრეთ შეიწირავს შენგან ცრემლთა.</p>	<p>I, 53. გნებავს თუ არა-განვდრომად ღმრთისა მიმართისა სიყუარულისაგან, ნუცა ძმასა უტყვევდ შენთვს მწუხარებით დაძინებად, ნუცა შენ მისთვს შეწუხებული დაძინებ, არამედ მივედ, დაეგე ძმასა შენსა, და მოვედ და შეწირე ქრისტესა ძღუენი სიყუარულისაჲ, წმიდითა სვნიდისითა და ლოცვითა აღჰყრობილითა.</p>
<p>1. 58 (νη') Μὴ δῶς τὴν ἀκοίην σου τῇ γλώσσῃ τοῦ καταλάλου μηδὲ τὴν γλῶσσαν σου τῇ ἀκοίῃ τοῦ φιλοψόγου, ἡδέως λαλῶν ἢ ἀκούων κατὰ τοῦ πέλας,</p> <p>ἵνα μὴ ἐκπέσῃς τῆς θείας ἀγάπης καὶ ἀλλότριος εὐρεθῆς τῆς αἰώνιου ζωῆς.</p>	<p>5. ნუ მიუპყრობ ყურსა შენსა სმენად სიტყუათა მათ ძვრისზრახვისათა და ნუცა სცემ ენასა შენსა დაბრკოლებად ძმისა შენისა,</p> <p>რაჲთა არა განჰვარდე წმიდისა სიყუარულისაგან და კიდე-იპოვო მოწაფეთაგან ქრისტესთა.</p>	<p>I, 58. ნუ მისცემ სასმენელთა შენთა ენასა ძვრისმზახვალისასა, ნუცა ენასა შენსა სასმენელსა ძაგებისმოყუარისასა წადიერებით თქუმად ანუ სმენად რასმე მოყუსისათვს, რაჲთა არა განჰვარდე საღმრთოჲსა სიყუარულისაგან და უცხო იპოო საუკუნოჲსა ცხოვრებისაგან.</p>

<p>1. 85 (πε') Ὡσπερ στρουθίων τὸν πόδα δεδεμένον ἀρχόμενον πέτεσθαι, ἐπὶ τὴν γῆν κατασπᾶται, τῷ σχοινίῳ ἐλκόμενον·</p> <p>οὕτω καὶ ὁ νοῦς μίπω ἀπάθειαν κτησάμενος καὶ ἐπὶ τὴν τῶν οὐρανίων γνῶσιν πετόμενος,</p> <p>ὑπὸ τῶν παθῶν καθελκόμενος ἐπὶ τὴν γῆν κατασπᾶται.</p>	<p>10. ვითარცა მფრინველი რაჟამს დაების მახითა და უნებნ, რაითამცა აფრინდა, ხოლო მახე იგი აყენებნ, რამეთუ არნ ფერვი მისი შეკრულ, ვგრეთვე ჩუენ, უკუეთუ არა ვიტყოდით მოძღუართა წინაშე სულიერთა ყოველსავე, სიმდიდრისა ამისგან ურგებისა და ზრუნვათაგან სოფლისათა დავებმით და დავეჩუევით და მას შინა სულითა მოკვუდებით.</p>	<p>I, 85. ვითარ-იგი მფრინველი ფერვდაბმული, იწყებდეს რა ფრინვად, ქუეყანად დაეკუეთების საბლისა მიერ დაზიდვითა, ვგრეთვე გონებად, არღა მომგებელი უვნებელობისაჲ, აღიფრინვებდეს რა ზეცისა მცნობელობათა მიმართ, ვნებათა მიერ დაზიდული ქუეყანად დაეკუეთების.</p>
<p>3. 54 (νδ') Οὐκ ἔστι φρίζαι καὶ ἐκπλαγῆναι καὶ ἐκστῆναι τῇ διανοίᾳ ὅτι ὁ μὲν Θεὸς καὶ Πατὴρ κρίνει οὐδένα, πᾶσαν δὲ τὴν κρίσιν δέδωκε τῷ Υἱῷ. Ὁ δὲ Υἱὸς κρᾶζει· Μὴ κρίνετε, ἵνα μὴ κριθῆτε· μὴ καταδικάζετε, ἵνα μὴ καταδικασθῆτε. Ὁ δὲ Ἀπόστολος ὁμοίως· Μὴ πρὸ καιροῦ τι κρίνετε, ἕως ἄν ἔλθῃ ὁ Κύριος, καί· Ἐν ᾧ κρίματι κρίνεις τὸν ἕτερον, σεαυτὸν κατακρίνεις.</p> <p>Οἱ δὲ ἄνθρωποι ἀφέντες τὸ κλαίειν τὰς ἑαυτῶν ἁμαρτίας ἦραν τὴν κρίσιν ἀπὸ τοῦ Υἱοῦ καὶ αὐτοὶ ὡς ἠναμάρτητοι κρίνουσι καὶ καταδικάζουσιν ἀλλήλους· καὶ ὁ μὲν οὐρανὸς ἐξέστη ἐπὶ τούτῳ, ἢ δὲ γῆ ἔφριξεν, αὐτοὶ δὲ οὐκ αἰσχύνονται ἀνασθητοῦντες.</p>	<p>27. არა უწყია, საყუარელო, რამეთუ მამად არავის სჯის, არამედ ყოველივე სასჯელი მოსცა ძესა? ხოლო ძე დალადებს: „ნუვის სჯით, რაათა არა დაისაჯნეთ“.</p> <p>ხოლო მოციქული იტყვს: „ნუვის სჯით უწინარეს ჟამისა, ვიდრემდის მოვიდეს უფალი“, რამეთუ „რომლითა სასჯელითა სჯიდეთ ძმათა თქუენტა, თავთა თქუენტა სჯით“, და თანამდებ იქმნებით სასჯელსა საუკუნესა, რამეთუ კაცთა დაუტევების ტირილი ცოდვათა თვსთაჲ, და მოუღების სასჯელი ძისაგან ღმრთისა, რომელსა მოსცა მამამან, და თვთ სჯიან. და სულთაცა თვსთა დასჯიან. ცაჲ განტყდა ამას ზედა, და ქუეყანად განცვრდა საშინელსა ამას საქმესა.</p>	<p>III, 54. ანუ არა განცვზრდეთ და განვკრთეთ გონებითა, ვითარ ღმერთი მამად არცა ერთსა ვის სჯის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა. ხოლო ძმ წმობს: „ნუ დასჯით, რაათა არა დაისაჯნეთ; ნუცა განიკითხავთ, რაათა არა განიკითხნეთ“. ხოლო მოციქული ვგრეთვე იტყვს: „ნუვის სჯით პირველ ჟამისა, ვიდრემდის მოვიდეს უფალი“, და „რომლითა-იგი დასჯი სხუასა, თავსა თვსსა დასჯი“. ხოლო კაცთა, დატევებითა თვსთა ცოდვათა ტირილისაჲთა, მოუტაცების მსაჯულობად ძისაჲ და თვთ სჯიან, ვითარცა უცოდველნი, და ურთიერთას სჯიან. ამას ზედა განცვზრდა ცაჲ და განვკრთა ქუეყანად. ხოლო იგინი უგრძობელობით არა შეირცხვნებენ.</p>

<p>3. 55 (ve') Ὁ τὰς τῶν ἄλλων ἁμαρτίας περιεργαζόμενος ἢ καὶ ἐξ ὑπονοίας τὸν ἀδελφὸν κρίνων, οὕτω ἔβαλεν ἀρχὴν μετανοίας οὐδὲ τοῦ ἐρευνᾶν καὶ γνῶναι τὰς ἑαυτοῦ ἁμαρτίας, ἐν ἀληθείᾳ βαρυτέρας οὐσας μολιβδου πολυταλάντου,</p> <p>οὐδὲ ἔγνω πόθεν γίνεται ἄνθρωπος βαρυκάρδιος ἀγαπῶν ματαιότητα καὶ ζητῶν ψεῦδος.</p> <p>Διὰ τοῦτο ὡς ἄφρων καὶ ἐν σκότει διαπορευόμενος, ἀφείξ τὰς ἑαυτοῦ ἁμαρτίας τὰς τῶν ἄλλων φαντάζεται ἢ οὐσας ἢ νομιζόμενας ἐξ ὑπονοίας.</p>	<p>28. რომელი ხვსხა ძმისა ცოდვათა განიკითხვიდეს, ესევეთარსა ამას ყოვლადვე არა უწყიეს სინანულად, და არცა გამოძიებად ცოდვათა თვსთა, რომელნი უძძიმეს არიან უფროჲს ტყვესა მის, მრავალსხსწორისა,</p> <p>და იგი ხვსხასა ჰრაცხავს, რომელი ყოვილ იყოს ანუ არა. ამისთვის ვითარცა ბნელსა შინა ვალს, მიმოეკუეთების და დაისაჯების საუკუნოდ.</p>	<p>III, 55. სხუათა ცოდვებსა გამოძკულეველმან დაღათუ მოგონებით განიკითხოს ძმად, არა სადმე დაუც სასობად სინანულისად, არცა უწყიეს ჭეშმარიტებით გამოკულევად თვსთა ცოდვათა, უძძიმესთა ბრპენისა მრავალტალანტისათა. არცა უცნობიეს, თუ ვინად იქმნების კაცი გულძძიმე, მეძიებელსა ტყუვილისასა და მოყუარესა ამოვებისასა. ამისთვის, ვითარცა უგუნურსა, და ბნელსა შინა მავალსა, დუტევებიან თვსნი ცოდვანი და სხუათანი ეოცნებიან, ანუ მყოფნი ანუ ჰაზრითა საგონებელნი.</p>
<p>4. 31 (λα') Μη ὡς εὐνοοῦντας λογιζοῦς τοὺς λόγους σοι φέροντας λύπην ἐν σοὶ καὶ μῖστος πρὸς τὸν ἀδελφὸν ἐργαζομένους, κἄν ἀληθεύειν δοκῶσιν·</p> <p>ἀλλ' ὡς θανατοῦντας ὄφεις τοὺς τοιοῦτους ἀποστρέφου,</p> <p>ἵνα κἀκείνους τοῦ κακολογεῖν ἀνακόψῃς καὶ τὴν σεαυτοῦ ψυχὴν πονηρίας ἀπαλλάξῃς.</p>	<p>32. ნუ შეიწყნარებ სიტყუათა მისთა, რომელი იტყოდის შენ თანა ბოროტსა ძმისა შენისათვს,</p> <p>არამედ მსწრაფლ უკუნ-აქციე ვითარცა გუელი წამლიანი, მომავალი ცემად შენდა,</p> <p>რადთა სულიცა შენი აცხოვნო და იგიცა განაყენო ძვრისწხენებისაგან.</p>	<p>IV, 31. ნუ ვითარცა ერთგულთა შეჰრაცხ მათ, რომელნი მოგართუმიდენ შენ სიტყუათა მწუხარებისა და სიჭულილისა შემქმნელთა ძმისა მიმართ, დაღათუ ჭეშმარიტ საგონებელ იყვნენ. არამედ, ვითარცა მაკუდინებელთა გუელთა, ესრეთ ევლტოდი ესევეთართა მათ, რადთა მათიცა ძვრისმეტყუელებად განუკუეთო, და შენიცა სული სიბოროტისაგან განათავისუფლო.</p>

<p>4. 35 (λε') Οὐ δύναιτο ψυχὴ λογικὴ πρὸς ἄνθρωπον μῖσος τρέφουσα πρὸς τὸν Θεὸν εἰρηνεύσαι, τὸν τῶν ἐντολῶν δοτήρα.</p> <p>Ἐὰν γάρ, φησί, μὴ ἀφῆτε τοῖς ἀνθρώποις τὰ παραπτώματα αὐτῶν, οὐδὲ ὁ Πατήρ ὑμῶν ὁ οὐράνιος ἀφήσει ὑμῖν τὰ παραπτώματα ὑμῶν.</p> <p>Εἰ δὲ ἐκεῖνος εἰρηνεύειν οὐ θέλει, ἀλλὰ σὺ γε σεαυτὸν ἀπὸ μίσους φύλαξον, προσευχόμενος ὑπὲρ αὐτοῦ γρησίδως καὶ μὴ κακολογῶν αὐτὸν πρὸς τινά.</p>	<p>33. ვერ შეუძლია, რომელსა აქუნდეს ძვრისწესება ძმისათვის, რადამაცა ჰოვა ღმრთისაგან მოტყუება, ვითარცა იტყვს მაცხოვარი:</p> <p>„უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენმან მოგიტევნეს შეცოდებანი თქვენნი“.</p>	<p>IV, 35. ვერ ძალ-უც სულსა სიტყვერსა, რომელი კაცისა მიმართ სიძულილსა ჰმარხვიდეს, მშვდობის ყოფად ღმრთისა მიმართ, მცნებასა ამას მომცემელისასა, რამეთუ იტყვს: „უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენმან ზეცათამან მოგიტევნეს შეცოდებანი თქვენნი“.</p> <p>ხოლო უკუეთუ მას არა ჰნებავს დაგებად, არამედ შენ ოდენ დაიცევ თავი თვისი სიძულილისაგან, გულსმოდგინედ ლოცვითა მისთვის, და ნუვის თანა ძვრსა ზრახავ მისთვის.</p>
<p>4. 85 (πε') Πολλοὶ ἐσμὲν οἱ λέγοντες, ὀλίγοι δὲ οἱ ποιοῦντες· ἀλλ' οὖν τὸν λόγον τοῦ Θεοῦ οὐδεὶς ἄφιλε νοθεύειν διὰ τὴν ἰδίαν ἀμέλειαν, ἀλλ' ὁμολογεῖν μὲν τὴν ἑαυτοῦ ἀσθενείαν, μὴ ἀποκρύπτειν δὲ τὴν τοῦ Θεοῦ ἀλήθειαν· ἵνα μὴ ὑπόδικοι γενώμεθα μετὰ τῆς τῶν ἐντολῶν παραβίασεως καὶ τῆς τοῦ Θεοῦ παρεξήγησεως.</p>	<p>36. მრავალნი ვართ მეტყუელნი და მცირენი მოქმედნი, არამედ სიტყუად ღმრთისაჲ არა ჯერ-არს დაფარვად თვისისა უდებებისაგან,</p> <p>არამედ აღვიაროთ თვისი უდებებაჲ სიმდაბლით</p> <p>და არა დაფაროთ საქმე კეთილი, რადთა არა თანამდებ ვიქმნეთ სასჯელსა ორგულებით და დაფარვითა მცნებათაჲთა.</p>	<p>IV, 85. მრავალ ვართ მეტყუელნი, ხოლო მცირედ – მოქმედნი, არამედ, არცა ეგრეთ ვის უკვს საეჭუ ყოფად სიტყუასა ღმრთისასა, თვისისა უდებებისათვის, გარნა აღსაარებად სადმე თვისსა უძღურებასა, ხოლო არა დაფარვად ღმრთისა ჭეშმარიტებასა, რადთა არა დასახველ ვიქმნეთ მცნებათაჲვე გარდასლვასა თანა, სიტყვსაცა ღმრთისა იგურდივ მითხრობისათვის.</p>

შედარება გვიჩვენებს, რომ ელინოფილური თარგმანი ზედმიწევნით სიზუსტით მისდევს ბერძნულ დედანს, თავისუფალი სტილის მთარგმნელ ეფთვიმე მთაწმიდელს კი სხვადასხვა ცვლილება შეუტანია ტექსტში: (1) ლექსიკური შენაცვლებანი, რითაც კონტექსტის შინაარსი არ იცვლება, (2) ფრაზის ან სიტყვების გადანაცვლება, (3) მიმღეობების შეცვლა ზმნის პირიანი ფორმებით, (4) ინფინიტივის შეცვლა ზმნის პირიანი ფორმით, (5) ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების გამოტოვება, (6) პირიქითაც, ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების ჩართვა, (7) ლოგიკური ცვლილება, (8) განსხვავებული აზრის შემოტანა.

აქვე მოვიყვანთ თითოეული ამ ცვლილების მაგალითებს (ეფთვიმესეული

შესატყვისებს აღვნიშნავთ E სიმბოლოთი, ელინოფილი მთარგმნელისას – G-თი, შესაბამისი თავების მითითებით):

ლექსიკური შენაცვლებანი

ბერძნულ ტერმინებს ეფთვიმე ზოგჯერ თარგმნის არა მათი ზუსტი შესატყვისით, არამედ ანაცვლებს შინაარსობრივად მასთან ახლო მდგომი შესატყვისებით, ისე, რომ ამით კონტექსტის შინაარსს ან სრულიად არ ცვლის, ანდა შემოაქვს რაღაც ნიუანსი ან აქცენტი.

ელინოფილი მთარგმნელი კი, ისე, როგორც სხვა შემთხვევებში, განსახილავი ტექსტის ფარგლებშიც მუდამ ზუსტ შესატყვისებს ირჩევს. შდრ.:

ή κατὰ πρῶτον (I,11) განკითხვით ლოცვა²² (E), ლოცვა წმიდა (G)
συεργῶνσι (I,11) შეეწვიან (E), თანამოქმედ ექმნებიან (G)

τῶν ἁγίων (I,11) სულსა (E), გონებასა (G)

τῆς ἀγάπης (I,53) წყალობისაგან (E), სიყვარულისაგან (G)

ეს ბოლო შენაცვლება ეფუძნება I, 53-ე თავში κατὰ Θεόν-ის გაგებას „საღმრთოდ“: ἡ κατὰ Θεόν ἀγάπη („საღმრთო სიყვარული“), ეფთვიმეს გაგებით, ის სიყვარულია, რომელსაც ღმერთი იჩენს თავისი ქმნილების (კაცის) მიმართ, ხოლო ღმრთის სიყვარული გამოიხატება მისი უშურველი წყალობით, ამიტომაც პირდაპირ დაუწერია „წყალობა“. რატომ? – იმიტომ, რომ გამოთქმა – „საღმრთო სიყვარულისაგან განვრდომა“, შესაძლოა, ბუნდოვანი ყოფილიყო მკითხველისათვის, „ღმრთის წყალობისაგან განვრდომა“ კი გამჭვირვალე გამოთქმაა, ღმრთის წყალობის დაკარგვას ნიშნავს. ელინოფილურ თარგმანში ἡ κατὰ Θεόν ἀγάπη გაგებულია „ღმრთისა მიმართ სიყვარულად“. რა გამოდის ასეთი გაგებით? – ღმრთის მიმართ სიყვარულიდან რომ არ განვარდე (ესე იგი, რომ არ დაკარგო ღმრთის მიმართ სიყვარული), ძმას შეურიგდი და ერთმანეთის მიმართ წყენა დაივიწყეთო. მაშასადამე, ღმრთის მიმართ სიყვარული, შესაძლოა, ჰქონდეს ისეთ კაცს, რომელსაც მწუხარება მიუყენებია ძმისათვის და თავადაც ნაწყენია მასზე (მის მიერ ჩადენილი რაიმე უმართებულო საქციელის გამო). თითქოსდა ასეთ კაცს ასწავლის ავტორი, – იმისათვის, რათა ღმრთის მიმართ შენს სიყვარულს რაიმე საფრთხე არ დაემუქროს, საჩქაროდ მიდი, შეურიგდი შენს ძმასო. ასეთ გაგებას ეწინააღმდეგება წმ. მაქსიმეს „ოთხასეულის“ I,

²² იმისათვის, რათა „განკითხვით ლოცვას“ გაუგებრობა არ შემოეტანა, ეფთვიმეს დაურთავს მისი განმარტებაც: „გონებითა ღმობიერითა და წმიდითა, რომელ არს სიყვარული“.

15-ე თავი, სადაც გარკვევითაა ნათქვამი: თუკი კაცი თავის თავში ხედავს თუნდაც მცირეოდენ კვალს სხვა კაცის მიმართ სიძულვილისას (რაც არ უნდა დამნაშავე იყოს მის მიმართ), ასეთი კაცი სრულიად უცხოა ღმრთის სიყვარულისაგან, ანუ ღმრთის სიყვარული ოდნავადაც არ გაჰკარებიაო.²³ მაშასადამე, I, 53-ე თავში ἡ κατὰ Θεὸν ἀγάπη-ს გაგება „ღმრთისა მიმართ სიყვარულად“ მართებული ვერ იქნება. ესაა საღმრთო სიყვარული – ღმრთისმიერი წყალობა, რომლისაგან განვრდომასაც უნდა უფრთხოდეს კაცი და ეს საფრთხე უნდა აიძულებდეს ძმის შეყვარებას და მის მიერ განცდილი ყოველგვარი წყენის დავიწყებას.

λυποῦμενος (I,53) გულმწყრალი (E), შეწუხებული (G)
Μη δῶδ (I,58) ნუ მიუპყრობ (E), ნუ მისცემ (G)
τῆ γλώσσει (I,58) სიტყუათა (E), ენასა (G)
τὴν ἀκοίην (I,58) ყურსა (E), სასმენელთა (G)
τῆς θείας ἀγάπης (I,58) წმიდისა სიყვარულისაგან (E), საღმრთოთა
სიყვარულისაგან (G)

ἀρχόμενον πέτεσθαι (I,85) უნებნ, რაფთამცა აფრინდა (E), იწყებდეს რაფრინვად (G)

τὴν κρίσιν (III,54) სასჯელი (E), მსაჯულობა (G)
ἦραν (III,54) მოულებიეს (E), მოუტაცებიეს (G)
πισταλάντου (III,55) მრავალსახაწორისა (E), მრავალტალანტისა (G)
ἀπαλλάξῃς (IV,31) აცხოვნო (E), განათავისუფლო (G)
ἀνακόψῃς (IV,31) განაყენო (E), განუკუეთო (G)
λόγους σοι φέροντας (IV,31) იტყოდის შენ თანა (სიტყუათა) (E),
მოგართუმიდენ შენ სიტყუათა (G)

λύπην ἐν σοὶ καὶ μῖσος πρὸς τὸν ἀδελφὸν ἐργαζομένους (IV, 31) ბოროტსა ძმისა შენისათვის (E), მწუხარებისა და სიძულილისა შემქმნელთა ძმისა მიმართ (G)

θανатоῦντας (IV,31) წამლიანი (E), მაკუდინებელი (G)
ἀποστρέφου (IV,31) უკუნ-აქციე (E), ევლტოდი (G)
οὐδεὶς ἄφειλε (IV,85) არა ჯერ-არს (E), არცა ეგრეთ ვის უკმს (G)
νοθεύειν (IV,85) დაფარვად (E), საეჭუ ყოფად (G)
ἀσθένειαν (IV,85) უდებება (E), უძლურებასა (G)

²³ „რომელი კვალსა სიძულილისასა ხედიდეს გულსა შორის თვისსა, რომლისაცა ბრალისათვის, რომლისაცა კაცისა მიმართ, ყოვლად უცხო არს იგი ღმრთისა მიმართისა სიყვარულისაგან, რამეთუ ღმრთისა მიმართ სიყვარული კაცისა მიმართსა სიძულილსა ყოვლად არა თავს-იდებს“ [კოჭლამაზაშვილი (გამოც.), *წმ. მატსიმე აღმსარებელი*, გვ. 131].

წინადადების კონსტრუქციისა და კონტექსტის შინაარსის შეცვლა
πρὸς τὸν Θεὸν εἰρηνεῦσαι (IV,35) რაფთამცა პოვა ღმრთისაგან მოტვეება
(E), მშვდობის ყოფად ღმრთისა მიმართ (G)

πρὸς ἄνθρωπον μῖσος τρέφουσα (IV,35) რომელსა აქუნდეს ძვრისწესენება
ძმისათვის (E), რომელი კაცისა მიმართ სიძულილსა ჰმარხვიდეს (G)

καὶ ἀγλότριος εὐρεθῆς τῆς αἰωνίου ζῶης (I,58) კიდე-იპოვო მოწაფეთაგან
ქრისტესთა (E), უცხო იპოო საუკუნოვსა ცხორებისაგან (G)

ფრაზის ან სიტყვების გადანაცვლება

μήτε τὸν ἀδελφὸν ἀφῆς κοιμηθῆναι ληπούμενον κατὰ σοῦ μήτε σὺ κοιμηθῆς
ληπούμενος κατ' αὐτὸν (I,53) „ნუ დასწვები გულმწერალი ძმისაგან შენისა
და ნუცა მას მიუშუებ შენგან მწუხარედ დაწოლად“ (E). შდრ.: „ნუცა ძმასა
უტევებ შენთვის მწუხარებით დაძინებად, ნუცა შენ მისთვის შეწუხებულნი
დაიძინებ“ (G).²⁴

καὶ ὁ μὲν οὐρανὸς ἐξέστη ἐπὶ τοῦτῳ, ἢ δὲ γῆ ἔφριξεν (III,54) „ცაა განტყდა
(resp. განჰკრთა) ამას ზედა, და ქუეყანაა განცვბრდა საშინელსა ამას
საქმესა“ (E). შდრ.: „ამას ზედა განცვბრდა ცაა და განჰკრთა ქუეყანაა“ (G).
ბერძნულთან მიმართებით, ეფთვიმესეულ თარგმანში გადანაცვლებითაა
მოსხენიებული სიტყვები – „განცვბრება“ და „განკრთომა“. „განცვბრება“
ბერძნულში „ცაზე“ ითქმის, ეფთვიმესეულში – „ქუეყანაზე“. „განკრთომა“
კი – პირიქით: ბერძნულში – „განჰკრთა ქუეყანაო“, ეფთვიმესეულში – „ცაა
განკრთაო“. ოღონდ ეფთვიმესეული ვერსიის შემცველი ხელნაწერების
(STUD) დაზიანებული დედნის შეცდომა მათშიც გადასულა: „განკრთა“-ს
ნაცვლად „განტყდა“ დაუწერიათ.²⁵

ἵνα κἀκείνους τοὺς κακολογεῖν ἀνακόψῃς καὶ τὴν σεαυτοῦ ψυχὴν ποτηρίᾳς
ἀπαλλάξῃς (IV,31) „რაფთა სულიცა შენი აცხოვნო და იგიცა განაყენო
ძვრისწესენებისაგან“ (E), შდრ. „რაფთა მათიცა ძვრისმეტყუელებაა
განუკუეთო, და შენიცა სული სიბოროტისაგან განათავისუფლო“ (G)

მიმღეობების შეცვლა ზმნის პირიანი ფორმებით

πτερύμενος (ფრთოვანქმნილი G) (I,11) – შეისხამს ფრთეთა (E)

τὸν πόδα δεδεμένον (ფერვდაბმული G) (I,85) – რაჟამს დაების მახითა (E)

²⁴ აქ ფრაზების გადანაცვლებასთან ერთად ლექსიკური ერთეულების ჩანაცვლებასაც ვხედავთ: დაძინება > დაწოლა. შეწუხებული > გულმწერალი.

²⁵ ეს ცთომილება, შესაძლოა, კარნახით წერისასაა გაჩენილი, „განკრთა“-ს ბუნდოვანი გამოთქმით და „განტყდა“-სთან მიმსგავსებით.

περιεργαζόμενος (გამომკულებელმან G) (III,55) – რომელი განიკითხვიდეს (E)

ἐν σκίτει διαπορευόμενος (ბნელსა შინა მავალსა G) (III,55) – ბნელსა შინა ვალს (E)

ინფინიტივის შეცვლა ზმნის პირიანი ფორმით:

μη ἐκπεσεῖν (არა-განვრდომად G) (I,53) – რაფთა არა განჰვარდე (E)

πέτεσθαι (ფრინვა G) (I,85) – რაფთამცა აფრინდა (E)

ὀμολογεῖν (აღსაარებად G) (IV,85) – აღვიართ (E)

ეფთვიმეს ვერსიაში გამოტოვებულია ცალკეული სიტყვები და ფრაზები (ისინი უგამონაკლისოდ დასტურდება ელინოფილურ თარგმანში; შედარებისათვის ისინიც მოგვყავს აქვე):

πρὸς τὸν θεῖον ἔρωτα (I,11) – „საღმრთოესა მიმართ ტრფიალებისა“ (G)

δι’ ἐκτενοῦς προσευχῆς (I,53) – „ლოცვითა აღჰყრობილითა“ (G)

τῆ ἀκοῆ τοῦ φιλοσόφου, ἡδέως λαλῶν ἢ ἀκούων κατὰ τοῦ πέλας (I,58) – „სასმენელსა ძაგებისმოყუარისასა წადიერებით თქუმად ანუ სმენად რასმე მოყუისათვს“ (G)

μη καταδικάζετε, ἵνα μη καταδικασθῆτε (III,54) – „ნუცა განიკითხავთ, რაფთა არა განიკითხნეთ“ (G)

ὡς ἀναμάρτητοι (III,54) – „ვითარცა უცოდველნი“ (G)

αὐτοὶ δὲ οὐκ αἰσχύνονται ἀναισθητοῦντες (III,54) – „ხოლო იგინი უგრძნობელობით არა შეირცხვნებენ“ (G)

ἢ καὶ ἐξ ὑπονοίας τὸν ἀδέλφον κρίνων, οὐπω ἔβαλεν ἀρχὴν μετανοίας (III,55) – „დაღათუ მოგონებით განიკითხოს ძმაჲ, არა სადმე დაუც სასობაჲ სინანულისაჲ“ (G)

ἐν ἀληθείᾳ (III,55) – „ჰეშმარიტებით“ (G)

οὐδὲ ἔγνω πόθεν γίνεται ἄνθρωπος βαρυσκάρδιος ἀγαπῶν ματαιότητα καὶ ζητῶν ψεῦδος (III,55) – „არცა უცნობიეს, თუ ვინაჲ იქმნების კაცი გულმძიმე, მეძიებელსა ტყუვილისასა და მოყუარესა ამაოებისასა“ (G)

ἀφείς τὰς ἑαυτοῦ ἀμαρτίας (III,55) – „დაუტევებიან თვხნი ცოდვანი“ (G)

ἢ νομιζόμενας ἐξ ὑπονοίας (III,55) – „ანუ ჰაზროთა საგონებელნი“ (G)

κἂν ἀληθεύειν δοκῶσιν (IV,31) – „დაღათუ ჰეშმარიტ საგონებელ იყვნენ“ (G)

ψυχῆ λογικῆ (IV,35) – „სულსა სიტყვერსა“ (G)

τὸν τῶν ἐντολῶν δοτήρα (IV,35) – „მცნებასა ამას მომცემელისასა“ (G)

Εἰ δὲ ἐκεῖνος εἰρηγεύειν οὐ θέλει, ἀλλὰ σὺ γε σεαυτὸν ἀπὸ μίσους φύλαξον, προσευχόμενος ὑπὲρ αὐτοῦ γνησίως καὶ μη κακολογῶν αὐτὸν πρὸς τινά (IV 35)

– „ხოლო უკუეთუ მას არა ჰნებაგს დაგებად, არამედ შენ ოდენ დაიცევ თავი თვისი სიძულილისაგან, გულსმოდგინედ ლოცვითა მისთვის, და ნუვის თანა ძვრსა ზრახავ მისთვის“ (G)

პირიქითაც, ეფთვიმეს, სხვადასხვა მოსაზრებით, ცალკეული სიტყვები და ფრაზები ჩაურთავს:

„გონებითა ღმობიერთა და წმიდითა, რომელ არს სიყუარული“ (2)

„სიმდაბლე“ (4)

„და ესრეთ შეიწირავს შენგან ცრემლთა“ (4)

„დაბრკოლებად ძმისა შენისა“ (5)

„თანამდებ იქმნებით სასჯელსა საუკუნესა“ (27)

„რომელსა მოსცა მამამან“ (27)

„საშინელსა“ (27)

„მიმოკუეთების და დაისაჯების საუკუნოდ“ (28)

„მომავალი ცემად შენდა“ (31)

„სიმდაბლით“ (36)

ლოგიკური ცვლილება:

διὰ ταύτης γὰρ πρὸς τὸν Θεὸν πεποιθμενος, ἕξω γίνεταί πάντων τῶν ὄντων (I,11) [„რამეთუ ამის (resp. ლოცვის) მიერ ღმრთისა მიმართ ფრთოვანქმნილი გარეგან იქმნების ყოველთა არსთა“]. აქ ორი თეზისია წარმოდგენილი: (1) ლოცვა ფრთოვან-ჰყოფს კაცს, და (2) ასეთი კაცი განეყენება (ანუ ჩამოსცილდება) ყოველ არსს, ყველა ქმნილებას, რომელნიც ღმრთთან გონებით კავშირს არიან მოკლებული. ეს კი ქვეტექსტით ღმრთთან მიახლებას მოასწავებს. ეფთვიმესეულ თარგმანში ეს ორი თეზისი ქვეტექსტიურთ ერთ მთლიანობად შეიკრა: „რამეთუ მის (ლოცვის) მიერ შეისხამს ფრთეთა და აღამაღლებს სულსა ზეცას წინაშე ღმრთისა“.

კონტექსტთან შეუთანხმებელი აზრის შემოტანა ტექსტში

τῆς αἰωνίου ζαῖης („საუკუნოჲსა ცხორებისაგან“) (I,58) – ამ გამოთქმას ეფთვიმე ცვლის: „მოწაფეთაგან ქრისტესთა“ (5). ამ ცვლილების საჭიროება ჩვენთვის ბუნდოვანია. კიდევ უფრო გაუგებარია I,85 (10) და IV,85 (36) თავებში შეტანილი ცვლილებები.²⁶ სავარაუდოდ, ეს თავები ეფთვიმესეულ

²⁶ I,85 (10) თავის ბოლო ნაწილში ეფთვიმესეულ ვერსიას ბერძნულისაგან განსხვავებული თემა შემოაქვს, მაგრამ ლოგიკურად ებმის თავის წინა ნაწილს, ხოლო IV,85 (36) თავის ბოლო ნაწილი ფორმალურად თითქოს ემთხვევა ბერძნულ ტექსტს, მაგრამ სრულიად სხვა შინაარსი შემოაქვს და

ვერსიაში გადამწერთა მიერ უნდა იყოს დამახინჯებული.²⁷

სხვა შემთხვევებში კი ეფთვიმესეული ვერსია დედნისეული აზრების საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

ამრიგად, ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ შედგენილ კომპილაციურ ასკეტიკურ კრებულში (ანთოლოგიონში), რომელიც შუა საუკუნეების სამი ხელნაწერთაა ჩვენამდე მოღწეული (ხეც S-1595, ხეც A-116, ხეც A-57), და ერთ გვიანდელ კოდექსშიც (ხეც A-337, XVIII-XIX სს.) გვხვდება აქამდე უცნობი მისი ერთი თარგმანი – რამდენიმე თავი წმ. მაქსიმე აღმსარებლის თხზულებისა – ოთხასეული „სიყუარულისათვის“. ხსენებულ ანთოლოგიონში შეტანილია ფრაგმენტები ეფთვიმე მთაწმიდელის მრავალი თარგმანიდან. ამ ფრაგმენტთა უმეტესობა ზუსტად ემთხვევა ეფთვიმესეული სრული თარგმანების შესაბამის მონაკვეთებს, ზოგიერთი ფრაგმენტი კი ეფთვიმეს სრული თარგმანების შესაბამისი მონაკვეთების მცირედ განსხვავებულ რედაქციულ ვარიანტს წარმოგვიდგენს. დაკვირვება ადასტურებს, რომ სრულ და გამოკრებილ ტექსტთა სხვაობის შემთხვევაში სრული თარგმანების ვარიანტი სტილურად უფრო დახვეწილია, ვიდრე ზემოხსენებულ ასკეტიკურ კრებულებში შეტანილი ფრაგმენტები. ამ ფაქტზე დაყრდნობით გამოვთქვამთ აზრს, რომ ეფთვიმე მთაწმიდელს ეტაპობრივად უმუშავია თავის თარგმანებზე: ჯერ უთარგმნია ფრაგმენტები იმ ლიტერატურისა, რის თარგმნასაც გეგმავდა მომავალში (ამ ფრაგმენტებს საგანგებო კრებულშიც მოუყარა თავი), შემდეგ კი თანდათანობით შესდგომია ამ წინასწარ განსაზღვრული მთარგმნელობითი გეგმის შესრულებას; სრულად უთარგმნია ის თხზულებები, რომლებიც პირველ ეტაპზე გამოკრებით ჰქონდა ნათარგმნი. ზოგი ფრაგმენტი უცვლელად გადაიტანა სრულ თარგმანში, ზოგიც – სტილურად გადამუშავებული სახით.

ჩვენთვის ცნობილია ეფთვიმეს მიერ სრულად ნათარგმნი თითქმის ყველა ის თხზულება, რომელთა ფრაგმენტები ხეც S-1595, ხეც A-116, ხეც A-57 კრებულებშია თავმოყრილი. რადგან ამ კრებულებში სხვა ფრაგმენტებთან ერთად აღმოჩნდა წმ. მაქსიმე აღმსარებლის ხსენებული „ოთხასეულის“ ფრაგმენტებიც, ალბათ, გამორიცხებული არ უნდა იყოს, რომ ოდესმე სრულადაც ეთარგმნა იგი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი რამ ჩვენამდე არაა მოღწეული.

თავის წინა ნაწილთან ლოგიკური კავშირიც დარღვეულია.

²⁷ „ოთხასეულის“ თავთა ეფთვიმესეული თარგმანის სხვა ადგილასაც რომ აღმოჩნდა გადაწერის შეცდომა [სახელდობრ, III,54 (27) თავში], ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ („განკრთა“-ს ნაცვლად „განტყდა“).

წმ. მაქსიმეს „ოთხასეულის“ ფრაგმენტებთან მითითებული არაა მთარგმნელის ვინაობა, მაგრამ რამდენადაც იგი ეფთვიმე მთაწმიდელის სხვა თარგმანების გვერდითაა მოთავსებული და ეფთვიმეს მთარგმნელობითი პრინციპებიც ზედმიწევნითაა მასში გამოვლენილი (კლება, მატება და სხვა გადახვევები დედნისაგან), მთარგმნელის ვინაობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. სწორედ ეფთვიმეს ამ თარგმანის თავისებურებათა მიმოხილვას ეძღვნება წინამდებარე სტატია.

ბიბლიოგრაფია

- გაბიძაშვილი**, *ასკეფურ-მისციკური ნათარგმნი და ორიგინალური მწერლობა* = ე. გაბიძაშვილი, *ასკეფურ-მისციკური ნათარგმნი და ორიგინალური მწერლობა*, ეპისკ. სტეფანე (რედ.), ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან III, თბილისი, 2016.
- თარგმანება** მათეს სახარებისა = წმ. იოანე ოქროპირი, *თარგმანება მათეს სახარებისა*, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, წიგნი I, თბილისი 1996.
- კეკელიძე**, *უცხო ავტორები* = კ. კეკელიძე, *უცხო ავტორები ძველ ქართულ დიფერაფურაში*, კ. კეკელიძე: *ეფთვიმე ძველი ქართული დიფერაფურის ისტორიიდან* V, თბილისი, 1957, გვ. 3-114.
- კეკელიძე**, *ძველი ქართული დიფერაფურის ისტორია* = კ. კეკელიძე, *ძველი ქართული დიფერაფურის ისტორია*, ტ. I, თბილისი, 1980.
- კოჭლამაზაშვილი** (გამოც.), *პავლეს ეპისტოლიეთა განმარტება* = ე. კოჭლამაზაშვილი (გამოც.), *პავლეს ეპისტოლიეთა განმარტება გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ*, თბილისი, 2003.
- კოჭლამაზაშვილი**, „ეფთვიმე მთაწმიდელის ‘რჩევით გამოკრებულნი‘“ = ე. კოჭლამაზაშვილი, „ეფთვიმე მთაწმიდელის ‘რჩევით გამოკრებულნი‘“, *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი*, VII (2014), გვ. 585-672.
- კოჭლამაზაშვილი**, „ეტაპობრიობა ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობით მოღვაწეობაში“ = ე. კოჭლამაზაშვილი, „ეტაპობრიობა ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობით მოღვაწეობაში“, *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი* VII (2014), გვ. 673-731.
- კოჭლამაზაშვილი**, „‘გამოკრებულ სწავლათა’ წარმომავლობისათვის“ = ე. კოჭლამაზაშვილი, „შუა საკუნეების „კურთხევათა“ კრებულებში ჩართულ „გამოკრებულ სწავლათა“ წარმომავლობისათვის“, *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი* XIV (2021), გვ. 174-304.
- კოჭლამაზაშვილი**, „წმ. მაქსიმე აღმსარებლის მიგებანი თალახე ხუცის კითხვებზე“ = ე. კოჭლამაზაშვილი, „წმ. მაქსიმე აღმსარებლის მიგებანი თალახე ხუცის კითხვებზე და მისი ეფთვიმე მთაწმიდელისეული თარგმანი“, *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი* X (იბეჭდება).
- კოჭლამაზაშვილი**, „წმ. გრიგოლ ნოსელის „დიდი კატექეტური სიტყვა“ = ე.

- კოკლამაზაშვილი, „წმ. გრიგოლ ნოსელის ‘დიდი კატექეტური სიტყვა’ და მისი ძველი ქართული თარგმანი“, *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი I* (2008), გვ. 9-204.
- კოკლამაზაშვილი**, „გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრება“ = ე. კოკლამაზაშვილი, „წმ. გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრება“ და მისი ძველი ქართული თარგმანები“, *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი II* (2009), გვ. 375-539.
- კოკლამაზაშვილი**, *ევანგელ პონტოელის De Oratione* = ე. კოკლამაზაშვილი, *ევანგელ პონტოელის De Oratione-ს ძველი ქართული ვერსიები*, თბილისი, 2022.
- კოკლამაზაშვილი** (გამოც.), *წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“* = ე. კოკლამაზაშვილი, *წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეულის“ ძველი ქართული თარგმანი*, თბილისი, 2022.
- მეტრეველი**, „სამახსოვრო წიგნები“ = ე. მეტრეველი, „იოვანე და ეფთვიმე ათონელებისადმი მიძღვნილი „სამახსოვრო წიგნები“, ე. მეტრეველი, *ფილოლოგიური ძიებანი*, თბილისი, 1995, გვ. 3-41.
- ქავთარია** (გამოც.), „დიალოღონი“ = მ. ქავთარია (გამოც.), „დიალოღონი“, *მწიგნობრობა ქართული*, ტ. 7, თბ., 2009, გვ. 241-441, 491-501.
- ქიტოშვილი - ნაჭყებია** (გამოც.), *წიგნი წმიდისა მამისა დოროთესი* = გ. ქიტოშვილი, ნ. ნაჭყებია (გამოც.), *წიგნი წმიდისა მამისა დოროთესი, თარგმნილი წმიდა ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ*, თბილისი, 2018.
- შჩერბაკოვი**, „A-116 და A-57 ნუსხების“ = კ. შჩერბაკოვი, „A-116 და A-57 ნუსხებისა და Quaestiones ad Thalassium-ის ექვთიმეველ თარგმანში შესული 13 კითხვა-მიგვების შესახებ“, *თბილისის სასულიერო აკადემია, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები VIII-IX* (2018), გვ. 163-290.
- ცხორება** ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვმესი = „ცხორება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა“, *ძველი ქართული აგიოგრაფიული რიფერაფურის ძეგლები*, წიგნი II (XI-XV სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1967, გვ. 38-100.
- წმ. იოვანე სინელი**, *კლემაქსი* = წმიდა იოვანე სინელი, *კლემაქსი, რომელ არს კიბე, თარგმნილი წმიდა ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ*, თბილისი, 2016.
- Angelo di Berardino** (ed.), *Patrologia*, Vol. V = Angelo di Berardino (ed.), *Patrologia*, Vol. V, Dal Concilio di Calcedonia (451) a Giovanni Damasceno (A750), I Padri orientali. Genova 2000.
- Aldo Ceresa-Gastaldo** (ed.), *Massimo Confessore* = Aldo Ceresa-Gastaldo (ed.), *Massimo Confessore, Capitoli sulla carità // Verba Seniorum 3*, Roma 1963.
- J.-P. Migne** (ed.), *Patrologiae cursus completus*, t. 90, 1865, col. 959-1080.
- Μαξιμουσ** τοῦ Ὁμοιωγίτου Ἄπαντα τὰ ἔργα, *Φιλοκαλία τῶν νηπτικῶν καὶ ἀσκητικῶν*, τόμος 14, Ἐκδότικος οἶκός Τῶ Βυζάντιον, Θεσσαλονίκη 1992.

ხელნაწერები:

- ხეც. A-39 (XIII ს.) – კრებული (წმ. იოვანე სინელის „კლემაქსი“, წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“ და „ორასეული“)
- ხეც. A-57 (XVII-XVIII ს.) – ასკეტიკური ანთოლოგიონი
- ხეც. A-116 (XVII-XVIII ს.) – ასკეტიკური ანთოლოგიონი
- ხეც. A-234 (XVIII ს.) – კრებული (წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“ და „ორასეული“)
- ხეც. A-435 (XVIII ს.) – კრებული (წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“ და „ორასეული“)

- ბეც. A-711 (1785 წ.) – კრებული (აღსარების წიგნი, ქორწინებისა თავთათვს, წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“, „ორასეული“ და „სწავლანი სულიერნი“)
- ბეც. A-1206 (XVIII ს.) – კრებული (წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“ და „ორასეული“)
- ბეც. S-327 (XVIII ს.) – კრებული (წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“ და „ორასეული“)
- ბეც. S-1350 (1794 წ.) – კრებული (წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“, „ორასეული“ და „სწავლანი სულიერნი“)
- ბეც. S-1595 (XIII ს.) – ასკეტიკური ანთოლოგიონი

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
tkochlamazashvili@yahoo.com

A PREVIOUSLY UNKNOWN TRANSLATION BY EUTHYMIUS THE HAGIORITE

SUMMARY

This publication introduces a hitherto unknown translation attributed to Euthymius the Hagiorite (+1028). It includes selected chapters (I, 11; I, 53; I, 58; I, 85; III, 54; III, 55; IV, 31; IV, 35; IV, 85) from *Otkhaseuli (Four Hundred Chapters)* by St. Maximus the Confessor, a notable ascetic text centered on the theme of love (*Capita de caritate*, CPG 7693). These chapters were discovered in three anthological manuscripts: NCM S-1595 (13th century), NCM A-116 (18th century), and NCM A-57 (18th century), as well as in a smaller codex, NCM A-337 (18th-19th centuries).

The three anthologies represent an extensive compilation of patristic texts, meticulously selected by the compiler, likely Euthymius the Hagiorite, during the early stages of his translation work. This conclusion arises from an analysis of the fragments, which were extracted from works by St. Maximus the Confessor, St. Basil the Great, St. Gregory the Theologian, St. Athanasius of Alexandria, St. Anastasius of Sinai, St. Dorotheus of Gaza, St. John of Sinai, and other early Christian writers. Each of these anthologies is titled “*Carefully Chosen*”, reflecting the deliberate nature of the selections.

Notably, many fragments in the anthologies correspond to works Euthymius later translated in full. Comparing these fragments with the corresponding sections in his full translations reveals that, while some passages are identical,

others show minor stylistic differences. In cases where the fragment's translation exceeds the quality of its equivalent in the full translation, the latter demonstrates more refined stylistic choices. This suggests that Euthymius first introduced select passages to Georgian readers as a prelude to his complete translations. Later, he incorporated and refined these earlier fragments into the full texts.

If we were to assume that Euthymius initially completed full translations and then extracted fragments, it would be difficult to explain why some of the fragments appear in a less polished stylistic form. Therefore, it seems evident that his translation work progressed in phases: identifying key texts, translating key sections to fulfill immediate needs, and eventually completing the works according to a systematic plan.

Virtually all the works referenced in these anthologies and attributed to Euthymius were later fully translated by him. The presence of fragments from *Otkhaseuli* by St. Maximus in the anthologies raises the possibility that Euthymius may have completed a full translation of this work as well. However, such a translation has not survived, nor is it mentioned in the catalogues of his contemporaries, such as Ioane the Hagiorite or Giorgi the Hagiorite.

The manuscripts containing the fragments of *Otkhaseuli* do not explicitly identify the translator. Nevertheless, the proximity of these texts to other translations by Euthymius and the evident adherence to his translation principles – such as additions, omissions, and stylistic adaptations – strongly suggest his authorship. This article examines the distinct features of Euthymius's translation of *Otkhaseuli*. For comparison, relevant passages from later Hellenophile translations of St. Maximus's works are also included.

Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts
tkochlamazashvili@yahoo.com

Ekvtime Kochlamazashvili

ნუგზარ პაპუაშვილი

ახალციხის მეჩეთი და მისი ბიბლიოთეკა პავლე სანკოვსკის სტატიის კვლადაკვალ

„ახალციხის მთავარი მეჩეთი“ ყველაზე ცნობილი და შთამბეჭდავი ძეგლია ისლამური კულტურის იმ ძეგლთა შორის, რომლებიც საქართველოში გვხვდება.¹ მისი აშენება და გამშვენება დაკავშირებულია ჯაყელი ათაბაგების წარმომადგენლის – ჰაჯი ახმედ ფაშას (გარდ. 1758) – სახელთან, რის გამოც მას ახმედის მეჩეთი ეწოდება. ეს ერთადერთი მეჩეთია საქართველოში, რომლის კულტურულ-საგანმანათლებლო წარსულზე და საბიბლიოთეკო საქმიანობაზე დოკუმენტური მასალა მოგვეპოვება.

ახმედ ფაშა-ათაბაგის² მეჩეთის შესახებ რამდენიმე წერილობითი და ზეპირსიტყვიერი ცნობა, მემუარი და გამოკვლევა არსებობს. მათი დიდი ნაწილი შეკრიბა და მიმოიხილა შოთა ლომსაძემ (1925-2003) ნაშრომში,³ რომელიც ახალციხის მხარის ისტორიასა და, კერძოდ, სამცხე-საათაბაგოს ამ ნაწილის სამშობლოში დაბრუნების დრამატულ ამბებს ეძღვნება. მასში მკითხველს კულტურის ამ კერის თავგადასავლისა და მნიშვნელობის ფართო მასშტაბით გაცნობის შესაძლებლობა ეძლევა, რადგან აქ ისტორიული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შთამბეჭდავი სპექტრია მოცემული.

აღნიშნულ ნაშრომში ნათქვამია, რომ „მეჩეთი აუშენებია ახალციხის ჰაჯი ახმედ-ფაშას (...). მისი ხუროთმოძღვრები იყვნენ იტალიელები, რომლებიც ჰაჯი-ახმედ ფაშას სპეციალურად მოუწვევია. ამიტომ ძეგლი

¹ საცნობარო-სამეცნიერო ლიტერატურა: დემურიშვილი, *ისლამური ხუროთმოძღვრები*, გვ. 75-77; *მეჩეთები სამცხე-ჯაფახეთში*, გვ. 7-8, 22-23, 76. ქუთათელაძე, *საქართველოს მეჩეთები*, გვ. 37-47. ამ ლიტერატურის მიმოხილვა და შეფასება წინამდებარე გამოკვლევის მიზანს შორდება.

² ასე მოიხსენიებს ახალციხის იმდროინდელ ფაშებს მთავარეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი (1703-1764), რომელიც მოიხიბლა ახმედ ფაშას წინამორბედის, მაჰმად ფაშას, თავაზიანობით, სტუმართმოყვარეობითა და გულისხმიერებით. შდრ.: მეტრეველი (გამოც.), *ციმთე გაბაშვილი, მიმოსვლა*, გვ. 7, 55.

³ ლომსაძე, *ახალციხის მხარის*, გვ. 34-42.

ფაქტიურად ევროპული ხუროთმოძღვრების ნიმუშს წარმოადგენს ჩვენში. მეჩეთის საფუძვლის ჩაყრა დაწყებულია ჰიჯრის 1161 წ. (1753). მისი მშენებლობა გაგრძელებულია 7 წელს. ე. ი. დამთავრებულია 1760 წელს.⁴ (...) მეჩეთის სამშენებლო და მოსაპირკეთებელ მასალად გამოუყენებიათ მანამდე აქ მდგარი ქრისტიანული ეკლესიებისა და სხვა ნაგებობათა თლილი ქვა. (...) ვარაუდს, რომ დანგრეული ძველი ქართული ეკლესიების მასალით აშენდა ახმედის მეჩეთი, ამაგრებს გადმოცემა, რომელიც 1872 წ. ახალციხის მართლმადიდებელმა ქართველებმა უამბეს წმინდა მარინეს ეკლესიის აშენების თაობაზე ლ. ზაგურსკის.⁴⁵

ლომსაძის ნაშრომში დახასიათებულია ნაგებობის არქიტექტურა და მორთულობა; სპეციფიკა, რაც ამ მეჩეთს სხვათაგან გამოარჩევდა; საუბარია მედრესზე, რომელიც მეჩეთს „დასავლეთიდან ემხრობოდა“; აღნიშნულია, თუ რა ჰარმონიულად ეხამებოდა ეს ნაგებობა გარემოსა და ციხე-გალავნის მთელ კომპლექსს. ასევე ნათქვამია, რომ სწავლულთა განმარტებით „ახმედის მეჩეთი, თავისი გრანდიოზულობითა და სილამაზით, მთელი თურქეთის იმპერიაში მესამე ადგილზე დგას, (...) კავკასიაში კი პირველ ადგილზე.“

წიგნთსაცავის შესახებ აღნიშნულია შემდეგი:

1828 წლის 15 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღეს, როდესაც რუსეთის ჯარმა და ქართულმა მილიციამ „დაიკავეს ახალციხის მისადგომები, ცნობილი გახდა, რომ აქ ახმედის მეჩეთთან არსებობდა მდიდარი წიგნთსაცავი. მთავარსარდალმა პასკევიჩმა გამოუძახა გენერალ ნიკოლოზ მურავიოვს და დაავალა თვალყური ედევნებინა ბიბლიოთეკისათვის. როცა ქალაქი მთლიანად განთავისუფლდა (16 აგვისტოს შუადღე, ნ. პ.), მთავარსარდალობის თარჯიმანთან, აბას ყული აღასთან და ახალციხის საპატიო წარმომადგენელთან, 70 წლის ქალაქის ეფენდთან ერთად, მურავიოვი წიგნსაცავს ეწვია და დაიწყო მისი აღწერა სხვადასხვა განრიგით. წიგნსაცავში მუშაობის დროს მათ ნახეს ყუმბარის ნამსხვრევი, რომელსაც გაენგრია ბიბლიოთეკის სქელი კედელი და ჩამოვარდნილიყო. როცა მურავიოვმა ეს ყუმბარა ახალციხის ეფენდის გადასცა, მან იგი რამდენიმეჯერ შეატრიალა ხელში და მდივანს მიმართა: *Запишите его к разряду воспоминаний о превратностях мира сего.* (...) ახალციხის ბიბლიოთეკაში, სხვა დოკუმენტებს გარდა, აღწერილ იქნა 600

⁴ საცნობარო-სამეცნიერო ლიტერატურაში ნათქვამია, რომ ახმედის მეჩეთი აგებულია 1752 წელს (საქართველოს ისლამური, გვ. 22). ასე რომ, ეს საკითხი დაზუსტებას მოითხოვს.

⁵ ლომსაძე, *ახალციხის მხარის*, გვ. 35-36.

წიგნი, ძირითადად ხელნაწერი. აღწერის შემდეგ შერჩეულ იქნა 300-ზე მეტი ხელნაწერი წიგნი პეტერბურგში გასაგზავნად. (...) ახალციხის წიგნსაცავის დარჩენილი ნაწილი შემდეგ უკვალოდ და უპატრონოდ გაქრა.⁶

ამჟამად ჩვენი მიზანია შოთა ლომსაძის ნაშრომში მოცემული სპექტრის გაფართოება, ერთი არსებითი სიახლის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა და ზოგიერთი დეტალის დაზუსტება.

პირველი ცნობა ახალციხის მთავარი მეჩეთის შესახებ, ამავე სპექტრის თანახმადაც, ეკუთვნის გერმანელ ექიმს, მეცნიერსა და მოგზაურს იოჰან გიულდენშტედტს (Johan Anton Guldensädt; 1745-1781). მან საქართველოში 1771 წლის 9 სექტემბრიდან 1772 წლის 12 ნოემბრამდე იმოგზაურა და დაგვიტოვა ამ მოგზაურობის ვრცელი აღწერილობა.⁷ 1772 წლის ზაფხულში გიულდენშტედტი იმერეთის სამეფოს ეწვია და ცნობები სამცხე-საათაბაგოს, ანუ ახალციხის საფაშოს, შესახებაც შეკრიბა. ის ახალციხეს „ცნობილ ქართულ ქალაქს“ უწოდებს და აღნიშნავს: „მარწმუნებენ, რომ ის თბილისზე ოდნავ პატარაა და იქ ახლა მშვენიერი მაჰმადიანური მეჩეთი და, აგრეთვე, კათოლიკური ეკლესია არის; რომ ჯერ კიდევ არსებობს ბერძნულ-ქართული ეკლესიები, რომ იქ უფრო მეტად ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, ვიდრე თათრულად და რომ მის მოსახლეობას შორის ჯერ კიდევ ბევრი მართლმადიდებელია“.⁸

მართალია, გიულდენშტედტს ახალციხეში არ უმოგზაურია, მაგრამ მისი პოლიტიკური და რელიგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციების მოპოვება მაინც მოუხერხებია. ჩვენთვის ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ორ ფაქტს: 1. აღნიშნული (1772) წლის 10 სექტემბერს (ამ დღესაა დაწერილი ციტირებული სიტყვები) ახალციხის მთავარი მეჩეთი უკვე მართლაც აშენებული და გამშვენებულია (მას, სულ მცირე, ცამეტი წლის ისტორია აქვს) და 2. ეს ნაგებობა ადგილობრივ მოსახლეობას, – გერმანელი მეცნიერის მთხრობელებს, რომლებიც მას აღნიშნულ დღეს იმერეთ-ახალციხის საზღვართან, ძირულაში, უნახავს, – დიდად მოსწონთ. ამის დასტურია ფორმულა „schöne muhamedanische Metsched“ ანუ „მშვენიერი მაჰმადიანური მეჩეთი“, რომელიც ავტორმა, ცხადია, მთხრობელთა ნაამბობის გათვალისწინებით ჩამოაყალიბა. ინფორმატორები კი, მონათხრობის შინაარსიდან გამომდინარე (ქრისტიანულ ეკლესიებსა და ქართული ენის უპირატესობაზე აქცენტის ასე მკაფიოდ დასმა),

⁶ ლომსაძე, *ახალციხის მხარის*, გვ. 38-39.

⁷ გელაშვილი (გამოც.), *გიულდენშტედტის მოგზაურობა*, გვ. 012.

⁸ იქვე, გვ. 72-75.

დიდი ალბათობით, ქართველი ქრისტიანები (მართლმადიდებლები ან კათოლიკეები) უნდა ყოფილიყვნენ. თვალსაჩინოა მეჩეთის პოზიტიური ტონით მოხსენიება. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელი ქართველი ათაბაგი-ფაშების რჯულშემწყნარებლობას და თანამემამულე ქრისტიანი სასულიერო პირების მიმართ გამოვლენილ კეთილგანწყობას, რომლის მოწმეც მთავარეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი გახდა 1755 წლის აპრილის ბოლოს თუ მაისის დასაწყისში.⁹ ჩანს, სარწმუნოების სფეროში დიაობა XVIII საუკუნის ახალციხის საფაშოს ზოგად ხასიათს წარმოადგენდა. გავისხენოთ შოთა ლომსაძის მიერ დამოწმებული ზეპირი გადმოცემა, რომელიც ახალციხის მართლმადიდებელთა თემში ყოფილა შენახული და თბილისის გიმნაზიის ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელს, ლეონარდ ზაგურსკის, 1872 წლის ივლისსა თუ აგვისტოში ჩაუწერია. ამ გადმოცემის თანახმად, ახალციხის წმ. მარინას სახელობის მართლმადიდებლური ეკლესიის აშენება სწორედ ჰაჯი ახმედ ფაშას უკავშირდება.¹⁰ გიულდენშტედტის ინფორმაცია, ახალციხეში „უფრო მეტად ქართულ ენაზე ლაპარაკობენ“-ო, გვარწმუნებს, რომ ამ ქალაქის მთავარი მეჩეთის ჯამაათი მეტწილად ქართულენოვანი მუსლიმებისაგან შედგებოდა.

მეორე ცნობა ახალციხის დიდი მეჩეთის შესახებ შემოგვინახა ფრანგმა სწავლულმა, მოგზაურმა და დიპლომატმა ჟაკ ფრანსუა გამბამ (Jean Francis Gamba; 1763-1833). მან საქართველოში 1819 წლიდან 1824 წლამდე იცხოვრა როგორც საფრანგეთის კონსულმა¹¹ და, ეჭვი არაა, იმ აქტუალური პრობლემის განხილვაშიც მიიღო მონაწილეობა, რომლის მიზანს, მისივე დეფინიციით, „თურქეთის საქართველოს“ ისტორიულ სამშობლოსთან გაერთიანება წარმოადგენდა.

ახალციხეში არც გამბას უმოგზაურია, მაგრამ ამ რეგიონის შესახებ ინფორმაცია მაინც მოუპოვებია. წყაროდ ის ასახელებს ცნობებს, რომლებიც წარმოდგენილი ყოფილა სალონიკში საფრანგეთის კონსულის, ადრიან დიუპრეს (Adrien Dupré), გამოუქვეყნებელ ნაშრომში „მოგზაურობა“.¹² ერთი ცნობა თურმე შეეხებოდა ქალაქ ახისხას (ახალციხეს), – ავტორის მიერ

⁹ ამ კეთილგანწყობის მიმართ ყურადღებას *მიმოსვრის* ტექსტის გამომცემელი ელენე მეტრეველიც ამახვილებს (გაბაშვილი, *მიმოსვრა*, გვ. 031-032).

¹⁰ Загурский, *Поездка в Ахалцихский уезд*, стр. 15-16; ლომსაძე, *ახალციხის მხარის*, გვ. 16-17, 36.

¹¹ ხანთაძე, *გამბას მისია*, გვ. 5-9

¹² გამბა, *მოგზაურობა I*, გვ. 262, 347 (შენ. 1).

„თურქეთის საქართველოს დედაქალაქად“ მოხსენიებულს. მისი (დიუპრეს) თქმით, „თვით ქალაქი (ახალციხე, ნ. პ.) გარშემოვლებულია თხრილებითა და ქონგურებიანი ორმაგი ვალავნით, გარე-გარე ამოყვანილი კვადრატული და მრგვალი კოშკებით; ერთ-ერთი ციხესიმაგრე ზემოდან დაჰყურებს ქალაქს, სადაც გამგებლის სასახლის შორიახლო საუცხოო მეჩეთი დგას“.¹³

როგორც ჩანს, საფრანგეთის კონსული სალონიკში ოსმალთა იმპერიის ჩრდილოეთ პროვინციების საკითხებით დაინტერესებულა; ახალციხის (ჩილდირის) საფაშოშიც ყოფილა და მისი მთავარი მეჩეთი საკუთარი თვალთ უხილავს. შეფასება „საუცხოო მეჩეთი“ გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ეს ძეგლი ევროპელ მნახველებსაც ხიბლავდა. ასევე იგრძნობა, რომ ამ ინფორმაციის მოწოდებისას (სავარაუდოდ, XIX საუკუნის 20-იანი წლების შუახანს) „თურქეთის საქართველოს დედაქალაქი“ ომის მოლოდინშია, რაზეც მიგვანიშნებს „გარშემოვლებული თხრილები“ და სხვა საფორტიფიკაციო საშუალებები, რომელთა დახმარებით ოსმალთა ხელისუფლებას თავი რუსეთის ჯარისა და ქართული მილიციის ერთობლივი ოპერაციისაგან უნდა დაეცვა.

ახალციხის დაბრუნებისათვის ბრძოლა რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1828-1829) – 1828 წლის 15-16 აგვისტოს – წარმატებით დასრულდა, რასაც საქართველოს იმდროინდელი პრესა დიდი ინტერესით და დადებითად გამოეხმაურა. იგულისხმება კავკასიაში პირველი რუსული გაზეთი „Тифлисские Ведомости“ (1828-1833)¹⁴ და მისი ქართული ვერსია „ტფილისის უწყებანი“ (1828-1832).¹⁵ ეს იყო ყოველკვირეული სამთავრობო გაზეთი, რომელსაც რედაქტორობდა უკრაინელი სწავლული, სახელმწიფო მოხელე და სამხედრო ექსპერტი, ლიტერატორი და ჟურნალისტი პავლე სანკოვსკი (Павел Степанович Санковский; 1798-1832).¹⁶ ის თავის გაზეთში აქტიური კორესპონდენტისა და ავტორის მოვალეობასაც ასრულებდა და საკუთარ პუბლიკაციებს მეტწილად ხელს ასე აწერდა: „П. С.....ский“ // „პ. ს.....სკი“.

¹³ გამბა, *მოგზაურობა I*, გვ. 265. დაზუსტებას მოითხოვს შოთა ლომსაძის ინფორმაცია: „საინტერესო ცნობები შემოგვინახა (...) ახმედის მეჩეთის შესახებ ფრანგმა მოგზაურმა გამბამ თავისი მოგზაურობის მეორე ტომში“ (ლომსაძე, *ახალციხის მხარის*, გვ. 37). ამ „მოგზაურობის“ მე-2 ტომის ქართულ თარგმანში ცნობა *ახმედის მეჩეთის* შესახებ არ ჩანს (შდრ.: გამბა, *მოგზაურობა II*).

¹⁴ Зерцалов, *Библиография*, стр. 1.

¹⁵ ბაქრაძე, *ქართული პერიოდიკის*, გვ. 3.

¹⁶ ბიოგრაფია: ბერძნული, *მასაღები*, გვ. 171-172; ჯოლოგუა, *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია*, გვ. 43, 486.

- ცნობილი ევროპული კულტურული ფესტივალის „ევროპალიას“ (Europalia) ორგანიზატორები – „ევროპალიას“ კრეატიული დირექტორი დირკ ვერმაელენი, ბრიუსელის სამეფო მუზეუმების დირექტორი ბრუნო ვერბერტი და საორგანიზაციო ჯგუფის სხვა წარმომადგენლები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ესტუმრნენ. შეხვედრას ესწრებოდა ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის საპატიო რექტორი, „ევროპალიას“ საერთაშორისო კურატორი, პროფესორი ბერნარდ კული.
- 1 ნოემბერი: ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოებისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ირანისტიკის კათედრის ორგანიზებით გაიმართა ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების (SEI) მეათე საერთაშორისო კონგრესი. კონგრესის მონაწილეები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ესტუმრნენ, დაათვალიერეს ცენტრში დაცული როგორც ქართული, ისე აღმოსავლური კოლექციის გამორჩეული ნიმუშები: რუმის „მესნევი“, ნიზამის „ხამსა“ (ხუთი პოემა), საადის „ბუსთანა“, „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ხელნაწერი და სხვა.
- 24 ნოემბერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაალ აბაშიძემ შეხვედრა გამართა საბერძნეთის რესპუბლიკის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩთან საქართველოში – მარია თეოდორუსთან.

მემორანდუმები:

- 18 მაისი: სოფელ სხვიტორში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმსა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.
- ოქტომბერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაალ აბაშიძემ ხელი მოაწერა მემორანდუმს თანამშრომლობაზე წმ. კირილესა და მეთოდეს სახელობის ბულგარეთის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან.
- ოქტომბერი: ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა სოფიის კლიმენტ ოხრიდელის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივან დუიჩევის სლავურ-ბიზანტიური კვლევების ცენტრთან.
- 23 დეკემბერი: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ტერაბანკს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

საგანმანათლებლო პროგრამები, გამოფენები:

- ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო გამოფენაში – „Expo 2020 Dubai“. სტუმრებმა დაათვალიერეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის ფოტოასლები. გარდა ხელნაწერების ფოტოასლებისა, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. „წერეთლისეული“ ხელნაწერის მიხედვით შექმნილი უნიკალური გამოცემა და კალიგრაფების – ნინი იკაშვილის, ლეილა ბაღბაიას, დავით მაისურაძის, გიორგი გორგიაშვილისა და ხატია ფოფხაძის ნამუშევრები. გამოფენაში „Expo 2020 Dubai“ ქართული მხარის მონაწილეობა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, თბილისის მერიისა და პროექტის „თბილისი – იუნესკოს წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ მხარდაჭერით.
- 11 აპრილი: „დედაენის“ კვირეულის ფარგლებში ქალაქ თბილისის №51-ე საჯარო სკოლისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ჩართულობით ჩატარდა მოსწავლეთა შემოქმედებითი კონფერენცია „მემკვიდრეობა“, რომლის მთავარი თემა იყო აფხაზეთი. ღონისძიება მოიცავდა მოსწავლეების მოხსენებების წარდგენასა და გამოფენას „აფხაზეთი – ხელნაწერები საუბრობენ დაფარულზე“. დასასრულს, კონფერენციის მონაწილეებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისგან სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.
- 12 აპრილი: პროექტის „ანბანით მოხატული ახალი წელი“ შემაჯამებელი ღონისძიება ჩატარდა. პროექტი აფხაზეთის კულტურის, სპორტის

და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს მხარდაჭერით, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და აფხაზეთის სულიერების ცენტრის ჩართულობით გაიმართა. პროექტის მიზანი იყო ქართული ანბანისა და კალიგრაფიული ხელოვნების პოპულარიზაცია; აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების ჩართვა კალიგრაფიის ხელოვნების სამყაროში; აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების გაღრმავება და მათი შემეცნების არეალის გაფართოება არაფორმალური განათლების მეშვეობით.

- 13 აპრილი: ქალაქ დუშეთის კულტურის ცენტრისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინიციატივით გაიხსნა „დედაენის“ კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი გამოფენა „ხელნაწერი წიგნის სათავეებთან“. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო და საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსმა, ნესტან ბაგაურმა წაიკითხა ლექცია და დამსწრეებს ესაუბრა თემაზე „ქართული ხელნაწერი“. საზოგადოებას დედაენის დღე მიულოცეს და მის მნიშვნელობაზე ისაუბრეს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა მაცაცო ნარიმანიძემ და მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ გოჩა ქავთარაძემ.
- 14 აპრილი: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიხსნა გამოფენა „აფხაზეთი – ენობრივი პოლიტიკა ოკუპირებულ რეალობაში“. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო აფხაზური „დედაენა“ (1938 წ.), სოლომონ ასლანიშვილი-ბაგრელის მიერ შედგენილი „დედაენა ოსმალის საქართველოს ბავშვებისათვის“, შუა საუკუნეების ხელნაწერები და ისტორიული საბუთები და სხვ. გარდა გამოფენისა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა ინტერაქტიული შეხვედრა – „დედაენის“ ბეჭდვის საიდუმლო. ღონისძიებაზე დამსწრე ბავშვებმა თავისი ხელით „დაბეჭდეს“ „დედაენის“ რამდენიმე გვერდი.
- 6 მაისი: ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში შედგა პროექტის „რუსთაველი იერუსალიმში – 760“ მონაწილეებთან შეხვედრა. პროექტი განახორციელა ქართული ხელოვნების ცენტრმა ისრაელში. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაალ აბაშიძემ ისაუბრა ხელნაწერი მემკვიდრეობისა და იერუსალიმში გადაწერილი და დაცული ხელნაწერების ისტორიის შესახებ.
- 25 მაისი: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიხსნა II საერთაშორისო სეზონური სკოლა „აფხაზეთი: შუა საუკუნეებიდან დღემდე (ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტები)“. პროექტი ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის“ ფარგლებში.
- 27-29 მაისი: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრმა თბილისის წიგნის 24-ე საერთაშორისო ფესტივალზე წარადგინა ახალი გამოცემები.

- 31 მაისი: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიხსნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა „ივანე ნანუაშვილი და მისი ნააზრევი“.
- 21 ივნისი: ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის მიერ ორგანიზებულ კალიგრაფიის კონკურსში ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა კალიგრაფი ნინო ახალაია დააჯილდოვა. კონკურსი „დედაენის“ კვირეულის ფარგლებში ჩატარდა.
- სექტემბერი: საქართველოს გენერალური საკონსულოს, ქართული მემკვიდრეობის ფონდისა და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით, გენერალურ საკონსულოში გაიმართა ქართული ხელნაწერებისა და დამწერლობის ნიმუშების გამოფენა.
- 5 ოქტომბერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ჩართულობით საქართველოს პარლამენტში ქართული ხელნაწერების ასლების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია გაიხსნა. პროექტი პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ინიციატივით განხორციელდა.
- 8 ნოემბერი: თსუ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, რომელიც არმენოლოგიის კათედრის დაარსებიდან 100 წელს მიეძღვნა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებიდან საგანგებოდ ამ თარიღთან დაკავშირებით, ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ხელნაწერების, საარქივო დოკუმენტებისა და მემორიალური ნივთების ორიგინალები. ექსპოზიციის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერის, ისტორიკოსის, ფილოლოგისა და არმენოლოგის, პროფესორ ზაზა ალექსიძის მონოგრაფიები და ავტოგრაფები.
- 11 ნოემბერი: ქ. სოფიაში, ბულგარეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქართული წიგნის კუთხე გაიხსნა.

აღიარება:

- ცნობილ ქართველ მეცნიერს, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლური და სომხური ხელნაწერების განყოფილების ხელმძღვანელს, აკადემიკოს **ზაზა ალექსიძეს** კულტურის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საერთაშორისო ასოციაციის „ფრანგული რენესანსის“ ოქროს მედალი მიენიჭა.
- 27 სექტემბერი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთ-ერთ უხუცეს თანამშრომელს, ცნობილ მეცნიერს, ქართველ კალიგრაფთა შემოქმედების თვალსაჩინო


მკვლევარს ქალბატონ **ია გაჩეჩილაძეს** ილია აბულაძის სახელობის მედალი გადაეცა.

- 2 დეკემბერი: დაბადებიდან 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი **ზაალ (ზაზა) აბაშიძე** დაჯილდოვდა ცენტრის ელენე მეტრეველის სახელობის მედლით.
- 9 დეკემბერი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ნაყოფიერი მოღვაწეობისა და დაბადების 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით ცენტრის სამეცნიერო-ანალიტიკური და საგამომცემლო-სარედაქციო განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი **შალვა გლოველი** დაჯილდოვდა ელენე მეტრეველის მედლით.
- 30 დეკემბერი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ნაყოფიერი მოღვაწეობისა და დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით ფინანსისტი **ლუდმილა მარიდაშვილი** დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.
- 30 დეკემბერი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ნაყოფიერი მოღვაწეობისა და დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით კონსერვაცია-რესტავრაციის ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი **რევაზ კლდიაშვილი** დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.
- 30 დეკემბერი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ნაყოფიერი მოღვაწეობისა და დაბადების 85 წლისთავთან დაკავშირებით კონსულტანტი **ნანული თარგამაძე** დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.
- 30 დეკემბერი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ნაყოფიერი მოღვაწეობისა და დაბადების 85 წლისთავთან დაკავშირებით არქივთმცოდნეობის განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი **ეთერ ქავთარაძე** დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

შალვა გლოველი

სამეცნიერო-ანალიტიკური, სასწავლო-საკვალიფიკაციო და საგამომცემლო განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი

სელნაწერთა ეროვნული ცენტრის 2022 წლის გამოცემები



Medieval Georgian Literary Culture and Book Production in the Christian Middle East and Byzantium [„შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურული კულტურა და ხელნაწერი წიგნი ქრისტიანულ შუა აღმოსავლეთსა და ბიზანტიაში“], Jerusalem Theologisches Forum, 42, Aschendorff Verlag, 2022.

გერმანიაში გამოქვეყნებული ქართველ მეცნიერთა ამ ნაშრომის ავტორები არიან კონრედი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერები: ზაზა ალექსიძე, დარეჯან კლდიაშვილი, თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, დალი ჩიტუნაშვილი, თინა ცერაძე; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები: მაგდა მჭედლიძე და ანა ხარანაული, ასევე ნიკოლოზ ალექსიძე – თავისუფალი უნივერსიტეტი, თინა ქრონცი – ბონის უნივერსიტეტი და თამარ პატარიძე – ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი. რედაქტორი: თამარ ოთხმეზური; ინგლისურ ენაზე თარგმნეს მანანა ოდიშელმა და მაიკლ ვიკერსმა.

ნაშრომში წარმოდგენილია ქართველთა მწიგნობრული საქმიანობა V-VI საუკუნეებიდან მოყოლებული XII საუკუნის ჩათვლით პალესტინის, სინის, ათონის, შავი მთისა და კონსტანტინოპოლის სამონასტრო ცენტრებში, ასევე პეტრიწონის მონასტერში. მისი მიზანია წარმოაჩინოს, თუ როგორ, რა გზებით ხდებოდა ქართველთა მიერ იმ იდეებისა და ფასეულობების ათვისება, რომლებიც წამყვანი იყო ქრისტიანულ სამყაროში, თუ როგორ გადაიქცეოდნენ ეს იდეები და ფასეულობები ქართველთა სულიერი და ინტელექტუალური მეგვიდრეობის ორგანულ ნაწილად. წიგნში საუბარია ასევე იმ ურთიერთობებზე, რომლებიც უცხოეთის სამონასტრო ცენტრებში მოღვაწე ქართველებს ჰქონდათ იქ მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთან – ბერძნებთან, სომხებთან და ლათინებთან.

წიგნი უცხოელი მკითხველებისათვის, ბიზანტინისტიებისა და ორიენტალისტებისათვის არის განკუთვნილი. ის მისაწვდომს გახდის ქართველ მეცნიერთა ნააზრევს უცხოელი სპეციალისტებისათვის, ხელს შეუწყობს იმ ხარვეზის შევსებას, რომელიც არსებობს დასავლურ მეცნიერებაში ამ სფეროში ქართულენოვანი სამეცნიერო ნაშრომების უკმარისობის პირობებში.



სამეცნიერო სერია „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“, მთავარი რედაქტორი ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, ტ. 7, თბილისი, 2022.

Scientific series “Studies in Christian Archeology”, Chief editor Ekvtime Kochlamazashvili, vol. 7, Tbilisi, 2022.

VII ტომი რამდენიმე წლის წინათ უკვე მზად იყო გამოსაცემად, მაგრამ მისი დაბეჭდვა აქამდე ვერ მოხერხდა მიზეზთა გამო. კრებულში პირველად ქვეყნდება ასკეტური ლიტერატურის სამი დიდმნიშვნელოვანი ძეგლი (ძველქართული ვერსიები): წმ.მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“, წმ.მაქსიმესივე კითხვა-მიგება ლმობიერებისათვის და წმ. მარკოზ განშორებულის ყველა ის თხზულება, რომლებიც ძველქართულად უთარგმნიათ. თითოეულ ამ პუბლიკაციას ერთვის გამოკვლევები (ექვთიმე კოჭლამაზაშვილისა). ლიტერატურისმცოდნეობითი სტატია – „ეტაპობრიობა ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობით მოღვაწეობაში“ (ექვთიმე კოჭლამაზაშვილისა) გვაცნობს ახალგამოვლენილ მასალებს წმ. ეფთვიმეს ლიტერატურული მუშაობის დასახასიათებლად, ხოლო კოდიკოლოგიური ნარკვევი „ეფთვიმე მთაწმიდელის რჩევით გამოკრებულნი“ (მისივე) იმავე თემის გაღრმავებას წარმოადგენს სამი ხელნაწერთი ჩვენამდე მოღწეული ერთი ლიტერატურული კრებულის მაგალითზე. სტატიაში მოცემულია ამ სამი ხელნაწერის (ხეც A-57, ხეც A-116, ხეც S-1595) პარალელური აღწერილობა. დაბოლოს, „ძიებათა“ VII ტომში დაბეჭდილია ვახტანგ გოილაძის სტატია მარზპანთა ინსტიტუტის შესახებ: „უმეფობის ხანის (537-555) ქართლ-ალბანეთის მარზპანები“.



ვაჟა-ფშაველას პირადი არქივის აღწერილობა (6), თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2022.

Description of the personal archive of Vazha-Pshavela (6), Tbilisi: Korneli Kekelidze National Center of Georgian Manuscripts, 2022.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ვაჟა-ფშაველას არქივის მნიშვნელოვანი ნაწილია დაცული, ძირითადად ავტოგრაფები. ეს არქივი შექმნილია ცენტრის A, S, H და Q კოლექციებიდან გამოკრებილი მასალით 1958 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება ცალკე ხელნაწერთა ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. ეს ის მასალაა, რომელიც თავის დროზე ინახებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ (S), საისტორიო და საეთნოგრაფიო

საზოგადოებებსა (H) და საეკლესიო მუზეუმში (A). ვაჟა-ფშაველას არქივს შემდეგ თანდათან ემატებოდა ახლად გამოვლენილი მასალა ცენტრის Q ფონდიდან. ამიტომ არქივი ორჯერ დამუშავდა. მესამე გადამუშავება საჭირო გახდა დამატებითი მასალის გამოვლენისა და სამეცნიერო აღწერილობის მეთოდების შეცვლა-დახვეწის გამო. ბოლო გადამუშავებისას რამდენიმე მექანიკურად შეერთებული ლექსთა კრებული ცალკე ერთეულებად დაიშალა.

კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული კვლევის შედეგად, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, დათარიღდა რამდენიმე ლექსი (ახალი ნუმერაციით №27, №34, №52, №54). არქივის ამ ბოლო გადამუშავებამ ვაჟას შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველისათვის კიდევ ერთი საგანგებო ფაქტი გამოავლინა. ავტოგრაფულ ნუსხებზე (ახალი ნუმერაციით №25, №34, №156) მოთავსებულია გრაფიკული ჩანახატები. ძნელია ვაჟას ავტორობაში ეჭვის შეტანა, რადგან შესრულებულია ზედ ტექსტზე ტექსტისავე მელნითა და კალმით (იგულისხმება კალმის მონახაზის ზომა). გრაფიკული ჩანახატებიდან ოთხი მამაკაცის პორტრეტია, ერთი – ქალის ფიგურა ცხვრის თავით.

ვაჟას არქივის ახალ კატალოგს ერთვის ძველი და ახალი კატალოგების ნომრების შემაჯერებელი ცხრილი.

არქივი დაამუშავა და გამოსაცემად მოამზადა ეთერ ქავთარაძემ.



სერგი გორგაძე, თხზულებანი, II, ზაზა აბაშიძის რედაქციით, თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2022.

Sergi Gorgadze, Works, II, edited by Zaza Abashidze, Tbilisi: Korneli Kekelidze National Center of Georgian Manuscripts, 2022.

სერგი გორგაძის თხზულებათა მეორე ტომში შესულია მეცნიერის ძირითადი საისტორიო ნაშრომი „წერილები საქართველოს ისტორიიდან“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „მომხეცა“ და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულ

„ძველ საქართველოში“.

სერგი გორგაძის მიერ XX საუკუნის დასაწყისში გამოთქმული მოსაზრებანი დღესაც არ კარგავს მეცნიერულ ღირებულებას.




გიორგი მთაწმინდელი, დიდი სჯნაქსარი (განმეორებითი გამოცემა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მანანა დოლაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა, რედაქტორები: მიხეილ ქავთარია, ლილი ხევსურიათი, ლალი ჯღამაია, თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2022.

Giorgi Mtatsmindeli, Great Synaxarion (second edition), text prepared for publication, introduction and scientific apparatus added by Manana Dolakidze and Dali Chitunashvili, editors: Mikheil Kavtaria, Lili Khevsuriani, Lali Jghamaia, Tbilisi: Korneli Kekelidze Georgian National

Manuscript Center, 2022.

ნაშრომში წარმოდგენილია გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი „დიდი სჯნაქსარის“ მეთერთმეტე საუკუნის ექვსი ნუსხის (Ivir. geo. 30, ხეც H-2211, ხეც A-97, ხეც A-193, O/Sin. geo. 4, 61; Jer. geo. 24-25.) მიხედვით დადგენილი ტექსტი. გამოცემისათვის დართულ შესავალში განხილულია სჯნაქსარის შემადგენელი ნაწილების წარმომავლობისა და განვითარების ისტორია. წიგნს ერთვის ლექსიკონი, ლიტურგიკულ ტერმინთა ლექსიკონი, ბიბლიურ წიგნთა, ტროპართა და საგალობელთა საძიებლები, რომლებიც დაინტერესებს და დიდ დახმარებას გაუწევს ლიტურგიკით დაინტერესებულ მკითხველს.



ბიბლიური სიუჟეტები ქართულ ხელნაწერთა გაფორმებაში

(განმეორებითი გამოცემა), შეადგინეს ნ. ქავთარიამ, ქ. ტატიშვილმა, ე. დუღაშვილმა, თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2022.


Biblical Stories in the Decoration of Georgian Manuscripts (second edition), compiled by N. Kavtaria, K. Tatishvili, E.

Dugashvili, Tbilisi: National Center of Manuscripts named after Korneli Kekelidze, 2022.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებულ პროექტის ფარგლებში „ბიბლიური სიუჟეტები (ძველი და ახალი აღთქმა) ქართულ ხელნაწერთა გაფორმებაში“ გამოიცა ალბომი ნინო ქავთარიას, ეკა დუღაშვილისა და ქეთევან ტატიშვილის მონაწილეობით.

ალბომი მოიცავს ქართულ დასურათებულ ხელნაწერებში დაცული

ბიბლიური ტექსტების ყველაზე მეტად გავრცელებულ სიუჟეტებსა და ძირითად ქრისტოლოგიურ დოგმატებთან დაკავშირებულ კომპოზიციებს, ქრისტოლოგიურ და ღვთისმშობლის დღესასწაულების იმ ციკლებს, რომლებიც ქმნიან მინიატიურათა სიუჟეტების ძირითად საფუძველს. ნაშრომში მიმოხილულია ხელნაწერების საუფლო დღესასწაულების (ქრისტოლოგიური და ღვთისმშობლის ციკლის) სქემები, რომელთა წყაროებია ბიბლიური, ჰომილეტიკური, ჰიმნოგრაფიული, აპოკრიფული, ეგზეგეტიკური და სხვა ლიტერატურული ტექსტები. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ საუკუნეების მანძილზე მინიატიურების იკონოგრაფია ლაკონური კომპოზიციიდან რთულსკენ ვითარდებოდა და ემატებოდა საღვთისმეტყველო შინაარსის მატარებელი ელემენტები. ეს განვითარება კი შესაბამისი წყაროების – ტექსტების შინაარსობრივი და ჟანრობრივი განვითარების ანალოგიურად მიმდინარეობდა.



ვახუშტი ბაგრატიონი, მსოფლიოს გეოგრაფია (ატლასი) (განმეორებითი გამოცემა), პროექტის ავტორი: ნესტან ბაგაური, რედაქტორები: მანანა ღვინერია, ლანა გრძელიშვილი, თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2022.

Vakhushi Bagrationi, Geography of the World (Atlas) (repeated edition), au-

thor of the project: Nestan Bagauri, editors: Manana Ghvineria, Lana Grdzlishvili, Tbilisi: Korneli Kekelidze National Center of Georgian Manuscripts, 2022.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია უნიკალური ხელნაწერი წიგნი – „მსოფლიოს გეოგრაფია“ (ხეც A-717), რომლის ავტორია ვახუშტი ბატონიშვილი. მას, როგორც გეოგრაფს, ფართო საზოგადოება კარგად იცნობს ნაშრომებით: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „საქართველოს ატლასი“. ვახუშტი ბაგრატიონის „მსოფლიოს გეოგრაფია“ ვიწრო აუდიტორიისთვისაც კი ნაკლებად არის ცნობილი.

გამორჩეულად საინტერესოა ამ ხელნაწერში ჩართული 27 რუკა, შექმნილი ვახუშტი ბაგრატიონის ხელით – მსოფლიოს ნახევარსფეროები, ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა, რუსეთი, აზიის ქვეყნები: ოსმალეთი, სირია, ერაყი, ჩინეთი, კორეა, იაპონია, ინდოეთი, ასევე, აფრიკა, ამერიკის ორივე კონტინენტი. 1752 წელს შექმნილი ეს რუკები ასახავს, ერთი მხრივ, იმას, თუ რა იცოდნენ საქართველოში იმჟამინდელი მსოფლიოს ქვეყნების შესახებ; როგორია ევროპული კარტოგრაფიული ცოდნის გამოვლინება საქართველოში,

მეორე მხრივ კი, რა ადგილი უჭირავს ვახუშტის ევროპულ კარტოგრაფიულ აზროვნებაში.

ატლასი „ვახუშტი ბაგრატიონი, მსოფლიოს გეოგრაფია“ პირველად წარმოდგენს საზოგადოებას ოცდაშვიდივე რუკას. ატლასი საინტერესოა პროფესიული აუდიტორიისათვის, ამავე დროს, გამოცემას აქვს საგანმანათლებლო დანიშნულებაც.



ჯაბა სამუშია, საისტორიო ძიებანი, რედაქტორი: ზაზა აბაშიძე, თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2022.

Jaba Samushia, Historical Searches, edited by Zaza Abashidze, Tbilisi: Korneli Kekelidze Georgian National Center of Georgian Manuscripts, 2022.

წიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები, მათ შორის: რამდენიმე საკითხი კლარჯეთის „ათორმეტი უდაბნოს“ ისტორიიდან; იოვანეს და ეფთვიმეს „ცხოვრების“

ქართულ-ბერძნული ტექსტები, როგორც საისტორიო წყარო; ბიზანტიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, „იბერიის თემის“ დაარსების თარიღისათვის; ქართული წყაროები ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ (გიორგი მცირის „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“); ბაგრატ IV და ლიპარიტ ბაღვაში – პოლიტიკური კრიზისის ანატომია; „მეფის კურთხევის“ წესი „დავითსა და თამარის ეპოქაში“ („აფხაზთა მეფეთა“ დროინდელი წესის შეცვლის საკითხისათვის) და სხვ.



მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 28, ტომის რედაქტორები: მაია მაჭავარიანი, თამარ ოთხმეზური, თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2022.

Mravaltavi, Philological-Historical Researches, 28, volume editors: Maia Matchavariani, Tamar Okhmeuri, Tbilisi: Korneli Kekelidze Georgian National Center of Georgian Manuscripts, 2022.

„მრავალთავის“ 28-ე ტომში წარმოდგენილია ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობით-ისტორიული ხასიათის ნარკვევები, რომლებიც

ედღვნება ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს, აგრეთვე 2022 წლის ქრონიკა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ და ცენტრის მეცნიერ თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებული კონფერენციების, სემინარების, გამოფენების, ექსპედიცია-მივლინებების შესახებ. მკითხველი ასევე გაეცნობა ინფორმაციას ცენტრის მიერ 2020-2021 წლებში გამოცემული წიგნების შესახებ.



მცირე სინაქსარი (წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანი), ფოტოტიპური გამოცემა, გამოსაცემად მოამზადა ზაზა სხირტლაძემ მარინე ოდიკაძის და ზეინაბ გურჯიძის თანაავტორობით, თბილისი, 2022.


Minor Synaxarion (Translation of St. Euthymius the Hagiorite) (phototype edition), prepared by Zaza Skhirtladze with co-authorship of Marine Odikadze and Zeinab Gurjidze, Tbilisi, 2022.

მცირე სინაქსარის გამოცემა ფოტოტიპური – შესაბამისად, მკითხველს ეძლევა საშუალება, თავადვე იხილოს ხელნაწერის ყველა დეტალი. ნუსხის გვერდთა ფოტოების პარალელურად წარმოდგენილია შესაბამისი ტექსტი მხედრულით, თუმცა მხედრული ტრანსლიტერაცია არ არის ნუსხური ტექსტის უცვლელი გამეორება: იგი გამართულია პუნქტუაციის თანამედროვე წესების მიხედვით, ორთოგრაფიულად, დასმულია სტრიქონთა გამყოფი ნიშნები, ქარაგმები გახსნილია, გადამწერის მიერ დაშვებული სხვადასხვა სახის შეცდომა – გასწორებული.

გამოცემაში უცვლელადაა დატოვებული პირთა და გეოგრაფიული სახელები (რამდენიმე გამონაკლისის გარდა), სიტყვათა პარალელური დაწერილობები, აგრეთვე ეპოქისთვის დამახასიათებელი ცოცხალი მეტყველების ამსახველი გადახვევები სალიტერატურო ენის ნორმებიდან.

ტექსტში შესწორებული ყველა ფორმის ხელნაწერისეული იკითხვისი ასახულია სქოლიოებში. იქვე მიეთითება მცირე სინაქსარის ბიბლიური საკითხავებისა და ციტატების წყაროები. სქოლიოებში ასევე წარმოდგენილია კოდიკოლოგიური ხასიათის ცალკეული შენიშვნებიც.

გამოცემა მცირე სინაქსარის დღეისათვის არსებულ ერთადერთ ნუსხას ეფუძნება.



ეტრატზე შესრულებული ფრაგმენტული ხელნაწერების კოდოლოგიური ანალიზი და მასალის სტრუქტურული კვლევა, მთავარი რედაქტორები: ლიანა ახობაძე, ნინო მეგენეიშვილი, რედაქტორი – შორენა თავაძე, თბ., 2023.

Codicological Analysis of Fragmentary Manuscripts Performed on Parchment and Structural Research of Material, Editors-in-Chief: Liana Akhobadze, Nino Megeneishvili, Editor – Shoren Tavadze, Tbilisi, 2023.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – „ეტრატზე შესრულებული ფრაგმენტული ხელნაწერების კოდოლოგიური ანალიზი და მასალის სტრუქტურული კვლევა (FR-19-7472)“ (ხელმძღვანელი თამარ აბულაძე, კოორდინატორი შორენა თავაძე) – ფარგლებში 2023 წელს გამოიცა ამავე სახელწოდების მონოგრაფია.

მონოგრაფიაში ხელნაწერთმცოდნეობის ახალი დარგის, ფრაგმენტოლოგიის, მოთხოვნების გათვალისწინებით, განხილულია 1-დან 5 ფურცლამდე მოცულობის ეტრატზე შესრულებულ ფრაგმენტების კვლევასთან დაკავშირებული საკითხები: კოდოლოგიურ-ტექსტოლოგიური და სტრუქტურული თავისებურებები, ქრონოლოგია და თემატური მრავალფეროვნება, საწერი მასალისა და ფრაგმენტების დაზიანებების დეტალური ანალიზი, დიაგნოსტიკის, დაცვისა და პრევენციული კონსერვაციის ოპტიმალური პირობების განსაზღვრა.

შ ე ნ ი შ ე ნ ა : პუბლიკაციაში დაშვებულია რამდენიმე ხარვეზი:

სატიტულო ფურცელზე (გვ. 2) მითითებულ პროექტის მონაწილეებს შორის არ არის აღნიშნული მთავარი შემსრულებელი რევაზ კლდიაშვილი;

მონოგრაფიაში გვ. 82-83 გვერდებზე მოყვანილია ამონარიდი ავტორთა ჯგუფის (გ. წინწკალაძე, თ. შარაშენიძე, რ. კლდიაშვილი) მიერ შესრულებული სტატიიდან: „**XI-XV საუკუნეების პერგამენტისა და მასზე წითელი და შავი მელნით შესრულებული ტექსტების შემორჩენილი ასოების სტრუქტურის კვლევა** ფურიეს ი.წ. სპექტრომეტრიული მეთოდით“ (აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, N XXVI, გვ. 200-209, 2022 წ.). ტექსტში არ არიან დამოწმებული სტატიის ავტორები; აღნიშნული სტატია არც ბიბლიოგრაფიაშია მითითებული.



**ნათია ჩანტლაძე,
დალი ჩიტუნაშვილი**

ზაზა ალექსიძის გახსენება

*ბიჭი, რომელიც ფეხბურთს
თამაშობდა....*

ზაზა ალექსიძე – ისტორიკოსი, წყაროთმცოდნე, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს მეცნიერებათა და გელათის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, საფრანგეთის ნატიფ დამწერლობათა აკადემიის მუდმივი წევრი, არაერთი ჯილდოს მფლობელი. დაიბადა 1935 წლის 3 აგვისტოს, გარდაიცვალა 2023 წლის 24 იანვარს. ამ თარიღებს შორის კი იყო შემოქმედებითი ენერგიით და დიდი სამეცნიერო აღმოჩენებით სავსე ცხოვრება, ცხოვრება კაცისა, რომელსაც არავინ დაუტოვებია გულგრილი, ვისაც კი შეხვედრია და ვისთანაც კი უსაუბრია.

ბატონი ზაზას ბავშვობამ კახეთში, თელავში, ჩაიარა და ამ ქალაქის სიყვარული მთელი ცხოვრება გულით ატარა. ბატონი ზაზას მამა – ნიკოლოზ ალექსიძე, აგრონომი გახლდათ, მეღვინეობის ინსტიტუტში მუშაობდა, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში თელავში გადაიტანეს და ასე აღმოჩნდა ალექსიძეების დიდი ოჯახი ამ შესანიშნავ ქალაქში. დედა – პიანისტი ევგენია არჯევანიძე, მუსიკის მასწავლებელი იყო და სწორედ მან შეაყვარა თავის შვილებს მუსიკაც და, საერთოდ, ხელოვნება. ოჯახი იყო ის გარემო, სადაც ზაზა ალექსიძემ შეისისხლხორცა ყველა ის ღირებულება, რომლისთვისაც არასოდეს უღალატია: პატიოსნება, ობიექტურობა, პრინციპულობა, საკუთარი ქვეყნისა და საქმის ერთგულება, სიტყვისკაცობა.

ბავშვობიდან ცნობისმოყვარე, დაუდგრომელი ხასიათისა და უდიდესი ნიჭის პატრონს წერა-კითხვა 5 წლის ასაკში მეზობელმა, თელავის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელყოფილმა, ასწავლა, მანვე გაულო კარი წიგნის ჯადოსნურ სამყაროში პატარა ბიჭს, სადაც მას არასოდეს მოუწყენია და სიცოცხლის ბოლომდე ყველა სხვა თავგადასავალს სწორედ ამ სამყაროში

მოგზაურობა ერჩია. დაუჯერებელი მოგეჩვენებათ, მაგრამ ფაქტია, რომ შვიდი წლისას შექსპირი სრულად ჰქონდა წაკითხული! კითხულობდა ხარბად, ყველაფერს, რასაც მისწვდებოდა, მაგრამ გამორჩეულად მაინც ყოველთვის ისტორია აინტერესებდა, ხშირად უთქვამს – რომ არა ისტორიის სიყვარული, ნამდვილად ფიზიკოსი გავხდებოდიო.

ბავშვობა თელავში სრულიად განსაკუთრებული იყო, ხატვისა და ვიოლინოს გაკვეთილებს ძმებთან და მეზობელ ბიჭებთან ერთად ფეხბურთის თამაშს არჩევდა. თავისი კარიერის მწვერვალზე მყოფმა ერთ-ერთ ინტერვიუში ჟურნალისტის კითხვაზე – თქვენ, ალბათ, ის ბავშვი იყავით ხშირად წიგნს რომ კითხულობდით, ბატონმა ზაზამ უპასუხა – „მე ის ბიჭი ვიყავი, ხშირად ფეხბურთს რომ თამაშობდით“. ვერასოდეს და ვერავინ გაუბედავდა თელავის ორღობეში ვიოლინოს ჩანთით მიმავალ ყმაწვილს გადაბრუნებული სიტყვის თქმას, რადგან ზაზამ ყველა თელაველი ბიჭივით „ხელის გარტყმაც“ კარგი იცოდა. სხვათა შორის, ფეხბურთს მერეც თამაშობდა, ჯერ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში და მერეც, თავის და მეგობრების შვილებთან ერთად, სადმე, აგარაკზე შემთხვევა თუ ჩაუვარდებოდა. ხალხაწერთა ეროვნული ცენტრის ეზოს დღესაც ახსოვს ფილოლოგებისა და ისტორიკოსების პრინციპული დაპირისპირება საფეხბურთო მატჩებში შესვენებების დროს, სადაც ზაზა ალექსიძე ისტორიკოსების ფორვარდი და ფილოლოგების რისხვა იყო. ის არასოდეს ყოფილა „წიგნის ჭია“ ამ სიტყვის „ობივატელური“ გაგებით, მონაწილეობდა ყველაფერში, რაც საინტერესოდ ჩათვლიდა.

ზაზა ალექსიძემ დაამთავრა ქალაქ თელავის ვაჟთა გიმნაზია, შემდგომში №1 საჯარო სკოლა. 1758 წელს ერეკლე მეორის ბრძანებით დაარსებული თელავის სასწავლებლის კედლებში უსწავლიათ ვაჟა ფშაველას, ლადო მესხიშვილს, ივანე ბერიტაშვილს, სანდრო ახმეტელს და სხვ. ეს სკოლა ბატონი ზაზას სიყვარულისა და სიამაყის საგანი იყო, მისი სამუშაო კაბინეტის კედელს დღესაც ამშვენებს ამ სასწავლებლის ფოტო. ორიათასიანი წლების დასაწყისში, როდესაც მაშინდელმა ეკონომიკის სამინისტრომ ისტორიული შენობა გასაყიდად გაამზადა, ბატონმა ზაზა ჩვეული გზებით და სიბრძნით გამოვიდა მშობლიური სასწავლებლისა დასაცავად და თავისი წვლილი შეიტანა ამ ისტორიული ნაგებობის გადარჩენის საქმეში.

სკოლის წლები უნივერსიტეტში სწავლის პერიოდმა შეცვალა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე მისი მასწავლებლები ქართული სამეცნიერო საზოგადოების კორიფეები – ილია აბულაძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა და კოტე ბაქრაძე იყვნენ.

საბედისწერო შეიძლება ვუწოდოთ ზაზა ალექსიძის და ილია აბულაძის

შეხვედრას. შეიძლება ითქვას, რომ ისინი მანამდეც შეხვედრიან ერთმანეთს, სწორედ იმ, წიგნის ჯადოსნურ სამყაროში, როდესაც მე-9 კლასელმა ზაზა ალექსიძემ ილია აბულაძის გამოცემული პალეოგრაფიული ალბომით ძველი ქართული დამწერლობის შესწავლა დაიწყო. ქართული დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების, ქართული ეპიგრაფიკის ისტორიით დაინტერესება შემდგომ ზაზა ალექსიძის ისეთ კვლევებში აისახა, როგორებიცაა „მხედრული დამწერლობის სათავეებთან“ (1979 წ.), „დავათის სტელის ნაციონალური მოტივი და იკონოგრაფიული პროგრამა“ (1990 წ.), „მცხეთის პოსტამენტის წარწერა“ (1997 წ.), „ქართული წარწერა (გრაფიკო) ჯაბალადან“ (2019 წ.) და სხვ. ზაზა ალექსიძისა და ილია აბულაძის ურთიერთობა იყო მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის რთული, საინტერესო, ურთიერთპატივისცემითა და აზრთა ჭიდილით სავსე პერიოდი. სწორედ ილია აბულაძე იყო ინიციატორი, რომ ზაზა ალექსიძეს ასპირანტურაში სწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტში გაეგრძელებინა „ძველი სომხური ენისა და ლიტერატურის“ განხრით. ზაზა ალექსიძის არქივში ასპირანტურის სამი წლის გეგმა ინახება, ასეთი გეგმის შესრულებას სხვები მთელ ცხოვრებასაც კი მოანდომებდნენ ალბათ. შესასწავლ საგანთა სიაში ძველი ბერძნული და სირიული ენების გვერდით ზოგადი ენათმეცნიერებისა და ფილოსოფიის კურსებიც არის მითითებული. სრულიად ახალგაზრდა ზაზა ალექსიძემ უკვე კარგად იცოდა, რა ტიპის ცოდნა დასჭირდებოდა იმ პრობლემატიკაზე სამუშაოდ, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობისას დასახა საკუთარი ინტერესის სფეროდ – ქრისტიანული კავკასიის ისტორიის კვლევა ზაზა ალექსიძის მთელი ცხოვრების საქმედ იქცა. საკანდიდატო დისერტაციით დაწყებული და შემდგომში მრავალ სტატიასა თუ მონოგრაფიაში, ზაზა ალექსიძე ნამცეც-ნამცეც აგროვებდა და აწყობდა თავსატეხს, რომელსაც ქრისტიანული კავკასიის წარსული ჰქვია და რომლის გარეშეც შეუძლებელია მისი აწმყოს გააზრება და მომავლის განჭვრეტა. მხოლოდ ბატონი ზაზა ხედავდა მთლიანობაში ამ სამყაროს თავისი გეოგრაფიული და დრო-ჟამითი განფენილობით, ამიტომაც შეძლო მან „თავსატეხის ამოხსნა“ და დაგვანახა ქრისტიანული კავკასიის საუკუნეთა წიაღში მიმალული ცხოვრება, საჩინო გახადა მრავალი საინტერესო საკითხი, ისტორიას დაუბრუნა მივიწყებული სახელები, გასაგები, ლოგიკური გახდა კავშირები და მოვლენები, რომელთა ახსნაც ვერ ხერხდებოდა და გაუგებრობასა და ზოგჯერ გაღიზიანებასაც კი იწვევდა. ამ კვლევით მიმართულებაში მან დავიტიოვა შესანიშნავი ნაშრომები: „ეპისტოლეთა წიგნი“ (1968 წ.), „უხტანესი „ისტორია გამოყოფის ქართველთა სომეხთაგან“ (1975 წ.), არსენ საფარელი „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“

(1980 წ.), „თეოლოგიური პოლემიკა კავკასიაში (VI საუკუნე)“ (2014 წ.) და სხვა, რომლებიც სამაგიდო წიგნებად იქცა საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი – ქართველი თუ უცხოელი მკვლევრისთვის.

1979 წელს ზაზა ალექსიძე დაშორდა თავის მასწავლებელს, დროებით დაცილდა ხელნაწერთა ინსტიტუტსაც (მოგვიანებით ის აქ დაბრუნდება, უკვე მისი დირექტორის სტატუსში და სიცოცხლის ბოლომდე აღარ უღალატებს) და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არმენოლოგიის კათედრას ჩაუდგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით არმენოლოგიის კათედრა ამუშავდა უფრო საინტერესოდ, გაფართოვდა კვლევითი და სასწავლო მიმართულებათა სპექტრი, დამუშავდა ახალი სასწავლო კურსები, დაიწერა მნიშვნელოვანი სადიპლომო ნაშრომები და საკანდიდატო დისერტაციები, გაიხსნა ლ.მელიქსეთბეგის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი კაბინეტი, გაიზარდა ამ კაბინეტთან არსებული არმენოლოგიის დარგობრივი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, გაჩნდა „ვარდაპეტისა“ და მისი შეგირდების ერთობა, რომელსაც დღეს ზაზა ალექსიძის ქართულ არმენოლოგიურ სკოლასაც კი უწოდებენ! 35 წელი მუშაობდა აქ ბატონი ზაზა და მისივე თქმით, არსად ჰქონია მას ისეთი სიმშვიდე, როგორც არმენოლოგიის კათედრაზე თავის მოსწავლეთა შორის.

ერთი წლით ადრე კი იყო დიდ ბრძოლა ქართული ენისთვის და ამდენად, ქართული თვითმყოფადობისთვის, რომელიც ზაზა ალექსიძემ ქართული ინტელიგენციის ნაწილთან ერთად ღირსეულად და უშიშრად გადაიხადა. წერილი, რომელიც მან იმ დღეებში დაწერა, შემდეგ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტს პირველმა მდივანმა, ედუარდ შევარდნაძემ, გამოიყენა საკუთარ გამოსვლაში ქართული ენის სტატუსის დასაცავად: „ქართულ ენას სახელმწიფოს მართვის უპირველესი საშუალების ფუნქცია გუშინ არ შეუძენია, რომ დღეს მოვეხსნათ. ლეონტი მროველის მიხედვით, როდესაც საქართველოში გავრცელებული იყო ექვსი ენა, როგორც ქვეყნის მმართველი ფენის ენა, ქართული სახელმწიფო ჯერ კიდევ არ არსებობდა. როდესაც ფარნავაზმა იგი ერთადერთ სახელმწიფო ენად აქცია და მას ადეკვატური დამწერლობა შეუქმნა, იმ დღიდან ითვის ქართული ტრადიცია თავისი სახელმწიფოს ისტორიას. გიორგი მერჩულეს კარგად ესმოდა, რომ საქართველოს სახელმწიფო არსებობდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მის დაწესებულებებში (მისთვის ასეთი ეკლესია იყო) სამსახური ქართულად აღსრულდებოდა და ქართული სახელმწიფოს საზღვრები იქამდე ვრცელდებოდა, სადამდეც აღწევდა ეს ენა თავის სახელმწიფოებრივი ფუნქციით“, უღერდა საქვეყნოდ იმ დროს ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან.

დახ, ზაზა ალექსიძე იყო მამულიშვილი, ამ სიტყვის საუკეთესო და უცვლელი მნიშვნელობით. უყვარდა საქართველო მის ყოველგვარ გამოვლინებაში – ადამიანებში, გეოგრაფიაში, ხელნაწერებში, არქიტექტურაში, ისტორიაში, ენასა და კულტურაში, ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ქართული თვითმყოფადობისათვის მეორე უმნიშვნელოვანეს ბრძოლასაც არ გამოაკლდებოდა და მთელი თავისი ცოდნითა და ავტორიტეტით მხარში ამოუდგა საქართველოს ეკლესიას და მის მწყემსმთავარს, ილია მეორეს, როდესაც ის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისთვის იბრძოდა.

შემდეგ იყო ქართველ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად ხანგრძლივი და აღმოჩენებით სავსე მუშაობა ატენის სიონის არქიტექტურაზე, ეპიგრაფიკასა და მხატვრობაზე. ამ უდიდესი შრომის შედეგია „ატენის სიონის სომხური წარწერები“ (1978 წ.), „ატენის სიონის ოთხი წარწერა“ (1983 წ.), „ქართულ ფრესკულ წარწერათა კორპუსი, ატენის სიონი“ (გ. აბრამიშვილთან თანაავტორობით, 1989 წ.). ზაზა ალექსიძემ დაასაბუთა, რომ VII ს-ის ძველის ატენის სიონის ე.წ. თოდოსაკის სომხური წარწერა არის არა აღმშენებლის, არამედ X საუკუნის 80-იანი წლების რესტავრატორისა, რითაც მოხსნა საკითხი ატენის სიონის სომეხი ხუროთმოძღვრის, თოდოსაკის, მიერ აშენების შესახებ. მან ატენის სიონის წარწერებში მიაკვლია IX საუკუნის ქართულ რითმიან ლექსებს, რითაც აჩვენა, რომ ქართული საერო მწერლობა XI საუკუნეში კი არ გაჩენილა, არამედ უკვე IX საუკუნეში არსებობდა. ეს ის წიგნებია, რომელმაც შექმნა ახალი ცოდნა, კვლევის ახალი მიმართულებები, თავად ბატონი ზაზა კი ატენის ექსპედიციებზე საუბრისას მხოლოდ იმ პატარა ატენელ ბიჭს – პატა ბესტავაშვილს, იხსენებდა, დასვენების ჟამს ინგლისურში რომ ამეცადინებდა. დღეს ეს პატარა ბიჭი ატენის სიონის ერთგული მცველი და საუკეთესო გიდი, რომელიც თვალახვეულიც კი ადვილად მიგიყვანთ გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერასთან და მისი გაშიფვრის საინტერესო ისტორიასაც გაამბობთ.

„სამყარო კანონზომიერია“ – ამბობდა ბატონი ზაზა, და ამ კანონზომიერებამ მის ცხოვრებაშიც იჩინა თავი. როდესაც 1937 წელს ილია აბულაძემ ეჩმიაწინის წიგნთსაცავში სომხურ ხელნაწერთა შორის ალბანური ანბანის შემცველი ხელნაწერი გამოავლინა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ თითქმის 60 წლის შემდეგ მისი მოწაფე, ზაზა ალექსიძე, სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში ქართულ ხელნაწერთა შორის ალბანურ პალიმფსესტს აღმოაჩენდა და ეს აღმოჩენა საბოლოოდ შეცვლიდა ცოდნას ქრისტიანული კავკასიის ისტორიისა. ტყუილად არ უწოდეს ამ აღმოჩენას ევროპულმა ტაბლოიდებმა „მსოფლიო სენსაცია“ – მკვლევარებს საშუ-

ალება მიეცათ, შეესწავლათ კავკასიის დაკარგული ქვეყნის, დაკარგული ხალხის ენა და მწერლობა. შესაძლებელი გახდა ამიერკავკასიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების რევიზია და ხელახალი კვლევა. ზაზა ალექსიძე გახდა ფუძემდებელი ალბანოლოგიისა, როგორც მეცნიერების, რომლის დამკვიდრებასაც დღეს მსოფლიოს უდიდესი უნივერსიტეტები ცდილობენ.

დრო და გამოცდილება, პრობლემათა მასშტაბური ხედვა და ამიერკავკასიის ისტორიის სიღრმისეული ცოდნა აძლევდა ზაზა ალექსიძეს საშუალებას დაეწერა ისეთი შემაჯამებელი ნაშრომები, როგორებიცაა „საქართველოს ადგილი აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციათა შორის შუასაუკუნეების ქართველ მოღვაწეთა თვალსაზრისით“, „ამიერკავკასიის ქვეყნების საერთაშორისო ორიენტაციის დოგმატური საფუძვლები“, „ნესტორიანები კავკასიაში“, „ომისა და მშვიდობის ეთიკა ძველი ქართველი ისტორიკოსის თვალთახედვით“, „ქართველ ებრაელთა საღმრთო მისია შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ტრადიციით“, „ენა და სახელმწიფო ქართულ მწერლობასა და პოლიტიკაში“ და მრავალი სხვა. აღნიშნულ ნაშრომებს მაღალი სამეცნიერო ღირებულების გარდა პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვთ. მათი შედეგების გათვალისწინება ხელს შეუწყობს კავკასიაში მიმდინარე თანამედროვე პროცესებისა და კავკასიის ხალხთა ურთიერთობის პროგნოზირებასა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას.

დრო გავიდა და პატარა ბიჭი, რომელიც თელავის ეზოებში ფეხბურთს თამაშობდა და წიგნის ჯადოსნურ სამყაროში გზას იკვალავდა, მსოფლიომ გაიცნო, გაიცნო და აღიარა, აღიარა და შეიყვარა.....

როდესაც ირგვლივ სიბნელეა და ადამიანი სადღაც მოკიაფე შუქს შენიშნავს, აუცილებლად მისკენ გაუწევს გული, როდესაც ირგვლივ სიცივეა, ადამიანი აუცილებლად მოძებნის თბილ კერიას... როდესაც კომუნისტური და იმპერიული დიქტატურისგან შებოჭილ ადამიანებს საქართველოში სული ეხუთებოდათ, ისინი ცოცხალი აზრის, თავისუფალი გონისა და სინდისის მქონე ადამიანებისკენ მიილტვოდნენ. თბილისი ყოველთვის კარგად ცნობდა ასეთ ხალხს. ისინი მაგნიტივით იზიდავდნენ სულიერებას მოწყურებულთ, რადგან უშურველად გაცემდნენ და რაც მთავარია, ჰქონდათ გასაცემი... ბატონი ზაზაც ამათ შორის იყო, მეტწილად უყვარდათ, ზოგს შურდა, მაგრამ პატივს კი ყველა სცემდა და აღიარებდა მის უდიდეს ავტორიტეტს, უსაზღვრო ცოდნას და შეუმცდარ მეცნიერულ ალღოს... ასე რომ, ბატონ ზაზასთანაც უამრავი ხალხი იყრიდა თავს – მოდიოდნენ კოლეგები – ისტორიკოსები, ფილოლოგები, წყაროთმცოდნეები და

არმენოლოგები... მოდიოდნენ ფიზიკოსებიც, მათემატიკოსები, ექიმები, ბიოლოგები, ფსიქოლოგები, ჟურნალისტები... მოდიოდნენ ასპირანტები და სტუდენტები... უბრალოდ ნაცნობები და უცნობები, ქართველები და უცხოელები... ბევრს სწყუროდა მასთან ურთიერთობა, მასთან საუბარი... საუბარი კი შეეძლო ყველაფერზე – მეცნიერებაზე, ლიტერატურაზე, ყოფაზე, პოლიტიკაზე, სპორტზე, ბავშვებზე, მუსიკაზე... ვისაც ბატონ ზაზასთან ურთიერთობის პატივი ერგო, ყველამ კარგად იცის როგორი მელომანი იყო ის, კლასიკური მუსიკისა და ოპერის დიდი მოყვარული და მცოდნე. 80-იან წლებში ქართველი ისტორიკოსები ნეაპოლში საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობდნენ. ბატონი ზაზას გვერდით, სასტუმროს ნომერში აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი დაბინავდა. აივანზე გასულ ბატონ დავითს ცნობილი ნეაპოლიტანური სიმღერა შემოესმა, დიდხანს უსმინა და ბოლოს ზაზასთან გაიქცა შთაბეჭდილების გასაზიარებლად, დღესაც არ სჯერა ბატონი ზაზას უახლოეს მეგობარს, რომ ამ სიმღერას ვინმე ნეაპოლელი კი არა, ზაზა ალექსიძე მღეროდა – მრავალმხრივი იყო მისი ნიჭის გამოვლინება.

ბევრს ემახსოვრება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი იუმორი, ზოგჯერ ირონია... იცოდა მეგობრობა და არ იცოდა მტრობა. იყო პრინციპული, პროფესიაში უკომპრომისო, არასოდეს ცდილობდა ვინმესთვის ეამებინა, თავი მოეწონებინა... ქრისტიანული კავკასიის ისტორიით დაინტერესებულმა პირებმა კარგად იციან ზაზა ალექსიძისა და გამოჩენილი სომეხი მეცნიერის, პარუირ მურადიანის უკომპრომისო პოლემიკისა და ფაქიზი მეგობრობის ამბავი. როდესაც პარუირ მურადიანი გარდაიცვალა, ბატონი ზაზა მას ასე გამომეშვიდობა: „ჩვენი ურთიერთობები ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებს ჰგავდა, ვკამათობთ, ვდაობთ, მაგრამ ერთმანეთის გარეშე არსებობა ვერ წარმოგვიდგენია“, – ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის უფრო ზუსტი და ალალი შეფასება.

ზაზა ალექსიძე ყოველთვის თანამედროვე ადამიანი იყო, კაცი, რომელსაც კარგად ესმოდა დროის მოთხოვნები და გამოწვევები. ის ბოლომდე ახალგაზრდად დარჩა, ახალგაზრდად, რომელიც ადვილად იღებდა ყველაფერს ახალს, ამ მუდმივი ახალგაზრდობის საიდუმლოს თვითონ სტუდენტებთან, მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან ურთიერთობით ხსნიდა: „როდესაც ნაშრომი იქმნება, ის არ იქმნება ისე, რომ არ ითვალისწინებდე მკითხველს... როგორი ინტერესით გისმენენ და რა კითხვებს გისვამენ... არაფერი ისე არ გვხმარება ახლებურად შესედო თითქოს მოძველებულსა და გადაჭრილ პრობლემას, როგორც

ახალგაზრდებთან ურთიერთობა“. ამიტომაც, ის ყოველთვის საინტერესო იყო ჩვენთვის, მისი მოსწავლეებისთვის მაშინაც, როდესაც 16 წლისანი მოვდიოდით უნივერსიტეტში და მაშინაც, როდესაც უკვე წლებით დამძიმებული პირველს მას ვუზიარებდით ნაფიქრალსა და განცდილს...

„ზაზა ალექსიძის გარდაცვალება უძძიმესი დანაკლისია ქართული ჰუმანიტარიისათვის და ქრისტიანული კავკასიის მკვლევართათვის“ (იოსტ ვიპერტი), „ალბანური პალიმფსესტების აღმოჩენამ და გაშიფვრამ სამუდამოდ ჩაწერა ზაზა ალექსიძის სახელი მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერთა რიგებში“ (შარლ რენუ), – ასე გამოეთხოვნენ მას ევროპაში.

„შუქლებელია ერთ კაცში, ჩვეულებრივ მოკვდავში, ერთბაშად ამდენის ჩატევა – კაცი, გენიოსი, მამულიშვილი, ღირსება, სინდისი, მონად ყოფნის მიუღებლობა, ბავშვი, მოძღვარი... ცოტაა, როცა წერენ – დიდი მეცნიერი, მსოფლიო დონის მკვლევარი, გენიოსი, ცოტაა, ზაზა უფრო დიდი კაცი იყო, მის ფენომენს არც „ერის კაცობა“ და არც „ღვთის კაცობა“ კმარა. აუხსნელია, ნეტავ თუ იქნება ვინმე ამის ამომცნობი?“ (ნინო აფციაური),

„საქართველოს არ ჰყოლია ამ მასშტაბის აღმოჩენის ჩამდენი, რაც ბატონ ზაზას არგუნა ღმერთმა. ის კავკასიის ისტორიაში არის იგივე, რაც ეგვიპტოლოგიაში ჰოვარდ კარტერი – ტუტანჰამონის აღმოჩენი... ის იყო სიამაყე ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისა! ... უნდა ვაღიაროთ: მეორე ზაზა ალექსიძე საქართველოს შეიძლება, საუკუნე არ ჰყავდეს! გვეყოლება კი?“ (ლევან თაქთაქიშვილი) – ასე გამოეთხოვენ მას საქართველოში.

ასე, ამ ნარკვევით ვეთხოვებით მას ჩვენ, მისი მოწაფეები...

სიყვარულით...

მონატრებით...

ნათელი სევდით...

დიდ ქართველ მეცნიერს, რომელმაც მსოფლიო აალაპარაკა და ბიჭს, რომელიც ფეხბურთს თამაშობდა.....

ეთერ ქავთარაძე (1937-2023)



ქართველ სამეცნიერო საზოგადოების რიგებს გამოაკლდა საარქივო საქმის უბადლო მცოდნე და თავისი საქმის პროფესიონალი ქალბატონი ეთერ ქავთარაძე. მან 1963 წელს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა და გარდაცვალებამდე დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ის იყო ცნობილი ლიტერატურათმცოდნის,

გრიგოლ კიკნაძის, გამორჩეული სტუდენტი.

ეთერ ქავთარაძის მოღვაწეობის მაგისტრალური ხაზი იყო XIX-XX საუკუნეების საზოგადო მოღვაწეთა ფონდების დამუშავება. საერთოდ, საარქივო საქმე თემატურად მრავალფეროვანია, არ თავსდება მხოლოდ ერთ დისციპლინაში. შესაბამისად, პირადი არქივების დამუშავებას სჭირდება ფართო ერუდიცია და ინტერდისციპლინარული მიდგომა. სწორედ საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულებით და უნარ-ჩვევებით გამოირჩეოდა ქალბატონი ეთერ ქავთარაძე.

ეთერ ქავთარაძემ 1964 წლიდან დაამუშავა გიორგი წერეთლის, გრიგოლ წერეთლის, დუტუ მეგრელის, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას, შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების, ყიფშიძეების (ალექსანდრე, გრიგოლი, ილია), სტეფანე მენტეშაშვილის, ლევან რჩეულიშვილს, ელენე მეტრეველის, ნინო და კალისტრატე სალიების, მიხეილ (მიხაკო) წერეთლის, მოსე თოიძის, იოსებ ყიფშიძის, გრიგოლ რობაქიძის პირადი არქივები და შეადგინა მათი აღწერილობები. ჯამში, მან მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დაახლოებით 30-მდე პირადი არქივზე იმუშავა.

ე. ქავთარაძემ 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართული კომედიის ისტორიიდან (დიმიტრი მეღვინეთუხუცესი, ვასილ აბაშიძე)“. ასევე ის მუშაობდა ქართული ხელნაწერის პიესების კატალოგის შედგენაზე, რომელიც ქართული თეატრისა და დრამატურგიის ისტორიით

დაინტერესებული პირებისთვის სასარგებლო ნაშრომია.

1987 წელს „საისტორიო მოამბეში“ დაბეჭდა დუტუ მეგრელის საზოგადოებრივი და პუბლიცისტური მოღვაწეობის ამსახველი მასალა შესავალი წერილით. პუბლიკაციებში შევიდა დუტუ მეგრელის მნიშვნელოვანი პუბლიცისტური წერილები, რომელთა ნაწილი პირველად გამოქვეყნდა.

1992 წელს ე. ქავთარაძემ გამოაქვეყნა თავისი პირველი მონოგრაფია ქართველოლოგიური სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელ დავით ყიფშიძეზე. წიგნში შევიდა დავით ყიფშიძის შრომების არქეოლიგიურ-ფილოლოგიური გამოკვლევა, მისი პირადი არქივის აღწერილობა და საძიებლები.

ის 2016 წლის მარტიდან დაინიშნა მთავარ მეცნიერ თანამშრომლად და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა არქივმცოდნეობისა და ელექტრონული არქივების განყოფილებას.

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ის მუშაობდა ძირითადად სამი მიმართულებით: 1. არქივების მეცნიერული დამუშავება და კატალოგების შედგენა; 2. მეცნიერული აღწერილობების გამოსაცემად მომზადება; 3. საარქივო მასალის პუბლიკაცია მონოგრაფიული კვლევის შედეგებთან ერთად. მან დიდი წვლილი შეიტანა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არქივზე მუშაობის სპეციფიკისა და ახალი სტანდარტების შედგენა/შემუშავების საქმეში.

ეთერ ქავთარაძე აქტიურად იყო ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიული ხასიათის 8 წიგნი და 60-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორია; იყო მთავარი რედაქტორი სერიისა „პირადი არქივების აღწერილობა“.

ეთერ ქავთარაძემ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოსულ ახალ თაობას შეასწავლა და შეაყვარა საარქივო საქმე. ის გამოირჩეოდა თანამშრომლების მიმართ მზრუნველობით, გულისხმიერებით. განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება ახალგაზრდა მკვლევრებისადმი, ხშირად იზიარებდა მათ წარმატებებს და ყოველთვის მზად იყო კონსულტაციის გასაწევად. ის იყო ცოცხალი მაგალითი უშრეტი ენერჯის, პრინციპულობისა და საქმის მიმართ ერთგული დამოკიდებულების.

საგამომცემლო ჯგუფი
ნინო გიორგაძე
ლანა გრძელიშვილი

დაკაბადონება და გარეკანის დიზაინი
ვლადიმერ პერანიძე



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

0160 თბილისი, ზაზა ალექსიძის ქ. 2. ტელ.: + 995 (32) 247 42 42

www.manuscript.ge info@manuscript.ge

2 Z. Aleksidze str., Tbilisi 0160, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS